ქრისტესათვის წამებული

ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი

26 Tortured for Christ Core 2011_11_22.indd 1 4/13/2012 10:26:02 AM

Originally published in English under the title
Tortured for Christ by Pastor Richard Wurmbrand
© 1967, 1998 by The Voice of the Martyrs
Published by Bridge-Logos. All rights reserved.

© 2012 by Voice of the Martyrs, USA for the Georgian edition.
Translated by permission. All rights reserved.

©1967, 1998 გამოიცა წამებულთა ხმის მიერ. ყველა უფლება დაცულია.
დაუშვებელია გამომცემელთან შეთანხმების გარეშე ამ წიგნის რომელიმე ნაწილის
დაბეჭდვა, ხელახლა გამოყენება ან დაცვა, გარდა მოკლე ციტირების ან განხილვისა.
მთარგმნელი: ლალი ჰანმერი
რედაქტორები: თამარ ღონღაძე
და ელგუჯა გიუნაშვილი
თბილისი 2011 წელი

ეძღვნება

ხუცეს ვ. სტუარტ ჰარისს, ევროპელთა ქრისტიანული მისიის დირექტორს ლონდონში. რომელიც 1964 წელს, ჩემი ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, რუმინეთში მოვიდა დასავლელი ქრისტიანების სახელით.
ღამით შემოაბიჯა ჩემს სახლში და სიფრთხილით მოიტანა სიყვარულისა და კომფორტის სიტყვა, როგორც ჩემს, ასევე მრავალი წამებული ქრისტიანის ოჯახში. დიდ მადლიერებას გამოვთქვამ ამ ერთგული ქრისტიანების მიმართ.

წინასიტყვაობა

„წამებულები''

რიჩარდ ვურმბრანდმა თქვა, „ქრისტესათვის წამებულს არა აქვს არანაირი ლიტერატურული ღირებულება. იგი დაიწერა ჩემი ციხიდან გათავისუფლებიდან სამ დღეში. მაგრამ იგი დაიწერა კალმითა და ცრემლებით. და რამოდენიმე მიზეზით, ღმერთმა აკურთხა ეს ნაწერი და თავისი მიზნებისათვის გამოიყენა.'' ქრისტესათვის წამებულის ოცდაათი წლის თავი შესრულდა და მცირედი თუ შეიცვალა მას შემდეგ. ხუცესის დიქტატორული რუმინეთის ციხეში გატარებული თოთხმეტწლიანი დროის მოგონებები არ შეცვლილა.

წლების განმავლობაში, ქრისტესათვის წამებული 65 ენაზე ითარგმნა და მილიონობით წიგნი გავრცელდა მსოფლიოს გარშემო. გაოცებულები ვართ იმით, თუ როგორ გამოიყენა ღმერთმა ეს დამოწმება თავისი სხეულის-ეკლესიის განსამტკიცებლად. აღმოვაჩინეთ რომ ამ სხეულში, გამარჯვებას, მხნეობას, წინააღმდეგობისა და შეუპოვრობის ძალას საზღვრები არა აქვს. იგი ყველას ერთნაირად ეძლევა სულიწმინდის მიერ, განურჩევლად ფერისა და ეროვნებისა.

საინტერესოა რომ ჩინელი ხუცესი, ამერიკელი დიასახლისი, და არაბი ტაქსის მძღოლი ერთნაირად არიან შთაგონებულნი რუმინელი ებრაელის მიერ დაწერილი წიგნით. ერთხელ, ვიეტნამის ეკლესიის ლიდერებმა მითხრეს, თუ როგორ მოამზადეს სამხრეთ ვიეტნამის ქრისტიანები 1970-იან წლებში კომუნიზმის მოსალოდნელი მმართველობისაგან



თავის დაღწევასა და ზრდაში. ლიდერებმა წამებულთა ხმის ვიეტნამური ვერსია გაავრცელეს ეკლესიებში, როგორც გადარჩენის სახელმძღვანელო, ურთულესი მდგომარეობიდან გამარჯვებული რწმენით გამოსული ადამიანის დამოწმება. მრავალი წერილი მივიღეთ იმ ადამიანებისაგანაც, რომელბიც პიროვნულ ურთიერთობაში შევიდნენ ქრისტესთან ამ წიგნის კითხვის შემდეგ, და გააცნობიერეს, რომ ქრისტეს სიყვარული არის რეალური ძალა. ამ კუთხით ეს წიგნი არ მოიცავს პოლიტიკური ბრძოლის განცდას, არამედ წარმოგვიდგენს სახარებისათვის წამებულთა „მოწმეებს.''

დღეს მრავალი ადამიანი ფიქრობს, რომ წამებული უბრალოდ არის ის, ვინც რწმენისთვის მოკვდა... სამწუხაროდ, ამ შეხედულების გამო დავკარგეთ სიტყვა წამებულის ნამდვილი და სიღრმისეული გაგება. ერთხელ, წმინდა ავგუსტინემ განაცხადა, „მიზანი და არა ტანჯვა წარმოშობს ნამდვილ წამებულს.'' თავის დრამაში მკვლელი კათედრალში, ტ.ს. ელიოტი წამებულს აღწერს იმად „ვინც გახდა ღვთის ინსტრუმენტი, რომელმაც საკუთარი ნება ღვთის ნებაში დაკარგა. კი არ დაკარგა არამედ იპოვა, რადგან მან იპოვა თავისუფლება ღვთის მორჩილებაში. ამის შემდეგ წამებულს არაფერი აღარ სურს პირადად, არც წამებულის სახელის დიდება.''

ბერძნულად „წამებული'' ნიშნავს „მოწმეს.'' ებრაელთა წერილის ავტორი აცხადებს რომ „გარემოცულნი ვართ მოწმობის უდიდესი ღრუბლით [წამებულთა]'' (12:1), და იესო გვმოძღვრავს საქმეების 1:8, „თქვენ იქნებით ჩემი მოწმეები [წამებულები] იერუსალიმში, იუდეასა და სამარიში, და დედამიწის კიდემდე.''

ახალი აღთქმის წამებულებმა, არა მხოლოდ პიროვნულად დაამოწმეს იესო ქრისტეს ძალისა და ჭეშმარიტების შესახებ, არამედ უთხრეს რომ ეს მოწმობა სხვებთანაც მიეტანათ, მიუხედავად საზღაურისა. მოგვიანებით საქმეების წიგნში, სტეფანეს ჩაქოლვის შესახებ ვკითხულობთ, რომელმაც პირველმა გადაიხადა მოწმობის უდიდესი საზღაური. ამ დროს მიიღო სიტყვა წამებულმა უფრო ძლიერი მნიშვნელობა, ვიდრე არა მხოლოდ მოწმემ, არამედ ის ვისაც სურს რომ გასცეს

საკუთარი სიცოცხლე ან აწამონ რწმენის გამო.
სინამდვილეში ჩვენი მოწმობა გავლენას ახდენს ჩვენს რეპუტაციაზე, პოპულარობასა და პრესტიჟზე... შესაძლოა საკუთარი ოჯახის, მეგობრებისა და სიცოცხლის ფასადაც კი დაგვიჯდეს. მაგრამ ჩვენი მოწმობის სიტყვა იმდენად ძლიერი და ამამაღლებელია რომ „ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი'' (ებრ. 12:1), ღმერთმა მოგვცა წინამდებარე სიცოცხლე რათა მოთმინებით გავლიოთ „სარბიელი''.
ქრისტეს „მოწმობის'' სიტყვა არ ჯდება ფიზიკური ლიმიტის საზღვრებში. არ შეიძლება ჩავტიოთ რომელიმე ყუთში ან მივაკრათ განსაკუთრებული იარლიყი. ის არ არის დეპრესიული, არამედ ლოცვის საშუალებით მიგვიძღვება გლობალური ქრისტიანული მოძრაობის გაგებისაკენ...საჭიროა იმისათვის, რათა მივიღოთ ის, „რაც მოგვეცა ქრისტეს გამო''-''მისი სახელისათვის ტანჯვა'' (ფილიპელთა 1:29). ამ მოწმეებისა და წამებულების რწმენა შეუძლებელია გააკონტროლონ ან მოკლან. მას შეუძია დათესოს მარცვალი ღვთის სასუფევლის მომავალი გავრცელებისათვის „იერუსალიმში, იუდეასა და სამარიიაში, და ქვეყნიერების კიდემდე'' (საქ. 1:8), რადგან მათი დამოწმებები მოგვითხრობენ იესო ქრისტეს ჭეშმარიტების შესახებ. ქრისტემ თქვა, „ამ კლდეზე მე დავაფუძნებ ეკლესიას, და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ დაძლევენ მას'' (მათე 16:18).
ამ განმარტების ფონზე, რიჩარდ ვურმბრანდს ერთ-ერთ წამებულად მივიჩნევ. არა სიკვდილის გამო, არამედ იმის გამო, რომ იგი ატარებს ქრისტეს ცხოვრების მოწმობას. იმდენი ეწამა ამისათვის რომ სიკვდილი ერჩია ისეთ სიცოცხლეს.
ქრისტესათვის წამებული არა მხოლოდ ტირანული კომუნისტური რეჟიმის შედეგად წამებული ადამიანების ფაქტებს აღწერს, არამედ საუბრობს ქრისტესათვის შეწირული ადამიანების რწმენასა და შეუპოვრობაზე და მათ სურვილზე გაუზიარონ ქრისტეს შესახებ სხვებს. ეს არის ის ჭეშმარიტება, რაც ამ წიგნის ყოველ ფურცელზე ცოცხლდება. რომლის საშუალებითაც დასავლელი ქრისტიანები იღებენ ინფორმაციას დღემდე ტანჯული ქრისტიანების შესახებ. რომელთაც ქრისტეს

სიტყვის დამოწმება საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებათ. ჩვენი ლოცვაა არასოდეს ჩაქრეს ამ დამოწმების ბრწყინვალება, რათა დაგვეხმაროს ქრისტესთან ღრმა ურთიერთობაში და ჩვენი ამქვეყნიური მოვალეობის აღსრულებაში. რომელიც შესაძლოა დაგვეხმაროს წამებულთა ცხოვრების ასპექტების გაცნობასა და ღვთის ნების შეცნობაში, ვისურვებდით თუ არა რომ ჩვენც ვყოფილიყავით ასეთი მოწმე.

ტომ უაითი

წამებულთა ხმის დირექტორი. აშშ.

თავი პირველი

რუსების ლტოლვა ქრისტეს გასაცნობად

ათეისტი პოულობს ქრისტეს

ბავშვობა ობლობაში გავატარე. ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, სადაც რელიგიას დიდ პატივს არ სცემდნენ და არანაირი სასულიერო განათლება არ მიმიღია იმ ასაკში. მძიმე ბავშვობის შედეგად, რასაც პირველი მსოფლიო ომისაგან გამოწვეული სიღარიბეც თან ერთვოდა, ისეთივე დარწმუნებული ათეისტი ვიყავი თოთხმეტი წლისა, როგორიც კომუნისტები იყვნენ. ათეისტურ წიგნებს ვკითხულობდი და, არა მხოლოდ არ მჯეროდა ღმერთის და ქრისტესი, არამედ მძულდნენ კიდეც, რადგან მჯეროდა, რომ ადამიანების გონებაზე ცუდ ზემოქმედებას ახდენდნენ.

როგორც მოგვიანებით მივხვდი, ღვთის მადლით ვიყავი არჩეული, რაზეც მანამდე წარმოდგენაც არ მქონდა. მიზეზს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ჩემს ხასიათთან, რადგან ძალიან მძიმე ხასიათის ადამიანი ვიყავი.

მართალია ათეისტი ვიყავი, მაგრამ რაღაც გამოუთქმელი მუდამ მიზიდავდა ეკლესიისაკენ. ისე ვერ ჩაუვლიდი ეკლესიას გვერდით, რომ შიგ არ შევსულიყავი...

მსახურებას ვუსმენდი, მაგრამ ჩემს გულს არ ეკარებოდა. ღმერთზე ისეთი წარმოდგენა მქონდა, როგორც ბატონზე, რომელსაც აუცილებლად უნდა დავმორჩილებოდი; მძულდა ღმერთზე ჩემს გონებაში შექმნილი მცდარი წარმოდგენა.

ძალიან მინდოდა დამეჯერებინა, რომ სადღაც, ქვეყნიერების ცენტრში, მოსიყვარულე გული არსებობდა. ჩემი უსიხარულო ბავშვობის გამო მსურდა არსებულიყო გული, რომელიც ჩემთვის იფეთქებდა.

მე ვიწამე, რომ ღმერთი არ არსებობდა და დავნაღვლიანდი, რომ მოსიყვარულე ღმერთს ვერ მივაკვლიე.

ერთხელ, შინაგანი სულიერი ბრძოლის დროს კათოლიკურ ეკლესიაში შევედი. დავინახე მუხლმოყრილი და მოლაპარაკე ხალხი. ვიფიქრე, მათ გვერდით მოვიყრი-მეთქი მუხლს, რათა გავიგო რას ამბობენ და გავიმეორო მათი ლოცვა. ვნახოთ, რა მოხდება. წმინდა მარიამისადმი მიძღვნილ ლოცვას წარმოთქვამდნენ: „მადლით აღვსილო წმინდაო მარიამ!“ მეც ვიმეორებდი და ვიმეორებდი იგივე სიტყვებს; წმინდა მარიამის სკულპტურას ვუყურებდი, მაგრამ არაფერი არ მოხდა. ძალიან მეწყინა.

ერთ დღეს, მტკიცე ათეისტმა ასე ვილოცე: „ღმერთო, დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობ, მაგრამ, თუ მაინც არსებობ, ვალდებული არა ვარ, რომ გირწმუნო; შენი ვალია გამომეცხადო“.

ათეისტი ვიყავი, მაგრამ ათეიზმმა ვერ მოუტანა ჩემს გულს სიმშვიდე.

ამ შინაგანი ტანჯვების დროს, რუმინეთის მაღალმთიან სოფელში ერთი მოხუცებული ხურო ასე ლოცულობდა: „ჩემო ღმერთო, მინდა, რომ მივიღო, როგორც ამ ქვეყნიური, ისე ზეციური ჯილდო, რადგან ამ ქვეყნად შენ გემსახურები. ისე ნუ მოვკვდები, რომ ერთი ებრაელი არ მოვიყვანო შენთან, რადგან იესო ებრაელი იყო. მაგრამ მე ღარიბი, მოხუცი და ავადმყოფი ვარ. ძალა არ შემწევს ებრაელის მოსაძებნად. ჩემს სოფელში კი ებრაელები არ ცხოვრობენ. გვასტუმრე ერთი ებრაელი ამ სოფელს და ყველა ღონეს ვიხმარ იესოსთან მის მოსაყვანად“.

რაღაც ძალამ წამიყვანა იმ სოფელში, თუმცა იქ სტუმრობის არანაირი მიზეზი არ მქონია. რუმინეთში თორმეტი ათასი სოფელია, მაგრამ მაინცადამაინც იმ სოფელში წავედი. გაიგო თუ არა მოხუცმა, რომ ებრაელი ვიყავი ისეთი პატივით მიმიღო, რომ ახალყოილსაც კი არ მოუწყობდნენ ასეთ შეხვედრას.

ხურომ ჩემი სტუმრობა თავისი ლოცვის პასუხად მიიღო და ბიბლია მომცა წასაკითხად. მანამდე რამოდენიმეჯერ მქონდა ბიბლია წაკითხული, კულტურული ინტერესით. მაგრამ ბიბლია, რომელიც ამ კაცმა მომცა, სულ სხვაგვარი იყო. მოგვიანებით მოხუცმა მითხრა, რომ ის და მისი მეუღლე საათობით ლოცულობდნენ ჩემი და ჩემი მეუღლის მოქცევისათვის. ბიბლია, რომელიც მან მომცა, დაწერილი იყო არა იმდენად სიტყვებით, რამდენადაც მოხუცის სიყვარულის ლოცვით ანთებული სულით. კითხვა მიჭირდა. ცხარე ცრემლად ვიღვრებოდი წიგნზე, როცა ვადარებდი ჩემს ცუდ ცხოვრებას იესოსთან; ჩემს უწმინდურებას მის სამართლიანობასთან; ჩემს სიძულვილს მის სიყვარულთან, და მან მიმიღო, როგორც საკუთარი შვილი.

მალე ჩემი მეუღლე მოექცა. მან სხვა სული მოიყვანა ქრისტესთან. სხვებმა კიდევ სხვები და ასე დაიბადა ახალი ლუთერანული ეკლესია რუმინეთში.

შემდეგ ნაცისტები მოვიდნენ.

ჩემი მსახურება რუსებთან

ჩემი ათეისტობის მოსანანიებლად ერთი სული მქონდა, როდის მომეცემოდა შესაძლებლობა რუსებთან დასამოწმებლად. ჩემი სურვილი – მექადაგა რუსებისათვის – აღსრულდა. რისთვისაც რუსეთში წასვლა არ დამჭირვებია, ეს მომენტი ნაცისტების შემოსვლასთან ერთად დადგა, რუმინეთში ათასობით ომის პატიმარი გვყავდა, რომლებთანაც შეგვეძლო ქრისტიანული საქმის კეთება.

დრამატული, ამაღელვებელი სამუშაო იყო. არასოდეს დამავიწყდება რუს პატიმართან პირველი შეჯახება. ვკითხე ღმერთი თუ სწამდა. „არა“ რომ ეთქვა, ძალიან არ შევწუხდებოდი. ეს თითოეული ადამიანის არჩევანია, ირწმუნებს თუ არა, მაგრამ როცა მას ეს კითხვა დავუსვი, გაცნობიერების გარეშე თვალებდაქაჩულმა მითხრა: „არა მაქვს ასეთი სამხედრო ბრძანება, რომ ვირწმუნო. ბრძანება რომ მქონოდა, ვირწმუნებდი“.

ლოყებზე ცრემლები ჩამომცვივდა. გული თითქოს ნაკუწებად მიქციეს. ჩემს წინაშე იდგა კაცი, რომლის გონებაც მკვდარი იყო. კაცი, რომელმაც დაკარგა ღვთის მიერ ბოძებული საჩუქარი ადამიანის მოდგმისადმი – მისი ინდივიდუალობა. იგი კომუნისტების ხელში წარმოადგენდა ტვინგარეცხილ იარაღს. ბრძანების თანახმად მზადმყოფს, ერწმუნა თუ არა. მას არ შეეძლო დამოუკიდებლად ფიქრი. ეს იყო ტიპური რუსი, კომუნისტების მრავალწლიანი მმართველობის შედეგი. მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ვიხილე, თუ რა უყო კომუნიზმმა ადამიანებს, ღმერთს აღვუთქვი, რომ ამ ხალხს შევწირავდი ჩემს ცხოვრებას, რომ დავუბრუნებდი მათ პიროვნულ ღირსებებს და რწმენას ღმერთისა და ქრისტესადმი.

1944 წლის 23 აგვისტო. მილიონი რუსი ჯარისკაცი მოვიდა რუმინეთში. მათ მალევე მოჰყვნენ კომუნისტები და ჩვენი ქვეყნის სათავეშიც აღმოჩნდნენ. შემდეგ დაიწყო კოშმარი. რამაც ნაცისტების ქვეშ ტანჯვა კომუნისტებთან შედარებით მარტივი გამოაჩინა.

იმ დროს რუმინეთში, რომელსაც ამჟამად 24 მილიონი მცხოვრები ჰყავს, მაშინ კომუნისტურ პარტიას ჰყავდა ათი ათასი წევრი. მაგრამ ვიშინსკი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩვენი საყვარელი მეფის - მიხეილ პირველის ოფისში მუქარით შეიჭრა და თქვა: „კომუნისტები უნდა დასვა სათავეში“. ჩვენი ჯარი და პოლიცია განაიარაღეს. ძალადობითა და სიძულვილით მოვიდნენ კომუნისტები სათავეში. ეს ყველაფერი არ მომხდარა იმ დროინდელი ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობების მხარდაჭერის გარეშე.

ადამიანი პასუხს აგებს ღვთის წინაშე არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ერის მიერ ჩადენილი ცოდვების გამოც. ყველა დატყვევებული ერის ტრაგედიაზე პასუხისმგებლები არიან ამერიკისა და ბრიტანეთის ქრისტიანები. ამერიკელებმა უნდა იცოდნენ, რომ ერთ დროს ისინი უნებლიეთ დაეხმარნენ რუსებს, როცა მკვლელობისა და ტერორის რეჟიმი შეაჩეჩეს. როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილმა, ამერიკელებმა უნდა გამოისყიდონ დანაშაული და ეს ტყვე ხალხი ქრისტეს სინათლესთან მიიყვანონ.

ეკლესიის საცდური

კომუნისტებმა სათავეში მოსვლისთანავე მარჯვედ გამოიყენეს ცდუნების ხერხი ეკლესიის მიმართ. სიყვარულისა და ცდუნების ენა ერთი და იგივეა. ის, ვისაც გოგონა საცოლედ სურს და ის, ვისაც მხოლოდ ერთი ღამისათვის, ორივე ერთნაირ სიტყვას ამბობს – „მიყვარხარ“. იესო გვეუბნება ვისწავლოთ სიყვარულისა და ცდუნების ენის ერთმანეთისაგან გარჩევა, ცხვრის ტყავში გახვეული მგლის ნამდვილი ცხვრისაგან განსხვავება. საუბედუროდ, როდესაც კომუნისტები სათავეში მოვიდნენ, ათასობით მღვდელმა, ხუცესმა და მსახურმა არ იცოდა, როგორ გაერჩია ეს ორი ენა ერთმანეთისაგან.

მთელი ქრისტიანული სხეულის კონგრესი მოიწვიეს კომუნისტებმა პარლამენტის შენობაში, სადაც ოთხი ათასი მღვდელი, ხუცესი და მსახური ესწრებოდა ყველა დენომინაციიდან და ღვთის ამ კაცებმა იოსებ სტალინი აირჩიეს კონგრესის საპატიო პრეზიდენტად. ამავდროულად ის იყო მსოფლიო მოძრაობის პრეზიდენტი უღმერთობასა და ქრისტიანების მასობრივ ჟლეტაში. ეპისკოპოსები და ხუცესები ერთმანეთის მიყოლებით დგებოდნენ და ადასტურებდნენ, რომ კომუნიზმსა და ქრისტიანობას ერთი ფუნდამენტი აქვს და შესაძლოა ერთად იარსებონ. ერთი მსახური მეორეს მიყოლებით ამბობდა კომუნიზმის სადიდებელ სიტყვას და არწმუნებდა ახალ მთავრობას ეკლესიის ლოიალობაში.

მე და ჩემი მეუღლეც ვესწრებოდით ამ კონგრესს. საბინამ მითხრა: „რიჩარდ, ადექი და ჩამორეცხე ეს სირცხვილი ქრისტეს სახიდან! ესენი მას სახეში აფურთხებენ“. მე ვუთხარი, თუ ასე მოვიქცევი, ქმარს დაკარგავ-მეთქი. მან მიპასუხა, არ ვისურვებდი მშიშარა ქმრის ყოლასო.

მეც ავდექი და კონგრესზე ვისაუბრე და ვადიდე არა ქრისტიანების მკვლელები, არამედ იესო ქრისტე. ვამტკიცებდი, რომ ჩვენი ლოიალობა და მორჩილება პირველ რიგში ქრისტეს მიმართ უნდა გამოგვეჩინა. კონგრესი ტელე-რადიო მაუწყებლობით გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში და მთელ ქვეყანას შეეძლო მოესმინა კომუნისტური პარლამენტიდან

ქრისტეს სიტყვა! რისთვისაც მოგვიანებით უნდა გადამეხადა, მაგრამ ღირდა კიდეც.

მართლმადიდებელი და პროტესტანტული ეკლესიების ლიდერები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კომუნისტების მორჩილებაში. მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა ნამგალი და ურო ამოიქარგა ანაფორაზე და მღვდლებს სთხოვა, რომ ამის შემდეგ მიმართვისას ეწოდებინათ არა „თქვენო უდიდებულესობავ“, არამედ „ამხანაგო ეპისკოპოსო“. პატრასკოსა და როსიანუსნაირი მღდლები უფრო პირდაპირები აღმოჩნდნენ. საიდუმლო პოლიციის თანამშრომლები გახდნენ. რაპმა, რუმინეთის ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსის მოადგილემ, თეოლოგიურ სემინარიაში დაიწყო იმის სწავლება, რომ ღმერთმა სამი გამოცხადება მოგვცა: ერთი მოსეს, მეორე იესოს და მესამე სტალინის სახით, უკანასკნელი პირველ ორს აღემატებოდა.

მე დავესწარი ბაპტისტური ეკლესიის კონგრესს ქალაქ რეზიტაში – წითელი დროშის ქვეშ გამართულ კონგრესს, სადაც საბჭოთა კავშირის ჰიმნის შესრულებისას ყველა ფეხზე იდგა. ბაპტისტების პრეზიდენტი სტალინს განადიდებდა, როგორც ბიბლიის უდიდეს მასწავლებელს და ამტკიცებდა, რომ სტალინს სხვა არაფერი გაუკეთებია, თუ არა ბიბლიის მცნებების შესრულება!

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭეშმარიტი ბაპტისტები, რომლებიც ძალიან მიყვარს, არ დაეთანხმნენ და ქრისტეს ერთგულებად დარჩნენ. ისინი ამის გამო ძალიან ეწამენ. კომუნისტებმა როგორღაც მოახერხეს და თავიანთი ხალხი „აირჩიეს“ ბაპტისტების წინამძღოლებად და პირადად მათ არანაირი არჩევანი აღარ დაუტოვეს, გარდა მათი მიღებისა. ანალოგიური პირობებია დღესაც კომუნისტური ქვეყნების „ოფიციალური“ ეკლესიის ხელმძღვანელობაში.[1] კომუნისტების მსახურებმა დაიწყეს იმ და-ძმების დასმენა, რომლებიც არ შეუერთდნენ მათ ქმედებებს.

1 ოფიციალური ეკლესია არის სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული. დღეს, ტოტალიტარული სისტემის ოფიციალური ეკლესიის წევრების რაოდენობა შეადგენს ქრისტიანების ათ პროცენტს. დანარჩენები „იატაკქვეშა“ ეკლესიაში მსახურებას ამჯობინებენ

რევოლუციის შემდეგ სწორედ ამის გამო მოიგონეს რუსეთის ქრისტიანებმა იატაკქვეშა ეკლესია. კომუნისტების სათავეში მოსვლამ და მრავალი ოფიციალური ეკლესიის ხელმძღვანელი პირისაგან დაბეზღებებმა გვაიძულა რუსების მსგავსად რუმინეთშიც დაგვეარსებინა იატაკქვეშა ეკლესია, რომლის მიზანიც იქნებოდა ევანგელიზაცია და სახარების ქადაგება, ერთგული ღვთის შვილების ქრისტესთან მიყვანა. ამას კომუნისტები კრძალავდნენ, ოფიციალური ეკლესია კი ემორჩილებოდა ამ აკრძალვებს.

სხვებთან ერთად დავიწყე ფარული მუშაობა. გარეგნულად ძალიან სახარბიელო თანამდებობა მეკავა – ნორვეგიული ლუთერანული ეკლესიის ხუცესისა – რაც ჩემს ნამდვილ ფარულ საქმიანობას კარგად ნიღბავდა. ამავდროულად მე წარმოვადგენდი მსოფლიო საეკლესიო კრების მრჩეველს რუმინეთში (რუმინეთში წარმოდგენა არ გვქონდა, თუ ეს ორგანიზაცია კომუნისტებთან ითანამშრომლებდა. იმ დროისათვის მას ჩვენს ქვეყანაში არაფერი გაუკეთებია გარდა სამუშაოს შემსუბუქებისა). ამ ორმა ტიტულმა მომცა შესაძლებლობა, თავი ამერიდებინა ხელისუფლების ეჭვისათვის, რომლებმაც არ იცოდნენ ჩემი იატაკქვეშა მუშაობის შესახებ.

ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენდა ორი რამ: პირველი, საიდუმლო მსახურება რუს ჯარისკაცებს შორის; მეორე – ჩვენი ფარული საქმიანობა რუმინეთის დამონებულ ხალხთან.

რუსები—„მწყურვალე“ სულის ხალხი

ჩემთვის რუსებთან სახარების ქადაგება მეტად სასიხარულო საქმეა. მრავალი ერის წარმომადგენლისათვის მიქადაგია სახარება, მაგრამ არასოდეს მინახავს ხალხი სახარებას ისე ისრუტავდეს, როგორც რუსები. რომლებიც მწყურვალი სულისანი არიან.

ჩემმა მეგობარმა მღვდელმა დამირეკა და მითხრა, რომ რუსი ჯარისკაცი მისულა მასთან აღსარებაზე. მღვდელმა მისი ენა არ იცოდა და რადგან მე ვლაპარაკობდი რუსულად, ჩემი მისამართი მიუცია. მეორე დღეს რუსი ჯარისკაცი ჩემთან



მოვიდა. მას ღმერთი სწყუროდა, მაგრამ ბიბლია არასოდეს ენახა. ბიბლიური განათლება არ ჰქონდა და არც არასოდეს დასწრებია რელიგიურ მსახურებას (იმ დროისათვის ეკლესია ძალიან ცოტა იყო რუსეთში. ამ ადამიანს მაინც უყვარდა ღმერთი მასზე მცირედი წარმოდგენის გარეშე).

მთაზე ქადაგება და იესოს იგავები წავუკითხე სახარებიდან. ამის გაგონების შემდეგ წამოხტა და ოთახში ცეკვას მოყვა, სიხარულით აცხადებდა: „რა მშვენიერია! როგორ შემიძლია ვიცხოვრო ასეთი ქრისტეს ცნობის გარეშე!“ პირველად ვნახე ქრისტეში ასეთი გახარებული ადამიანი.

შემდეგ შეცდომა დავუშვი. ყოველგვარი მომზადების გარეშე ქრისტეს ვნება და ჯვარცმა წავუკითხე. ის ამას არ მოელოდა და როცა გაიგონა, როგორ სცემეს იესო ქრისტე, როგორ აცვეს ჯვარს და ბოლოს როგორ მოკვდა, სავარძელში ჩაეშვა და მწარედ ატირდა. მას მხსნელის სწამდა და ახლა მისი მხსნელი მკვდარი იყო!

შევხედე და შემრცხვა. ჩემს თავს ვუწოდებდი ქრისტიანს, ხუცესსა და სხვების მასწავლებელს, მაგრამ არასოდეს ისე არ გამიზიარებია ქრისტეს ტანჯვა, როგორც ამ რუს ჯარისკაცს. ვუყურებდი ამ კაცს და ვადარებდი ჯვარზე იესოს ფეხებთან და შემდეგ მის სამარხში ერთგულად მოტირალ მარიამ მაგდალინელს.

მერე აღდგომის ამბავი წავუკითხე და დავინახე, რომ ემოცია შეეცვალა. მან არ იცოდა, რომ მხსნელი სამარხიდან აღდგა. როდესაც ეს სასიხარულო ისტორია გაიგო, მუხლებზე იცემდა და იგინებოდა – ბინძურ სიტყვებს იყენებდა, მაგრამ ძალიან „სულიერი“ გაგებით. ეს იყო მისი უხეში მეტყველების მანერა. კვლავ გაიხარა და მხიარულება დაიწყო: „ის ცოცხალია! ის ცოცხალია!“ კიდევ ერთხელ დაიწყო ოთახში ცეკვა მოჭარბებული სიხარულისაგან!

მე მას ვუთხარი: „მოდი ვილოცოთ!“ არ იცოდა როგორ ელოცა, არ იცოდა ჩვენი „სულიერი“ ფრაზები. ჩემთან ერთად დაეცა მუხლებზე და ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „ოჰ ღმერთო, რა მშვენიერი ხარ! მე რომ შენს ადგილას ვყოფილიყავი, არასოდეს ვაპატიებდი ჩემნაირებს ცოდვებს. მაგრამ შენ ნამდვილად კარგი კაცი ხარ! მთელი ჩემი გულით მიყვარხარ“.

ვფიქრობ, ანგელოზებმა ზეცაში შეწყვიტეს ყოველგვარი საქმის კეთება რათა მოესმინათ რუსი ოფიცრის განდიდების ლოცვა. ადამიანი შეძენილ იქნა ქრისტესათვის!

რუს კაპიტანს შევხვდი მაღაზიაში, ქალ ოფიცერთან ერთად. რაღაცებს ყიდულობდნენ და უჭირდათ გამყიდველთან საუბარი, რომელსაც რუსული არ ესმოდა. დახმარება შევთავაზე და მალე დავახლოვდით. სადილად სახლში მივიწვიე. სადილობის დაწყებამდე ვუთხარი: „თქვენ ახლა ქრისტიანულ სახლში იმყოფებით, სადაც ლოცვის ტრადიცია გვაქვს“. ლოცვა რუსულად წარმოვთქვი. მათ დანა-ჩანგალი მაგიდაზე დადეს და საჭმლისათვის პირი აღარ დაუკარებიათ. ამის ნაცვლად სტუმრები კითხვებს კითხვებზე სვამდნენ ღმერთის, ქრისტესა და ბიბლიის შესახებ. არაფერი იცოდნენ.

ადვილი არ იყო მათთან საუბარი. იგავი ვუამბე კაცზე, რომელსაც ასი ცხვარი ჰყავდა და მათგან ერთი დაეკარგა. ვერ გაიგეს, რადგან კომუნისტური იდეებით ჰქონდათ ტვინი გარეცხილი. სტუმრებმა იკითხეს „როგორ მოხდა, რომ მას ასი ცხვარი ჰყავს? კომუნისტურმა კოლექტივმა არ ჩამოართვა? შემდეგ ვთქვი, რომ იესო არის მეფე. მათ მიპასუხეს. „ყველა მეფეს ჰყავდა ცუდი კაცი, რომლებიც ხალხს აკონტროლებდნენ, ასე რომ, იესო დიქტატორი უნდა იყოს“. როცა მევენახეების იგავი ვუთხარი, მათ თქვეს: „კარგად მოქცეულან ვენახის მეპატრონის მიმართ. ვენახი კოლექტივს უნდა ეკუთვნოდეს“. ყველაფერი ახალი იყო მათთვის. შემდეგ იესოს შობის შესახებ ვუამბე, მათ მკითხეს რა იქნებოდა დასაგმობი დასავლელებისათვის, „მარიამი ღმერთის ცოლი იყო?“ ამათ გარდა, სხვა მრავალ რუსთან სახარების ქადაგებაში დავადგინე, რომ მრავალწლიანი კომუნისტური რეჟიმის შემდეგ სრულიად სხვაგვარად უნდა მივდგომოდით მათ.

ეს ჭეშმარიტება სხვა მრავალ კულტურასაც შეეხება. ცენტრალურ აფრიკაში წასულ მისიონერებს გაუჭირდათ ესაიას 1,18 მუხლის თარგმნა – „ყირმიზივით რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება“. ცენტრალურ აფრიკაში არავის უნახავს თოვლი, ასე რომ, სიტყვაც არ ჰქონდათ შესაფერისი. მისიონერებს ასე უნდა გადაეთარგმნათ: „თქვენი ცოდვები გასპეტაკდება როგორც ქოქოსის გული“.

ჩვენც „მარქსისტულ ენაზე“ უნდა გადაგვეთარგმნა ბიბლია, რათა შეძლებოდათ მასთან გაიგივება. ეს იყო ის, რისი გაკეთებაც ჩვენ თვითონ არ შეგვეძლო, მაგრამ სულიწმიდამ გააკეთა თავისი საქმე ჩვენით.
კაპიტანი და ოფიცერი ქალბატონი იმ დღეს მოექცნენ. მოგვიანებით, მათ დიდი დახმარება გაგვიწიეს რუსებთან იატაკქვეშა საქმიანობაში.
საიდუმლოდ დავბეჭდეთ და რუსებში გავავრცელეთ ათასობით სახარება და სხვა სახის ქრისტიანული ლიტერატურა. მოქცეული რუსი ჯარისკაცების მეშვეობით მალვით გადაგვქონდა ბიბლიები რუსეთში. სხვა ტექნიკაც გამოვიყენეთ ღვთის სიტყვის ასლების რუსების ხელში მოსახვედრად. რუსი ჯარისკაცები რამდენიმე წელი იბრძოდნენ და მიტოვებული ჰყავდათ ცოლ-შვილი, რომლებიც დიდი ხანი არ ენახათ (რუსებს განსაკუთრებული, თბილი ურთიერთობა აკავშირებთ შვილებთან). ჩემი შვილი მიხეილი და სხვა ათ წლამდე ასაკის ბავშვები, მივიდოდნენ რუს ჯარისკაცებთან, ქუჩაში თუ პარკში ბიბლიით, სახარებითა თუ სხვა ლიტერატურით. რუსი ჯარისკაცები თავზე ხელს გადაუსვამდნენ, სიყვარულით გამოელაპარაკებოდნენ, ფიქრობდნენ რა საკუთარ შვილებზე, რომლებიც წლების მანძილზე არ ენახათ. ჯარისკაცები ბავშვებს შოკოლადს ან კანფეტს მისცემდნენ. სანაცვლოდ ბავშვები აძლევდნენ ბიბლიას და სახარებას, რასაც დიდი სიხარულით იღებდნენ. ხშირად რისი ღიად გაკეთებისაც უფროსებს გვეშინოდა, პატარები სრულიად უსაფრთხოდ ასრულებდნენ. ისინი „ახალგაზრდა მისიონერები“ იყვნენ რუსებისათვის. შედეგი არაჩვეულებრივი იყო. მრავალმა რუსმა ჯარისკაცმა მიიღო სახარება. მაშინ, როცა სხვა გზა არ იყო, მათთან ამის მისატანად.

რუსული არმიის ბარაკებში ქადაგება

რუსებთან არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ ჯგუფურადაც ვმუშაობდით.
რუსებს ძალიან უყვარდათ საათები. ყველას საათებს პარავდნენ. ხალხს აჩერებდნენ ქუჩებში და მოითხოვდნენ, რომ

გამვლელებს მოეხსნათ საათი და რუსი ჯარისკაცებისათვის გადაეცათ. რუსებს დაინახავდით რამდენიმე საათით ხელზე და რუს ოფიცერ ქალებს მაღვიძარა საათით კისერზე. საათი არასოდეს ჰქონიათ და ახლა ველარ კმაყოფილდებოდნენ. თუ რომელიმე რუმინელს სურდა, რომ საათი ეყიდა, შეეძლო ბარაკებში წასულიყო და მოპარული საათი ეყიდა რუსებისაგან. ხშირად საკუთარ საათებს ყიდულობდნენ ხელმეორედ. ასე რომ, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა რუმინელების რუსების ბარაკებში სტუმრობა. იატაკქვეშა ეკლესიამაც იგივე ხერხი გამოიყენა – საათების შესყიდვა – ბარაკებში შესვლის მიზეზად.

პირველად, როდესაც ბარაკებში ვიქადაგე, წმინდა პავლესა და წმინდა პეტრეს დღე იყო, მართლმადიდებლური ქეიფი. ბანაკში საათის ყიდვის საბაბით შევედი. ვითომდა ეს საათი ძვირი იყო, მეორე ძალიან პატარა, სხვა ძალიან დიდი. რამდენიმე ჯარისკაცი შეგროვდა ჩემს გარშემო, თითოეული საკუთარ საათს მთავაზობდა. ხუმრობით შევეკითხე: „რომელიმე თქვენგანს ხომ არ ქვია პეტრე ან პავლე?“ რამდენიმე კაცი აღმოჩნდა ამ სახელების მატარებელი. შემდეგ ვუთხარი: „იცით, თუ არა რომ დღეს მართლმადიდებელი ეკლესია პატივს მიაგებს წმ. პავლესა და პეტრეს?“ (ზოგიერთმა უფროსი ასაკის კაცმა იცოდა). მაშინ შევეკითხე: „იცით, ვინ იყვნენ ისინი?“ არავინ არ იცოდა, მეც ვუამბე მათ შესახებ. ერთ-ერთმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა შემაწყვეტინა და თქვა: „შენ აქ საათის საყიდლად არ მოსულხარ. მოხვედი, რათა რწმენის შესახებ გვიამბო. დაჯექით ჩვენთან ერთად და გააგრძელეთ თხრობა! მაგრამ ფრთხილად იყავით! ვიცით, ვისაც უნდა ვუფრთხოდეთ. ესენი, ჩემს გარშემო კარგი ხალხია, მაგრამ როცა ხელს მუხლზე დავიდებ, მაშინ მხოლოდ საათზე ილაპარაკეთ, გეთაყვა. როცა ხელს ავიღებ შეგიძლიათ ისევ რწმენაზე გააგრძელოთ“.

საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი შეიკრიბა ჩემს გარშემო და უსმენდნენ წმ. პავლეს, პეტრესა და ქრისტეს შესახებ ამბავს, ვის გამოც ეს ორი ადამიანი მოკვდა. ხანდახან ვიღაცა შემოვიდოდა, ვისაც ჯგუფი არ ენდობოდა. ჯარისკაცი მუხლზე ხელს დაიდებდა და საათებზე ვიწყებდი საუბარს. როცა კაცი ოთახიდან გავიდოდა, ქრისტეზე ვაგრძელებდი ქადაგებას.



მსგავსი ვიზიტი არაერთხელ შემდგარა რუსი ქრისტიანი ჯარისკაცების დახმარებით. მრავალმა ამხანაგმა შეიცნო ქრისტე და ათასობით სახარება საიდუმლოდ გავრცელდა.
რამდენიმე ჩვენი და-ძმა დაიჭირეს და მაგრად სცემეს ამისათვის, მაგრამ არ გასცეს ჩვენი ორგანიზაცია.
ამ მუშაობის განმავლობაში შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით ჩვენს თანამოძმე რუს იატაკქვეშა მუშაკებს რუსეთში და გავცნობოდით მათ საქმიანობასა და გამოცდილებას. პირველ რიგში, მათში დავინახეთ მცდელობა შეენარჩუნებინათ წმინდანის სული. მიუხედავად მრავალწლიანი კომუნისტური დოქტრინების გამოვლისა, როგორც თევზი ინარჩუნებს მარილიან წყალში ტკბილ ხორცს, ასევე რუსებმაც უამრავი კომუნისტური ინსტიტუტის გავლის შემდეგ, შეძლეს ქრისტეში წმინდა სულის დაცვა.
ამ რუს ქრისტიანებს შესანიშნავი სული გააჩნდათ! მათ თქვეს: „ვიცით რომ ნამგალი და ურო, რომელ სიმბოლოსაც ქუდებზე ვატარებთ, არის ანტიქრისტეს ვარსკვლავი“. ამას დიდი მწუხარებით ამბობდნენ. ისინი დიდად დაგვეხმარნენ რუს ჯარისკაცებში სახარების გასავრცელებლად.
შემიძლია ვთქვა, რომ ქრისტიანულ ღირსებას ატარებდნენ, გარდა სიხარულის განცდისა. მხოლოდ საუბარში თუ შეამჩნევდით მცირეოდენ სიხარულს, რომელიც მერე ქრებოდა. ძალიან ხშირად მინახავს მსგავსი რამ. ერთხელ, ერთ ბაპტისტს შევეკითხე: „როგორ შეიძლება რომ სიხარულს არ იცნობთ?“ მან მიპასუხა: „როგორ შეიძლება მიხაროდეს, როცა ჩემი ეკლესიის ხუცესიდან უნდა დავმალო, რომ ჭეშმარტი ქრისტიანი ვარ, რომ ლოცვით ცხოვრებას მივდევ, რომ ვცდილობ სულების დახსნას? ხუცესი საიდუმლო პოლიციის აგენტია. ერთმანეთს ვჯაშუშობთ და მწყემსები სამწყსოს ყიდიან. ძალიან ღრმად ჩვენს გულებში არსებობს ხსნის სიხარული, მაგრამ ისეთი გარეგნული სიხარული, როგორიც თქვენ გაქვთ – ჩვენ აღარა გვაქვს“.
ქრისტიანობა დრამატულად გადმოიღვარა ჩვენში. როდესაც ქრისტიანები თავისუფალ ქვეყანაში სულს შეიძენენ, ახალ წევრს შესაძლებლობა აქვს წყნარად გააგრძელოს ცხოვრება ეკლესიაში. როცა დატყვევებულ ქვეყნებში ვიცით, რომ

ახლად მოქცეულებს შესაძლოა ციხეში წასვლამ მოუწიოს და მისი შვილები დაობლდნენ კიდეც. ქრისტესთან ადამიანის მოყვანის სიხარული ერთდროულად იმ მწუხარებასთანაც არის დაკავშირებული, რამაც შესაძლოა მძიმე საზღაურის გადახდა გამოიწვიოს. სრულიად განსხვავებული ტიპის ქრისტიანებს შევხვდით – იატაკქვეშა ეკლესიის ქრისტიანების სახით, სადაც მრავალ სიურპრიზს წავაწყდით, სადაც მრავალი ფიქრობდა, რომ ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ არ იყვნენ. მრავალ რუსს შევხვდით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ათეისტები იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში არ იყვნენ.

რუსი ოფიცერი დაჯდა ჩემს წინ მატარებელში. მხოლოდ რამდენიმე წუთი ვესაუბრე ქრისტეს შესახებ და უკვე შეუბრალებელი ათეისტური არგუმენტებით შემომეგება. მარქსის, სტალინის, დარვინისა და სხვების ციტატები ბიბლიის წინააღმდეგ, წყაროს წყალივით გადმოედინებოდა მისი პირიდან. შეპასუხების შესაძლებლობა არ დამიტოვა. რამდენიმე საათი ილაპარაკა, რათა დავერწმუნებინე, რომ ღმერთი არ არსებობს. როცა დაამთავრა, შევეკითხე: „თუ ღმერთი არ არის, რატომ ლოცულობ როდესაც განსაცდელში ხარ?“ როგორც ქურდობაზე წასწრებული ქურდი, ისე შეცბა და მიპასუხა: „რა იცი, რომ ვლოცულობ?“ აღარ დავუტოვე გასაქცევი. „არა, პირველად მე შეგეკითხეთ“. „რატომ ლოცულობთ? გთხოვთ, მიპასუხოთ!“ თავი დახარა და აღიარა: „ფრონტზე, როდესაც გერმანელების მიერ გარშემორტყმულნი ვიყავით, ყველა ვლოცულობდით! არავინ იცოდა როგორ გველოცა“. და ასე ვთქვით: „ღმერთო და დედის სულო“ – რაც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ კარგი ლოცვაა, ჩვენი გულთამხილავის თვალში.

რუს წყვილს შევხვდი, ორივე სკულპტურისტები იყვნენ. ღმერთის შესახებ ვესაუბრე, მათ მიპასუხეს: „არა. ღმერთი არ არსებობს“. ჩვენ „ბეზბოჟნიკები“ ვართ – უღმერთოები. მაგრამ ერთ საინტერესო რამეს გეტყვით, რაც შეგვემთხვა.

„ერთხელ, სტალინის სკულპტურაზე ვმუშაობდით. მუშაობისას მეუღლემ მკითხა: „რას ფიქრობ ცერა თითის შესახებ? წინააღმდეგობის გაწევის უნარიანი ცერა თითი რომ არ გვქონდეს – ჩვენი თითები რომ ფეხის თითებივით

ყოფილიყვნენ – არ შეგვეძლებოდა ჩაქუჩის, იარაღის, წიგნის, ან პურის ნაჭრის დაჭერა. ადამიანის მოდგმის არსებობა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ამ პატარა რამის გარეშე. ახლა გეკითხები, ჩვენ შევქმენით ცერა თითი? ჩვენ ორივეს მარქსიზმის სკოლა გვქონდა გავლილი და ვიცოდით, რომ ცა და დედამიწა თავისთავად არსებობენ და ღმერთის მიერ არ არიან შექმნილი. ასე ვისწავლეთ და ასე გვჯეროდა. მაგრამ, თუ ღმერთმა არ შექმნა ცა და დედამიწა, და თუ მხოლოდ ცერა თითი შექმნა, მხოლოდ ასეთი პატარა რამისათვისაც კი განდიდების ღირსი იქნებოდა“.

ჩვენ ვადიდებთ ედისონს, ბელს და სტეპენსონს, ვინც გამოიგონეს ნათურა, ტელეფონი, მატარებელი და სხვა საგნები. მაგრამ რატომ არ უნდა განვადიდოთ ის, ვინც ცერა თითი შექმნა? ედისონს რომ ცერა თითი არ ჰქონოდა, ვერაფერს ვერ შექმნიდა. უფრო სწორი იქნება ემსახურო ცერა თითის გამომგონებელ ღმერთს“.

ქმარი ძალიან გაბრაზდა, რაც კაცებს ხშირად ემართებათ, როდესაც ქალები ბრძნულ რამეს იტყვიან. „სისულელეს ნუ ლაპარაკობ! შენ ისწავლე, რომ ღმერთი არ არსებობს. არ იცი სახლი სავსეა თუ არა ობობის ქსელებით. შეიძლება გავებათ. ერთხელ და სამუდამოდ დაიჯერე, რომ ღმერთი არ არსებობს. ზეცაში არის არავინ!“ (Nobody – არავინ, უსხეულო, ანუ ვინმე ან რამე სხეულის გარეშე).

ქალმა უპასუხა: „ეს პირველზე დიდი საოცრებაა. თუ ზეცაში ყოვლისშემძლე ღმერთია, რომლისაც ჩვენს წინაპრებს სწამდათ, მაშინ ბუნებრივია, რომ ცერა თითი გვქონდეს. ყოვლისშემძლე ღმერთში ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია, ასე რომ, მას ცერა თითის შექმნაც შეუძლია. მაგრამ თუ ზეცაში არავინაა, მაშინ ჩემს გულში ვეთაყვანები „არავის“, ვინც შექმნა ცერა თითი“.

ასე გახდნენ ცოლ-ქმარი „არავის“ მსახურები! თანდათან გაიზარდა მათი რწმენა „არავის“ მიმართ, სწამდათ, რომ იგი იყო არა მხოლოდ ცერა თითის შემქმნელი, არამედ ვარსკვლავების, ყვავილების, ბავშვებისა და ყოველივე ლამაზის ცხოვრებაში. ზუსტად ისე, როგორც დიდი ხნის წინათ ათენში, როდესაც პავლე „უცნობი ღმერთის“ მსახურებს შეხვდა (საქმე 17,23).

ამ წყვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემგან მოისმინეს, რომ სწორად სწამდათ, რაც სწამდათ, რომ ზეცაში ნამდვილად არის „უსხეულო“ ღმერთი, რომელიც არის სული. ის არის სიყვარულის, სიბრძნის, ჭეშმარიტებისა და ძალის სული, რომელმაც ისე შეიყვარა ისინი რომ თავისი მხოლოდშობილი ძე შესწირა მათთვის ჯვარზე.

მათ ისე სწამდათ ღმერთის, რომ არ იცოდნენ. მათი რწმენის წინსვლაში მონაწილეობის პრივილეგია მე მხვდა წილად – განეცადათ ხსნა და გამოსყიდვა.

ერთხელ, ერთ რუს ოფიცერ ქალბატონს შევხვდი ქუჩაში. ბოდიშის მოხდით მივუახლოვდი და ვუთხარი: „ვიცი უზრდელობაა უცნობ ქალთან ქუჩაში გამოლაპარაკება, მაგრამ ხუცესი ვარ და ჩემი განზრახვაც წმინდაა. მინდა ქრისტეს შესახებ გესაუბროთ“. მან მკითხა: „ქრისტე გიყვარს?“ მეც ვუთხარი: „დიახ! მთელი ჩემი გულით“. გადამეხვია და კოცნა დამიწყო. ხუცესისათვის უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, მეც ვაკოცე საპასუხოდ, ვიმედოვნებდი რა, რომ ხალხი იფიქრებდა ნათესავები არიანო. მან სიხარულით მითხრა: „მეც მიყვარს ქრისტე!“ ქალბატონი სახლში მივიწვიე და ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ არაფერი არ იცოდა ქრისტეს შესახებ – საერთოდ არაფერი – გარდა სახელისა. მიუხედავად ამისა, მაინც უყვარდა. მან არ იცოდა რომ ის მხსნელია ან რას ნიშნავს ხსნა. არ იცოდა სად ცხოვრობდა და როგორ მოკვდა ქრისტე. არ იცოდა მისი სწავლება, მისი ცხოვრება თუ მსახურება. ეს ადამიანი ჩემთვის ფსიქოლოგიურ საკვირველებას წარმოადგენდა: როგორ შეიძლება გიყვარდეს ვინმე, ვისი მხოლოდ სახელიც იცი?

როდესაც ვკითხე ამიხსნა: „ბავშვობაში მასწავლიდნენ სურათებით კითხვას. „ა“ ნიშნავდა აის, „ბ“– ბუს: „გ“– გოგრას და ასე შემდეგ.

1. „როცა უმაღლესში ჩავაბარე, მასწავლიდნენ, რომ ჩემი წმინდა მოვალეობა იყო კომუნისტური სამშობლოს დაცვა. მასწავლიდნენ კომუნისტური მორალის შესახებ. მაგრამ არაფერი ვიცოდი „წმინდა მოვალეობასა“ და „მორალ“-ზე. სურათი მჭირდებოდა ამის წარმოსადგენად. ვიცი, რომ ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ყველაზე ლამაზის, დიდების ღირსისა და

ჭეშმარიტის სურათი. ბებიაჩემი ყოველთვის ქედს იხრიდა ამ სურათის წინაშე, ამბობდა, რომ ეს იყო ქრისტედ წოდებულის სურათი. ეს სახელი მიყვარდა თავისთავად. ეს სახელი ნამდვილი გახდა ჩემთვის! შემიძლია ვთქვა, რომ ამ სახელმა დიდი სიხარული მომანიჭა“.

ვუსმენდი და მაგონდებოდა რომაელთა 2,10, რომ იესოს სახელის წინაშე მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა. ალბათ ანტიქრისტეს შეეძლება წაშალოს კაცობრიობიდან ღმერთის ცოდნა. მაგრამ ქრისტეს ამ უბრალო სახელში არის ძალა, რომელიც წარუძღვება ხალხს სინათლისაკენ.

მან დიდი სიხარულით იპოვა ქრისტე ჩემს სახლში და ახლა, ის, ვისი სახელიც მას ასე ძალიან უყვარდა, მის გულში გაცოცხლდა.

ყოველი წუთი რუსებთან ურთიერთობისა სავსე იყო პოეტურობითა და სიღრმისეული გაგებით. დამ, რომელიც რკინიგზის სადგურზე ავრცელებდა სახარებას, დაინტერესებულ ლეიტენანტს ჩემი მისამართი მისცა. ერთ საღამოს სახლში შემოვიდა მაღალი, მოხდენილი რუსი ლეიტენანტი.

შევეკითხე: „რით შემიძლია გემსახუროთ?“

მიპასუხა: „სინათლისათვის მოვედი“.

სახარების მნიშვნელოვანი ადგილის კითხვა დავიწყე. ხელი ხელზე დამადო და მითხრა: „მთელი გულით გთხოვ, მცდარობისაკენ არ წამიძღვე. მე ვეკუთვნი სიბნელეში მყოფ ხალხს. მითხარით, გეთაყვა, ეს ნამდვილად ღმერთის ჭეშმარიტი სიტყვაა?“ დავარწმუნე, რომ ნამდვილი იყო. რამდენიმე საათი მოისმინა და ქრისტე მიიღო.

რუსები იშვიათად გამოხატავენ რელიგიისადმი ზედაპირულობას. ისინი ქრისტეს წინააღმდეგ იბრძვიან თუ მის დასაცავად, მთელი სულით აკეთებენ, რასაც აკეთებენ. აი, რატომ იყო რომ ქრისტიანი მისიონერები სულებს იძენდნენ კომუნისტურ რუსეთში. რუსები ისტორიულად რელიგიური ხალხი არიან. ასეთი ქვეყნები, როგორც წესი, მზად არიან სამკალად სახარებისეული საქმისათვის და მსოფლიოს კურსის ცვლილება იწყება როგორც კი მათთან აგრესიულ ქადაგებას ვიწყებთ. ეს ისეთი ტრაგედიაა, რომ რუსეთი და მისი ხალხები

ღვთის სიტყვის შიმშილს განიცდიან, რომელთა უმრავლესობა გზას მალე უხვევს.
რუსებთან ჩვენმა მსახურებამ მრავალი ნაყოფი გამოიღო.
მახსოვს პიოტრი (პეტრე). არავინ იცის რუსეთის რომელ ციხეში გაუჩინარდა. ისეთი ახალგაზრდა იყო – ალბათ, ოცი წლის. იგი რუმინეთში რუს არმიასთან ერთად მოვიდა. იატაკქვეშა ეკლესიაში მოექცა და მონათვლა მთხოვა.
მისი ნათლობის შემდეგ ვკითხე, თუ რომელმა ბიბლიისეულმა მუხლმა მოახდინა მასზე ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქრისტესთან მისვლა გადაწყვიტა.
მან თქვა, რომ ერთ ჩვენს საიდუმლო შეხვედრაზე, ლუკას 24 თავი წამიკითხავს, ემაუსის გზაზე მიმავალი იესოს ორ მოწაფესთან შეხვედრის ამბავი. როდესაც სოფელს მიუახლოვდნენ, „ის (იესო) კი თითქოს გზის გაგრძელებას აპირებდა“ (28 მუხლი). პიოტრმა იკითხა: „მიკვირს რატომ თქვა ეს იესომ. მას დარწმუნებით უნდოდა მოწაფეებთან დარჩენა. მაშინ რატომ თქვა, რომ წასვლა უნდოდა?“ ჩემი ახსნაა, რომ იესო თავაზიანი იყო. მას უნდოდა ცოდნოდა, რომ გულით ეპატიჟებოდნენ. როდესაც დაინახა, რომ ერთი სული ჰქონდათ მასთან ერთად ყოფნის, სიხარულით დარჩა იმ სახლში. კომუნისტები უზრდელები არიან. ისინი ძალმომრეობით შემოიჭრნენ ჩვენს გულსა და გონებაში. ისინი გვაიძულებენ მათ ვუსმინოთ დილიდან საღამომდე. რასაც აკეთებენ სკოლების, რადიოების, გაზეთების, აფიშების, ფილმების, ათეისტური შეხვედრებით და ყველგან, სადაც კი მიმოიხედავთ. იძულებით უნდა ვუსმინოთ მათი უღმერთობის პროპაგანდას, მოგვწონს თუ არა, მაინც. იესო პატივს სცემს ჩვენს თავისუფლებას. იგი თავაზიანად აკაკუნებს ჩვენი გულის კარზე.
„იესომ თავისი თავაზიანობით შემიძინა მე“, – თქვა პიოტრმა.
კომუნიზმსა და ქრისტეს შორის აშკარა განსხვავებულობამ დაარწმუნა იგი. ის არ იყო ერთადერთი რუსი, ვინც ასე მოხიბლა იესოს ხასიათმა (როგორც ხუცესს, მე არასოდეს მიფიქრია ასე).
პიოტრმა მოქცევის შემდეგ არა ერთხელ დააყენა საფრთხის ქვეშ საკუთარი სიცოცხლე, რუმინული იატაკქვეშა ეკლესიის დახმარებისა და რუსეთში ბიბლიების ჩუმად შეტანის მიზნით. მაინც დაიჭირეს. ბოლოს, როდესაც მის შესახებ შევიტყვე,

ციხეში იჯდა. მოკვდა? უკვე ზეცაშია თუ კეთილი ბრძოლით იბრძვის ამ დედამიწაზე? არ ვიცი. მხოლოდ ღმერთმა იცის, სად არის ის დღეს.
პიოტრის მსგავსად, სხვებიც მხოლოდ მოქცევას არ დაჯერდნენ. არასოდეს არ უნდა შევწყვიტოთ ქრისტესათვის სულების შეძენა. ამით მხოლოდ ნახევარ საქმეს გავაკეთებთ. ყოველი ახალმოქცეული სული უნდა ჩამოყალიბდეს სულების შემძენად. რუსები არა მხოლოდ მოექცნენ, არამედ იატაკქვეშა ეკლესიის „მისიონერები“ გახდნენ. უგუნურები და გამბედავები იყვნენ ქრისტესათვის, ყოველთვის ამბობდნენ, რომ ეს იყო ყველაზე მცირე, რისი გაკეთებაც კი შეეძლოთ იმისათვის, ვინც მათთვის მოკვდა.

ჩვენი იატაკქვეშა მუშაობა დამონებულ ერთან

ჩვენი მსახურების მეორე მხარეს წარმოადგენდა რუმინელებში ფარული მისიონერობა.
კომუნისტები ეკლესიის ლიდერებს აცდუნებდნენ თავიანთ სასარგებლოდ, მაგრამ ძალიან მალე ნიღაბი ჩამოეხსნა მათ საქმიანობას. შემდეგ ტერორი დაიწყო, რასაც ათასობით ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა. სულის მოგება დრამატულ საქმედ გადაიქცა ჩვენთვის, ისევე როგორც რუსებისათვის.
მაგალითად, იმ ადამიანებთან ერთად ვიყავი ციხეში, რომელთა სულებიც მოგვიანებით ღმერთმა მაჩუქა. ჩემს საკანში იყო კაცი, რომელმაც სახლში ექვსი შვილი დატოვა და ციხეში იჯდა ქრისტიანული რწმენისათვის. მისი ცოლ-შვილი შიმშილობდა. შესაძლებელი იყო მას ისინი ვეღარასოდეს ენახა. შევეკითხე: „რაიმე საწინააღმდეგო ხომ არა გაქვს ჩემს მიმართ, ქრისტესთან რომ მიგიყვანე, რის გამოც შენი ოჯახი ახლა ასეთ ტანჯვაშია?“ მან მიპასუხა: „სიტყვები არ მყოფნის მადლობის გამოსახატავად, რომ შენ ჩემს ძვირფას მხსნელთან მიმიყვანე. სხვაგვარად ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ჩემთვის“.
ამ ახალ პირობებში ქადაგება ადვილი არ იყო. ჩვენი ხალხი ძალიან დიდ შევიწროებას განიცდიდა. კომუნისტებმა ყველას ჩამოართვეს საკუთრება. ფერმერებს ჩამოართვეს მიწები და ცხვრები. პარიკმახერებს და მკერავებს სალონები. არა

მხოლოდ კაპიტალისტები იყვნენ ექსპროპრირებულები; ძალიან ღარიბიც კი ადრინდელზე მეტად იტანჯებოდა. თითქმის ყოველ ოჯახს ჰყავდა ციხეში ერთი წევრი მაინც, სიღარიბე კი ზღვარს აღწევდა. ადამიანები კითხულობდნენ: „როგორ ხდება, რომ სიყვარულის ღმერთი გამარჯვების ნებას რთავს ბოროტებას?“

იმის მსგავსად, როგორც მოციქულებისათვის ადვილი არ იქნებოდა დიდ ხუთშაბათს სახარების ქადაგება, რადგან იესო ჯვარზე მოკვდა ღაღადით: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?“ ფაქტი, რომ მუშაობა კვლავ გრძელდებოდა, იყო ღვთიდან და არა ჩვენგან. ქრისტიანულ რწმენას აქვს ამაზე პასუხი. მაგალითად, იესომ გვიამბო ლაზარეს, ღარიბი მათხოვრის ამბავი, ისიც ისევე იყო შევიწროებული, როგორც ჩვენ – კვდებოდა, შიოდა, წყლულებს ძაღლი ულოკავდა – მაგრამ ბოლოს, ანგელოზებმა წაიყვანეს მისი სული აბრაამის წიაღში.

როგორ მუშაობდა იატაკქვეშა ეკლესია ნაწილობრივ ღიად

იატაკქვეშა ეკლესია საიდუმლოდ იკრიბებოდა სახლებში, ტყეებში, სარდაფებში – სადაც მოუხერხდებოდათ. როგორც დღეს ხდება მრავალ დატყვევებულ ერში, რუმინეთის ფარული ეკლესია ნაწილობრივ იატაკქვეშა იყო. როგორც აისბერგი, მისი მცირე ნაწილი იყო მხოლოდ გახსნილი. კომუნიზმის ეპოქაში გამოვიგონეთ ქუჩაში ქადაგება, რაც დიდი რისკი იყო, მაგრამ ამ გზით მრავალი სული შევიძინეთ, რაც ასეთი მსახურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ჩემი მეუღლეც აქტიურობდა ამ საქმეში. რამდენიმე მორწმუნე ქუჩის კუთხეში შეიკრიბებოდა და ჩუმად დაიწყებდა გალობას. მალე ხალხი ამ ლამაზი სიმღერის მოსასმენად ჩერდებოდა, რის შემდეგაც ჩემი მეუღლე შეკრებილებს სიტყვით მიმართავდა და დები ადგილს საიდუმლო პოლიციის მოსვლამდე ტოვებდნენ.

ერთ დღეს, როდესაც მე სხვა საქმით ვიყავი დაკავებული, ჩემმა მეუღლემ მალახას ქარხნის ათასობით მუშას უქადაგა ბუქარესტში. მან ხალხს უთხრა ღმერთისა და ხსნის შესახებ.

მომდევნო დღეს, რამდენიმე მუშა დახვრიტეს კომუნისტების უსამართლობის წინააღმდეგ გაფიცვაში მონაწილეობისათვის. მუშებმა სიტყვა კარგ დროს მოისმინეს!

იატაკქვეშა ეკლესიაში ვიყავით, მაგრამ როგორც იოანე ნათლისმცემელი, ცხადად ველაპარაკებოდით მმართველებს ქრისტეს შესახებ. ერთხელ, მთავრობის შენობის საფეხურებზე, ორი ძმა ეცადა პირველ მინისტრ, გეორგიუ დეჯისაკენ გზის გაკვალვას. რამდენიმე წუთში მიზანს მიაღწიეს და იესოს შესახებ დაუმოწმეს, სთხოვდნენ ცოდვიდან შემობრუნებულიყო და დევნისათვის თავი დაენებებინა. მინისტრმა ეს ორი ძმა ციხეში გააგზავნა ამ გაბედულებისათვის. მოგვიანებით, მაგრამ მაინც, მათმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, რისთვისაც ციხეში იტანჯებოდნენ. წლების შემდეგ, როდესაც პირველი მინისტრი დეჯი ძალიან ცუდად გახდა, საჭიროების ჟამს გაახსენდა ქადაგება. როგორც ბიბლია ამბობს: „ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი, მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე ბასრი“ (ებრაელთა 4,12). სიტყვებმა მის გაქვავებულ გულში შეაღწიეს და მანაც სიცოცხლე ქრისტეს ჩააბარა. ცოდვები აღიარა, მხსნელი მიიღო და დაიწყო მისადმი ავადმყოფობაში მსახურება. არც ისე დიდი ხნის შემდეგ გარდაიცვალა და ახლად შეძენილ მხსნელთან წავიდა. ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ორმა ქრისტიანმა ისურვა ამისათვის საფასურის გადახდა. ყოველივე დიდი გამხნევებაა დატყვევებული ერებისათვის.

კომუნისტური ძალადობის ქვეშ სახარების გაზიარება რთულდებოდა, მაინც მივაღწიეთ წარმატებას რამდენიმე პამფლეტის დაბეჭდვაში, მკაცრი კომუნისტური ცენზურის გავლის შედეგადაც კი. ცენზორს ვაჩვენებდით პირველ გვერდს, სადაც კარლ მარქსის სურათი იყო დაბეჭდილი, კომუნიზმის ერთ-ერთი დამაარსებლის და სათაურებს, როგორიცაა რელიგია ხალხის ოპიუმი. ცენზორი მათ კომუნისტურ გამოცემად მიიჩნევდა და თანხმობის ბეჭედს არტყამდა. ამ ბუკლეტში, მარქსის, ლენინისა და სტალინის ციტატების შემდეგ – რაც ცენზორს ასე ძალიან ხიბლავდა – ქრისტეს შესახებ ვქადაგებდით.

შემდეგ კომუნისტურ დემონსტრაციებზე დავდიოდით და ვარიგებდით ამ „კომუნისტურ“ ბუკლეტებს. კომუნისტები კი,

ხედავდნენ რა მარქსის სურათს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის შეძენაში. იმ დროს, როდესაც ისინი მეათე გვერდს მიაღწევდნენ, სადაც ღმერთისა და ქრისტეს შესახებ იწყებოდა საუბარი, უკვე შორს ვიყავით.

თუმცა, იატაკქვეშა ეკლესია მუშაობდა არა მხოლოდ საიდუმლო შეხვედრებსა და ღონისძიებებზე, არამედ თამამად ქადაგებდა სახარებას კომუნისტურ ქუჩებსა და კომუნისტურ ლიდერებთან. რისთვისაც გადასახადი არსებობდა, მაგრამ ჩვენ მზად ვიყავით ამისათვისაც. იატაკქვეშა ეკლესია დღესაც მზადაა ამ ფასის გადასახდელად.

იატაკქვეშა მუშაობა

საიდუმლო პოლიცია გაშმაგებული ებრძოდა იატაკქვეშა ეკლესიას, რადგან გააცნობიერეს, რომ ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ეფექტიანი წინააღმდეგობა დარჩა. ეს იყო დაახლოებით ისეთი სახის წინააღმდეგობა (სულიერი წინააღმდეგობა), ხელი რომ არ შეეშალათ, მათ ათეისტურ ძალაუფლებას საფრთხე დაემუქრებოდა. მათ გააცნობიერეს საშიშროება ისე, როგორც სატანას შესწევს ამის ძალა. *მათ იცოდნენ, რომ თუ ადამიანს ქრისტე სწამდა, არასოდეს იქნებოდა უგონო, სასურველი საგანი. მათ იცოდნენ, რომ შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ ფიზიკური სხეული, მაგრამ შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის სულის დატყვევება – ღმერთში მისი რწმენის ჩაკვლა.* ძალიან მაგრად იბრძოდნენ კომუნისტები.

იატაკქვეშა ეკლესიას თავისადმი სიმპათიით გამსჭვალული პირები თუ წევრები ჰყავს კომუნისტურ მთავრობასა თუ საიდუმლო პოლიციაში.

ჩვენ ვაძლევდით ქრისტიანებს ინსტრუქციას შეერთებოდნენ საიდუმლო პოლიციას და ჩაეცვათ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად შეძულებული უნიფორმა, რათა იატაკქვეშა ეკლესიისათვის ეცნობებინათ საიდუმლო პოლიციის გადაწყვეტილებები. იატაკქვეშა ეკლესიის რამდენიმე ძმამ გააკეთა ეს, საიდუმლოდ მალავდნენ თავიანთ რწმენას. ძალიან რთული იყო, რომ ოჯახის წევრებისა და ახლობლების დაბეზღებისაგან თავი დაეცვათ. ეტარებინათ კომუნისტური

ფორმა და ნამდვილი მისია დაემალათ. იმდენად დიდი იყო მათი ქრისტესადმი სიყვარული, რომ მაინც აკეთებდნენ.
როდესაც პოლიციამ მომიტაცა და წლების მანძილზე უმკაცრესად ასაიდუმლოებდნენ ჩემს ადგილსამყოფელს, ერთი ქრისტიანი ექიმი საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი გახდა, რათა ჩემი ადგილსამყოფელი შეეტყო! როგორც ექიმს, ყველა საკანში შესვლის უფლება ეძლეოდა და იმედი ჰქონდა, რომ ერთხელ მეც მნახავდა. ყველა მისი მეგობარი კი ფიქრობდა, რომ კომუნისტი გახდა. ჯალათების ფორმით სიარული უფრო დიდი მსხვერპლის გაღებაა, ვიდრე პატიმრის ფორმით.
ექიმმა ღრმა, ბნელ საკანში მიპოვა და ჩემიანებს აცნობა, რომ ცოცხალი ვიყავი. ის იყო მეგობარი, რომელმაც პირველმა მნახა რვა წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ! მისი მეშვეობით ჩემი არსებობის შესახებ სიტყვა გავრცელდა, როდესაც პატიმრები გაათავისუფლეს ეიზენჰაუერ-ხრუშჩოვის „ოტტეპელის“ პერიოდში, 1956 წელს, ქრისტიანებმა ჩემი გათავისუფლებაც მოითხოვეს და მცირე ხნით გამომიშვეს ციხიდან. რომ არა ეს ექიმი, რომელიც საიდუმლოდ შეუერთდა პოლიციას, ვერასოდეს ვიხილავდი დღის სინათლეს. დღეს ან კვლავ ციხეში ვიქნებოდი, ან სამარეში.
საიდუმლო პოლიციაში დაკავებული თანამდებობების გამოყენების შედეგად, იატაკქვეშა ეკლესიის წევრები ხშირად უდიდეს დახმარებას გვიწევდნენ გაფრთხილებით. იატაკქვეშა ეკლესიას კომუნისტურ ქვეყანაში დღესაც ჰყავს თავისი ხალხი საიდუმლო პოლიციაში, რომლებიც იცავენ და აფრთხილებენ ქრისტიანებს მომავალი მუქარისა და საშიშროების შესახებ. ზოგიერთები მაღალ ეშელონებშიც მუშაობენ, რწმენას საიდუმლოდ ინახავენ და ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევენ. ისინი, ვინც ახლა საიდუმლო მსახურებას ეწევა, ერთ დღეს ზეცაში აშკარად განაცხადებს თავიანთ რწმენას ქრისტეს შესახებ. მიუხედავად ამისა, მრავალი იატაკქვეშა ეკლესიის წევრი ამხილეს და დააპატიმრეს. ჩვენც გვყავდა „იუდა“, ვინც აცნობდა საიდუმლო პოლიციას ჩვენი მსახურებების შესახებ. სცემდნენ, ემუქრებოდნენ, აშანტაჟებდნენ, კომუნისტები ცდილობდნენ ეპოვათ ადამიანები, რომლებიც თანამოძმეებს გაყიდდნენ.

მეორე თავი

„ადამიანს არა აქვს იმაზე მეტი სიყვარული...“

1948 წლის 29 თებერვლამდე ორივე მანერით ვმუშაობდი, ოფიციალური და იატაკქვეშა. იმ ლამაზ, მზიან კვირა დღეს, როდესაც ეკლესიაში მივდიოდი, საიდუმლო პოლიციამ მომიტაცა გზაზე.

მას შემდეგ ძალიან ხშირად ვფიქრობდი, რას ნიშნავს „ადამიანის მოტაცება“, რაც რამდენჯერმე არის ნახსენები ბიბლიაში, მაგრამ კომუნიზმმა გვასწავლა.

იმ დროისთვის მრავალი ადამიანი გაიტაცეს ანალოგიურად. ჩემს წინ საიდუმლო პოლიციის მანქანა გაჩერდა, ოთხი კაცი გადმოხტა და მანქანაში შემათრია. წამიყვანეს ციხეში, სადაც რვა წელი საიდუმლოდ მმალავდნენ. ამ დროის მანძილზე არავინ იცოდა მკვდარი ვიყავი თუ ცოცხალი. ჩემს ცოლს საიდუმლო პოლიციის თანამშრომლები ესტუმრნენ, ვითომდა ჩემი თანასაკნელები იყვნენ. უთხრეს რომ ჩემს გასვენებას დაესწრნენ. ქალს გული გაუტყდა.

იმ დროისათვის სხვადასხვა დენომინაციიდან ათასობით მორწმუნე დააპატიმრეს. არა მარტო სამღვდელოება ჩასვეს ციხეში, არამედ გლეხები, ბიჭები და გოგონები, რომლებიც რწმენის შესახებ ამოწმებდნენ. ციხეები გაივსო. რუმინეთში, ისევე როგორც რუსეთში, ციხეში ყოფნა ნიშნავს წამებას.

წამება ხანდახან საშინელი იყო. ვამჯობინებ ბევრი არ ვილაპარაკო ამ საკითხზე, რაც უკვე წარსულს ჩაბარდა; ძალიან მტკივნეულია. როცა ამაზე ვლაპარაკობ, იმ ღამით ვეღარ ვიძინებ.



წიგნში *„ღვთის იატაკქვეშეთში“*, ვილაპარაკე ამ საკითხთან დაკავშირებულ მრავალ დეტალზე. იმ მრავალ გამოცდილებაზე, რაც ღმერთთან მივიღე ციხეში.

წარმოუდგენელი წამება

ხუცესი, სახელად ფლორესკუ გახურებული რკინის საჩხრეკითა და დანით აწამეს. ძალიან სცემეს. შემდეგ ნაშიმშილები ვირთხები შეუშვეს მის ოთახში, დიდი მილიდან. მთელი ღამე არ ეძინა ვირთხების წინააღმდეგ ბრძოლაში თავდაცვის გამო. ერთი წუთითაც რომ დაესვენა ვირთხები შეჭამდნენ.
იძულებული იყო ორი კვირის განმავლობაში ფეხზე მდგარიყო. კომუნისტებს უნდოდათ ეიძულებინათ, რომ თანამოძმეები გაეცა, მაგრამ მაინც მტკიცედ იდგა. მისი თოთხმეტი წლის ბიჭი მოიყვანეს ციხეში, მამის თვალწინ ამათრახებდნენ და ამბობდნენ, მანამდე გააგრძლებდნენ მის ცემას, ვიდრე ხუცესი არ იტყოდა იმას, რისი გაგებაც კომუნისტებს სურდათ. საწყალი კაცი ნახევრად გიჟს ჰგავდა. მანამდე ითმენდა, ვიდრე ამის ატანა შეეძლო, შემდეგ შვილს შეჰყვირა: „ალექსანდრე, უნდა ვთქვა რაც აინტერესებთ! აღარ შემიძლია შენი ცემის მეტად ყურება!“ ბიჭმა უპასუხა: „მამა, ნუ მომექცევი უსამართლოდ და ნუ გამოხვალ გამყიდველი მამა. მტიცედ იდექი! თუ მომკლავენ, ამ სიტყვებით მოვკვდები: „იესო და ჩემი მამასამშობლო“. კომუნისტები გაშმაგდნენ, ბავშვს შედგნენ და სიკვდილამდე სცემეს. ყმაწვილი ღმერთის ქებაში გარდაიცვალა. ამ ამბის მხილველი ჩვენი ძმა ფლორესკუ აღარასოდეს ყოფილა იგივე. ხელბორკილებზე ბასრ ლურსმნებს აჭედებდნენ შიგნიდან და წელზე გვარტყამდნენ. თუ გაუნძრევლად იყავი არაფერს, არ გვნებდა. მაგრამ სრულიად გაყინულ საკანში, სადაც სხეული სიცივისაგან კანკალებდა, წელი მთლად დასერილი გვქონდა.
თავდაყირა დაკიდებულ ქრისტიანებს ისე მწარედ სცემდნენ, რომ მათი სხეულები აქეთ-იქეთ ქანაობდა. ყინულის ყუთებშიც სვამდნენ ქრისტიანებს „მაცივარ-საკნებში“, რომლებიც ისეთი ცივი იყო, რომ შიგნითა კედლები ყინულით იყო დაფარული. ერთ ასეთ საკანში მეც შემაგდეს, მცირეოდენი ტანსაცმლით ტანზე. ციხის ექიმები ფანჯრიდან გვიყურებდნენ, რათა

დაენახათ სასიკვდილიდ გაყინვის სტადიის მოახლოება, შემდეგ დაცვას ნიშანს აძლევდნენ, ისინიც წაგვიყვანდნენ და გაგვათბობდნენ. როგორც კი გავთბებოდით მაშინვე ყინულის ყუთში დაგვაბრუნებდნენ გასაყინად. გაგვალღობდნენ, შემდეგ გაგვყინავდნენ სიკვდილის მდგომარეობამდე, კვლავ დაიწყებოდა გადნობა – კიდევ და კიდევ იგივე! დღესაც კი არის მომენტები, როცა არ შემიძლია მაცივრის გახსნა.

ქრისტიანებს ხშირად გვაიძულებდნენ ვმდგარიყავით ჩვენზე ოდნავ განიერ ხის ყუთებში. ათეულობით ბასრი ლურსმანი ესო ყუთს ყველა მხრიდან. ვიდრე ერთ მდგომარეობაში იდექი გაუნძრევლად, საქმე კარგად იყო. მაგრამ, ამ ყუთებში დგომას გვაიძულებდნენ უსასრულო საათების მანძილზე, როცა დაღლა გვერეოდა და გაუნძრევლად დგომის ძალა აღარ შეგვწევდა, მაშინ ლურსმნები სხეულში ატანდა. ოდნავ გაინძრეოდი თუ კუნთებს აამოძრავებდი – საშინელი ლურსმნები ჩასაფრებულები იდგნენ.

რაც კომუნისტებმა ქრისტიანებს გაუკეთეს, ადამიანის გონებას აღემატება. მე მინახავს კომუნისტების სახეები ადამიანის ტანჯვის დროს როგორ იყვნენ სიხარულისაგან გაბრწყინებულნი. ადამიანის წამებისას ყვიროდნენ: „ჩვენ ვართ ეშმაკები!“

ვიბრძოდით არა სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ ეშმაკის ხელმწიფებისა და ძალის წინააღმდეგ. დავინახეთ, რომ კომუნიზმი ადამიანისაგან კი არა, სატანისაგან არის. ეს არის სულიერი ბრძოლა – სატანის ბრძოლა – შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ უდიდეს სულიერ ძალას, ღვთის სულს.

ხშირად მიკითხავს ჯალათებისათვის: „გულში სიბრალული არა გაქვს?“ როგორც წესი, ლენინის სტატია მოჰყავდათ საპასუხოდ: „ვერ შეძლებ ომლეტის გაკეთებას კვერცხის ნაჭუჭის გატეხის გარეშე“ და „ვერ დაჩეხავ შეშას ნაფოტების გარეშე“. მე კვლავ ვუთხარი: „ეს ციტატა ლენინიდან ვიცი. მაგრამ აქ არის განსხვავება. როცა შეშას ჩეხავ ვერაფერს ვერ გრძნობს. აქ კი საქმე გაქვთ ადამიანთან. ყოველი დარტყმა ტკივილს წარმოშობს და დედები ტირიან“. მაგრამ ამაოდ. ისინი მატერიალისტები არიან. მათთვის მატერიის

გარდა არ არსებობს არაფერი და ადამიანი არის როგორც ხე, როგორც კვერცხის ნაჭუჭი. ამ რწმენით ისინი ფიქრობენ წარმოუდგენელი სისასტიკის სიღრმეზე.

დაუჯერებელია კომუნისტების სისასტიკის სიღრმე. როდესაც ადამიანს არ სჯერა სიკეთის საზღაურისა და ბოროტების დასჯის, მაშინ მიზეზი არ არსებობს ადამიანად ყოფნის. არ არსებობს თავშეკავება იმ ბოროტების სიღრმისა, რომელიც ადამიანში არსებობს. მწვალებელი კომუნისტები ხშირად ამბობდნენ: „არ არსებობს ღმერთი, არც მომავალი ცხოვრება, არც ბოროტის დასჯა. ყველაფრის გაკეთება შეგვიძლია, რაც გვსურს“. გავიგე ერთი ჯალათი ამბობდა: „ვმადლობ ღმერთს, რომლისაც არ მჯერა, რომ იმ დროში ვცხოვრობდი, როცა შევძელი მთელი გულის სიღრმიდან გამომეხატა ბოროტება“. რაც მან შეუბრალებელი სისასტიკით გამოხატა პატიმრების მიმართ.

ვწუხვარ, როცა ნიანგი ადამიანს ჭამს. მაგრამ არ შემიძლია ნიანგთან მისვლა. ის ხომ მორალური არსება არ არის. ასე რომ, არანაირი ფორმით მიდგომა არ შეგიძლია კომუნისტებთან. კომუნისტებმა საკუთარ თავში დაანგრიეს ყველანაირი მორალური შეგრძნება. ისინი ამაყობდნენ, რომ სიბრალულის გრძნობა არ გააჩნდათ გულში.

მათგან ვისწავლე. როგორც მათ არ დაუთმეს ადგილი გულში იესოს, გადავწყვიტე უმცირესი ადგილიც კი არ დამეთმო სატანისათვის ჩემს გულში.

ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების ქვეკომისიის – სენატის სხდომაზე დავამოწმე. სადაც ვისაუბრე საშინელ შემთხვევებზე, როგორიცაა ქრისტიანების ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ჯვარზე დაბმა. ჯვრები იატაკზე ელაგა და ასობით ჯარისკაცებს უნდა დაეკმაყოფილებინათ ჯვარზე გაკრული ადამიანების სახეზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება. შემდეგ ჯვრებს აღმართავდნენ და ახლა კომუნისტები დასცინოდნენ: „შეხედე შენს ქრისტეს! რა ლამაზია! რა სურნელება მოაქვს ზეციდან!“ აღვწერე, როგორ აიძულეს მღვდელი, წამების შედეგად სიგიჟემდე მიყვანის შემდეგ, რომ ადამიანის ექსკრემენტით და შარდით ჩაეტარებინა ზიარება ქრისტიანებისათვის. ეს მოხდა რუმინეთის ციხეში, პიტესტში.

მოგვიანებით ამ მღვდელს შევეკითხე, რატომ არ ამჯობინა მომკვდარიყო, ვიდრე ამ დაცინვაში მიეღო მონაწილეობა. მან მიპასუხა: „ნუ განმსჯით, გთხოვთ! მე ქრისტეზე მეტად ვეწამე!“ ბიბლიისა და დანტეს მიერ აღწერილი ჯოჯოხეთის ტკივილი არაფერია კომუნისტების მიერ პატიმრების წამებასთან შედარებით.

ეს არის მცირე ნაწილი იმისა, რაც მოხდა ერთ კვირა დღეს და სხვა მრავალ კვირა დღეებში პიტესტის ციხეში. სხვა რამეების თქმა უბრალოდ შეუძლებელია. გული წამივა მათი ხელახლა გამეორებისას. ძალიან ურცხვი და საშინელია დასაწერად. ეს არის, რაც თქვენმა ძმებმა გაიარეს და კვლავ იგივეს გადიან!

რომ გავაგრძელო ყველა იმ საშინელების ჩამოთვლა, რასაც კომუნისტები ქრისტიანებს უკეთებდნენ, ვერასოდეს დავამთავრებ. არა მხოლოდ მათი წამება გახდა ცნობილი, არამედ მათი გმირული საქმეები. პატიმრების ამ საგმირო საქმეებმა ძალიან გაამხნევეს გარეთ დარჩენილი ძმები.

რწმენის დაცვაში ერთ-ერთი უდიდესი გმირი იყო ხუცესი მილან ჰაიმოვიჩი.

ციხე გადატვირთული იყო პატიმრებით და დაცვა სახელებით არ გვიცნობდა. დაცვა იძახებდა ოცდახუთი მათრახის დასარტყმელად იმათ, ვისაც რაიმე მიზეზის გამო ციხის წესი დაერღვიათ. ხუცესი ჰაიმოვიჩი სხვის ნაცვლად გავიდა დარტყმების მისაღებად. რითაც პატიმრებისაგან პატივისცემა დაიმსახურა, არა მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ, არამედ ქრისტესადმი, რომლის წარმომადგენელიც გახლდათ.

ჩვენი იატაკქვეშა ეკლესიის ერთ-ერთი წევრი იყო ახალგაზრდა გოგონა. კომუნისტურმა პოლიციამ აღმოაჩინა, რომ იგი საიდუმლოდ ავრცელებდა სახარებას და ბავშვებს ქრისტეზე ასწავლიდა. გადაწყვიტეს დაეპატიმრებინათ. ამ მოვლენისათვის რომ ისეთი დრამატული სახე მიეცათ როგორც მათ შეეძლოთ, ეს დღე რამდენიმე კვირით – ქორწილამდე გადადეს. ქორწილის დღეს, საპატარძლო კაბაში გამოწყობილი გოგონასათვის – ყველაზე ლამაზ და მის ცხოვრებაში სასიხარულო დღეს! უცბად, კარები გაიღო და საიდუმლო პოლიცია ოთახში შემოიჭრა.



პატარძალმა პოლიციას ხელები გაუშვირა ბორკილების დასადებად. მათაც უხეშად შეასრულეს ეს აქტი. გოგონამ საქმროსაკენ გაიხედა, ბორკილებს აკოცა და თქვა: „ვმადლობ ჩემს ზეციერ საქმროს ამ ოქროს სამკაულისათვის, რომელიც ქორწილის დღეს მომართვა. ვმადლობ მას, რომ ღირსად გამხადა თავისი სახელის წამებისათვის“. პოლიციამ მსხვერპლი ოთახიდან გაათრია და ატირებული საქმრო და ქრისტიანები უკან ჩამოიტოვა. მათ იციან, რა ბედი ეწევათ ახალგაზრდა გოგონებს კომუნისტების ხელში. მისი საქმრო ერთგულად ელოდა საცოლეს. ხუთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს – განადგურებული ქალი, ოცდაათი წლისა გეგონებოდათ. მან თქვა, რომ ეს ყველაზე მცირე რამ იყო, რისი გაკეთებაც მას ქრისტესათვის შეეძლო. ასეთი შესანიშნავი ქრისტიანები არიან იატაკქვეშა ეკლესიაში.

ტვინის რეცხვის უარყოფა

დასავლეთელებს, ალბათ, სმენიათ ტვინის რეცხვის პოლიტიკის შესახებ კორეასა და ვიეტნამის ომში. მეც გამივლია ტვინის რეცხვა. ეს ყველაზე საშინელი წამებაა. დღეში ჩვიდმეტი საათი უნდა ვმჯდარიყავით – კვირები, თვეები და წლები გვესმინა:
კომუნისტები კარგები არიან!
კომუნისტები კარგები არიან!
კომუნისტები კარგები არიან!
კომუნისტები კარგები არიან!
კომუნისტები კარგები არიან!
კომუნისტები კარგები არიან!
კომუნისტები კარგები არიან!
კომუნისტები კარგები არიან!
დანებდი!
დანებდი!
დანებდი!
ქრისტიანები მეკითხებოდნენ, როგორ შევძელი ტვინის რეცხვის შეწინააღმდეგება. მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს მის წინააღმდეგ: ეს არის „გულის გარეცხვა“. თუ გული ქრისტეს სიყვარულით არის გაწმენდილი და თუ გულს უყვარს ის,

მაშინ შეგიძლია ყველა წამების გაძლება. რას არ გააკეთებდა შეყვარებული საცოლე, შეყვარებული საქმროსათვის? რას არ გააკეთებდა მოყვარული დედა შვილისათვის? თუ ისე გიყვარს იესო, როგორც მარიამს, ვისაც იესო ისე ჰყავდა ხელებში, როგორც საკუთარი პატარა ბავშვი, თუ ისე გიყვარს ქრისტე როგორც შეყვარებულ საპატარძლოს საქმრო, მაშინ შეგიძლია უარყო ასეთი წამება.

ღმერთი განგვსჯის, არა იმის მიხედვით, თუ რამდენი რამ ავიტანეთ, არამედ როგორ გვიყვარდა. ქრისტიანები, რომლებიც რწმენისათვის ეწამებოდნენ ციხეში, მათ შეეძლოთ სიყვარული. მოწმე ვარ იმისა, რომ მათ ღმერთიც უყვარდათ და ადამიანიც. წამება და სისასტიკე გრძელდებოდა შეუჩერებლად. როდესაც გონებას დავკარგავდი და ჯალათებს იმედი აღარ ჰქონდათ, რომ რაიმე ინფორმაციას მიიღებდნენ ჩემგან, ჩემს საკანში დამაბრუნებდნენ. სადაც დავწვებოდი ნახევრად მკვდარი, მარტო, რათა ძალა კვლავ მომეკრიბა და კვლავ ემუშავათ ჩემზე. ძალიან ბევრი მოკვდა ამ მდგომარეობაში, მაგრამ როგორღაც ჩემს სხეულს ყოველთვის ჰქონდა ძალა მდგომარეობიდან გამოსასვლელად. მომდევნო წლებში, რამდენიმე სხვადასხვა ციხეში ოთხი მალა და სხვადასხვა ძვალი ჩამიმტვრიეს. სხეულის ათობით ადგილზე ამომტვიფრეს. თვრამეტ ადგილას დამწვეს და ღრმულები გამიკეთეს ტანზე.

როდესაც მე და ჩემი ოჯახი გამოგვისყიდეს რუმინეთიდან და ნორვეგიაში ჩაგვიყვანეს, ოსლოს ექიმებმა ეს ყველაფერი და ტუბერკულოზის ნაშთები ნახეს, განაცხადეს, რომ ჩემი ცოცხლად გადარჩენა ნამდვილი სასწაულია!

დარწმუნებული ვარ, ღმერთმა დაუშვა ეს სასწაული, რათა გაგეგოთ ჩემი ხმა იატაკქვეშა ეკლესიის სახელით დევნილ ქვეყნებში. მან ნება დამრთო ციხიდან ცოცხლად გამოსვლისა, რათა ხმამაღლა მეთქვა თქვენი ტანჯვის შესახებ, ერთგულო ძმებო.

მოკლე თავისუფლება, ხელახალი პატიმრობა

დადგა 1956 წელი. რვა წელიწადნახევარი გავატარე ციხეში. წონაში დავიკელი და საშინელი ჭრილობები შემრჩა,

სასტიკად მცემდნენ და მწიხლავდნენ, მაშიმშილებდნენ, წნეხში მატარებდნენ, გულისრევამდე მისვამდნენ კითხვებს. არცერთმა მათგანმა არ მოუტანა ჯალათებს სასურველი შედეგი. ასე რომ, იმედგაცრუებულებმა – პატიმრობის პროტესტში გამოხატულმა პროტესტმა – ისინი აიძულა გავეთავისუფლებინე.

ნება დამრთეს ძველ პოზიციას დავბრუნებოდი როგორც ხუცესი მხოლოდ ერთი კვირით. ორი მსახურება ვიქადაგე. შემდეგ გამომიძახეს და მითხრეს, რომ აღარ შემეძლო ქადაგება, არც სხვა რაიმე სახის რელიგიურ საქმიანობასთან კავშირში ყოფნა. განა რა ვთქვი? მე ვურჩევდი ჩემი ეკლესიის წევრებს გამოეჩინათ „მოთმინება, მოთმინება და უფრო მეტი მოთმინება“. „ეს ნიშნავს შენ ეუბნები, რომ მოითმინონ და ამერიკელები მოვლენ და გაათავისუფლებენ მათ“, – დამიყვირა პოლიციელმა. ისიც ვთქვი, რომ ბორბალი ტრიალებს და დრო იცვლება. „მათ ეუბნები, რომ კომუნისტების მმართველობა არ გაგრძელდება! ეს კონტრრევოლუციური ტყუილია!“ – დაიღრიალეს მათ. ასე რომ, ეს იყო ჩემი ბოლო სახალხო მსახურება.

ალბათ, ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ შემეშინდებოდა მათ წინააღმდეგ წასვლისა და თავს დავანებებდი იატაკქვეშა მსახურებას. აი, სად ცდებოდნენ ისინი. საიდუმლოდ, ჩემი ოჯახის დახმარებით, ძველ საქმიანობას დავუბრუნდი.

ვუმოწმებდი ერთგულ, მალულ ჯგუფებს, მოჩვენებებივით მომავალს და მიმავალს, იმ ადამიანების დახმარებით, ვისი ნდობაც შეიძლებოდა. იმ დროისათვის ჩემი ნაიარევები მემოწმებოდნენ ათეისტების ბოროტეული ხედვის გამოაშკარავებას, მერყევი სულების განმტკიცებასა და ღვთის ნდობაში. ღვთის ნებით ჩამოვაყალიბე ევანგელისტების საიდუმლო ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებოდნენ სახარების გავრცელებაში დაბრმავებული კომუნისტების თვალწინ. ყოველივე ამის შემდეგ, თუ შეიძლება ადამიანი ისე დაბრმავდეს, რომ ღვთის მუშაობა ვერ დაინახოს, ალბათ, ევანგელისტსაც ვერ დაინახავდნენ. სინამდვილეში, პოლიციის უწყვეტმა ინტერესმა ჩემი საქმიანობისა და ადგილსამყოფელის შესახებ შედეგი

გამოიღო მათთვის. კვლავ მიპოვეს და დამაპატიმრეს. გაურკვეველი მიზეზით ამ დროს ჩემი ოჯახი არ დაუპატიმრებიათ, ალბათ, ჩემი საჯაროობის გამო. რვანახევარი წელიწადი ციხე და მცირე ხნის თავისუფლება მქონდა. ამჯერად ხუთნახევარი წელი კვლავ ციხეში უნდა გამეტარებინა.
მეორე პატიმრობა მრავალგვარად უარესი იყო პირველთან შედარებით. ვიცოდი, რაც მომელოდა. ჩემი ფიზიკური მდგომარეობა თითქმის დაუყოვნებლივ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად ვაგრძელებდით იატაკქვეშა მუშაობას კომუნისტურ ციხეებში.

შეთანხმებას მივაღწიეთ: ჩვენ ვქადაგებდით და ისინი გვცემდნენ

ციხეებში ქადაგება გვეკრძალებოდა, როგორც დღეს ხდება დამონებულ ერებში. გასაგები იყო, რომ ვისაც მოატანდნენ მწარედ სცემდნენ. რამდენიმე ჩვენგანმა გადაწყვიტა გადაეხადა ქადაგების პრივილეგიის საფასური, და მივიღეთ მათი შემოთავაზება. ეს იყო შეთანხმება: ჩვენ ვქადაგებდით და ისინი გვცემდნენ. ჩვენ ქადაგება გვიხაროდა; მათ ჩვენი ცემა ახარებდათ – ასე რომ, ყველა ბედნიერი იყო.
შემდეგი სცენა იმაზე მეტჯერ მოხდა, ვიდრე დამახსოვრება შემეძლო. ერთი ძმა უქადაგებდა სხვა პატიმარს და შუა სიტყვის დროს დაცვა შემოიჭრა ოთახში. კორიდორში თრევით წაიყვანეს „საცემი ოთახისაკენ“. უსასრულო ცემის შემდეგ დაცვამ პატიმარი უკან მოათრია და ციხის იატაკზე დააგდო სისხლიანი და დასიებული. ნელ-ნელა, მაღლა წამოწია გათქვეფილი სხეული, მტკივნეულად ისწორებდა ტანსაცმელს და თქვა: „ძმებო, სად ვიყავი რომ შემაწყვეტინეს?“ მან გააგრძელა სახარების ქადაგება!
შესანიშნავიც ბევრი მინახავს!
ხანდახან მქადაგებლები ერისკაცები იყვნენ, სულიწმიდით გასხივოსნებული უბრალო ადამიანები და ლამაზად ქადაგებდნენ. მთელი გული წარმოთქმულ სიტყვებში ედოთ, ასეთ დამსჯელ სიტუაციაში ქადაგება ხუმრობა საქმე არ



იყო. შემდეგ დაცვა მოვიდოდა და სასიკვდილოდ საცემად წაიყვანდა.

გერლას ციხეში იყო ერთი ქრისტიანი კაცი, სახელად გრეკუ, რომელსაც ცემით სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. პროცესი რამდენიმე კვირა გაგრძელდა, რომლის განმავლობაში ნელ-ნელა სცემდნენ. ერთხელ დაარტყამდნენ ფეხზე რეზინის ჯოხს, შემდეგ მარცხენა ფეხზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ სცემდნენ, რამდენიმე წუთის შემდეგ კიდევ. სასქესო ორგანოებშიც ურტყამდნენ. შემდეგ ექიმმა ნემსი გაუკეთა. გამოჯანმრთელდა და კარგი საჭმელიც მიუტანეს ძალის მოსაკრებად, შემდეგ კვლავ სცემეს, მანამდე გააგრძელეს ცემა ვიდრე სინამდვილეში არ მოკვდა ამ ნელი, გამუდმებული ცემით. ვინც ამ წამებას უძღვებოდა იყო ცენტრალური კომიტეტის კომუნისტური პარტიის წევრი, სახელად რეკი.

ცემის დროს, რეკმა გრეკუს რაღაცა უთხრა, რასაც კომუნისტები ხშირად ეუბნებოდნენ ქრისტიანებს: „შენ იცი, რომ *მე* ღმერთი ვარ. მე მაქვს ძალა შენს სიკვდილსა და სიცოცხლეზე. ის, ვინც ზეცაშია, არ შეუძლია დაიცვას შენი სიცოცხლე; ყველაფერი *ჩემზეა* დამოკიდებული: თუ ვისურვებ, იცოცხლებ, თუ ვისურვებ, მოკვდები. *მე ვარ ღმერთი!*“ – ასე დასცინოდა ქრისტიანს.

ძმა გრეკუმ ასეთ საშინელ სიტუაციაში ძალიან საინტერესო პასუხი გასცა რეკს. მან თქვა: „არცკი იცი, რა ღრმა რამ თქვი, *თუ სწორად განვითარდება*. შენ ჯალათად არ იყავი შექმნილი, კაცად, რომელიც კლავს. შენ შეგქმნეს ღვთის მსგავსად, ღვთის ცხოვრებითა და აზრით შენს გულში. მრავალ შენნაირ მდევნელს გაუცნობიერებია, როგორც მოციქულმა პავლემ გააცნობიერა, რომ სამარცხვინოა ადამიანისათვის საშინელების ჩადენა, რადგან უკეთესი რამის გაკეთების ძალა შესწევთ. ასე გახდნენ ისინი ზეციური ბუნების მონაწილენი. იესომ დედამიწაზე ყოფნის დროს უთხრა ებრაელებს: „ღმერთები ხართო“. მერწმუნეთ, ბატონო, რეკ, თქვენში ნამდვილი მოწოდებაა ღვთის მსგავსად გახდომა – გქონდეთ ღვთის მსგავსი ბუნება და არა ჯალათის“.

იმ დროს რეკმა ყურადღება არ მიაქცია მსხვერპლის ნათქვამს, როგორც ტარსუსელმა სავლემ, მის თვალწინ მომხდარი

სტეფანეს სიკვდილის მოწმემ. მაგრამ იმ სიტყვებმა იმოქმედა მის გულში. და რეკმა მოგვიანებით გაიგო, რომ ეს მართლა მისი მოწოდება იყო.

ერთი დიდი გაკვეთილი ვისწავლეთ კომუნისტების ამ წამებისა და ცემისაგან: *რომ სული არის სხეულის ბატონი.* წამებას ვგრძნობდით, მაგრამ ხშირად გეგონებოდა, იგი სადღაც შორს იყო სულიდან, რომელიც იკარგებოდა ქრისტეს დიდებასა და მის ჩვენს არსებობაში.

როდესაც კვირაში ერთ ნაჭერ პურსა და ყოველ დღე ჭუჭყიან სუპს გვაძლევდნენ, გადავწყვიტეთ მაშინაც კი ერთგულად გაგვეღო „მეათედი". ყოველ მეათე კვირას ავიღებდით ერთ ნაჭერ პურს და ვაძლევდით დასუსტებულ ძმას, როგორც ჩვენი „მეათედი" უფლისადმი.

როდესაც ერთ ქრისტიანს სიკვდილი მიუსაჯეს, სიკვდილამდე ცოლის ნახვის უფლება დართეს. მისი ბოლო სიტყვები მეუღლისადმი იყო: „შენ უნდა იცოდე, რომ მკვლელების სიყვარულით ვკვდები. მათ არ იციან, რას აკეთებენ და ჩემი ბოლო თხოვნაა შენც გიყვარდეს ისინი. ნუ ჩაიდებ გულში სიმწარეს, რაკი შენი საყვარელი ადამიანი მოკლეს. სამოთხეში შევხვდებით". ამ სიტყვებმა მოხიბლეს საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი, რომელიც დიალოგს ესწრებოდა. მან მოგვიანებით, ციხეში მიამბო ეს ისტორია, სადაც ქრისტიანად მოქცევის გამო იმყოფებოდა.

თირგუ ოცნას ციხეში იყო ახალგაზრდა პატიმარი სახელად მატჩევიცი. თვრამეტი წლისა მოხვედრილა ციხეში. ჯალათების გამო ძალიან ცუდ ფიზიკურ მდგომარეობაში იყო, ტუბერკულოზი ჰქონდა. მის ოჯახს როგორღაც შეუტყვია, რომ მათი შვილი სასიკვდილო მდგომარეობაში იმყოფებოდა და ასი ბოთლი სტრეპტომიცინი გამოუგზავნია, რასაც შეუძლია სიკვდილ-სიცოცხლეს შორის განსხვავების მოხდენა. პოლიტიკურმა პოლიციამ დაუძახა მატჩევიცს, აჩვენა ამანათი და უთხრა: „აქ არის წამალი, რომელსაც შენი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია, მაგრამ უფლება არა გაქვს ოჯახიდან ამანათის მიღების. პიროვნულად, მინდა რომ დაგეხმარო. ძალიან ახალგაზრდა ხარ. არ გამიხარდებოდა შენი ციხეში სიკვდილი. დამეხმარე, რომ დაგეხმარო! მომეცი ინფორმაცია

შენი თანაპატიმრების წინააღმდეგ და ეს გამამართლებს ჩემი ზემდგომების წინაშე თუ რატომ მოგეცი ამანათი“.
მატჩევიცმა უპასუხა: „არ მინდა ცოცხალი დავრჩე და სარკეში ჩახედვის შემრცხვეს, რადგან მოღალატის სახეს დავინახავ. ვერ მივიღებ ასეთ პირობას. სიკვდილს ვამჯობინებ“. საიდუმლო პოლიციის ოფიცერმა მატჩევიცს ხელი ჩამოართვა და უთხრა: „გილოცავ! სხვა პასუხს არც მოველოდი შენგან. კიდევ ერთი შემოთავაზება მინდა გავაკეთო. ზოგიერთი პატიმარი ჩვენი ინფორმატორი გახდა. ისინი ამტკიცებენ, რომ კომუნისტები არიან და შენ დაგასმინეს. ისინი ორმაგ თამაშს თამაშობენ. არ გვჯერა მათი. გვინდა, ვიცოდეთ რაში არიან გულწრფელები. შენს მიმართ გამცემები არიან, რითაც დიდ ზიანს გაყენებენ, გვატყობინებენ რა შენს ყოველ სიტყვასა და საქციელს. მე მესმის, რომ არ გინდა შენი მეგობრების გაყიდვა, მაგრამ მოგვეცი შენი მტრების შესახებ ინფორმაცია და შენს სიცოცხლეს დაიხსნი!“ მატჩევიცმა ისე სწრაფად უპასუხა ამჯერად, როგორც პირველად: „მე იესოს მოწაფე ვარ და მან გვასწავლა, რომ გვიყვარდეს ჩვენი მტერიც კი. ადამიანი, რომელიც ჩვენ გაგვცემს, გვაზიანებს, მაგრამ ვერ მივუზღავ ბოროტს ბოროტის წილ. არ შემიძლია მათ წინააღმდეგ ინფორმაციის მოწოდება. მეცოდებიან ისინი. ვლოცულობ მათთვის. არანაირი სურვილი არ მაქვს კომუნისტებთან კავშირის“. მატჩევიცი პოლიტიკურ ოფიცერთან დისკუსიიდან დაბრუნდა და მოკვდა იმავე საკანში, სადაც მე ვიყავი. დავინახე როგორ კვდებოდა და ვადიდებდი ღმერთს. სიყვარულმა გაიმარჯვა სიცოცხლის ბუნებრივი სურვილის წინააღმდეგაც კი.
თუ ღარიბი ადამიანი მუსიკის დიდი მოყვარულია, უკანასკნელ დოლარსაც კი გაიღებს კონცერტის მოსასმენად, რის შემდეგაც უფულოდ დარჩება, მაგრამ თავს იმედგაცრუებულად არ გრძნობს. მან შესანიშნავი რამ მოისმინა. არც მე ვგრძნობ თავს იმედგაცრუებულად ციხეში გატარებული წლების გამო. შესანიშნავი რამეები მინახავს. მე თვითონ ვიყავი სუსტ და უმნიშვნელო ადამიანებთან ერთად ციხეში, მაგრამ პრივილეგია მქონდა ვყოფილიყავი დიდ წმინდანებთან ერთად საკანში, რწმენის გმირებთან, რომლებიც პირველი საუკუნის

ქრისტიანებს უტოლდებოდნენ. სიხარულით კვდებოდნენ ქრისტესათვის. რწმენის ასეთი გმირებისა და წმინდანების სულიერი სილამაზე ვერასოდეს ვერ იქნება აღწერილი.
რასაც აქ ვამბობ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ზებუნებრივი რამ გამხდარა ბუნებრივი იმ იატაკქვეშა ეკლესიაში, რომელიც პირველ სიყვარულს დაუბრუნდა.
ციხეში მოხვედრამდე, ძალიან მიყვარდა ქრისტე. ახლა, მას შემდეგ, რაც ქრისტეს პატარძალი ვიხილე (მისი სულიერი სხეული) ციხეში, შემიძლია ვთქვა, რომ ისე მიყვარს იატაკქვეშა ეკლესია, როგორც თვით ქრისტე. მე ვიხილე მისი მშვენიერება, მისი შესაწირავის სული.

რა დაემარათათ ჩემს ცოლსა და ვაჟს?

ცოლს დამაშორეს და არაფერი ვიცოდი მათ შესახებ. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევიტყვე, რომ ისიც ციხეში ჩაუსვამთ. ქრისტიანი ქალები კაცებზე მეტად იტანჯებოდნენ ციხეში. გოგონებს სასტიკი დაცვა აუპატიურებდა. დაცინვა, ურცხვობა არის საშინელი. ქალებს აიძულებდნენ, არხი გაეყვანათ, კაცის სამუშო დღიური ნორმა შეესრულებინათ. მიწას თხრიდნენ ზამთარში. პროსტიტუტებს მათ ზედამხედველებად ნიშნავდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ერთგულთა წამებაში. ჩემი ცოლი, როგორც საქონელი, ბალახს ჭამდა სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით. მშიერი პატიმრები ვირთხებს და გველებს ჭამდნენ ამ არხის მშენებლობაზე. დაცვის ერთ-ერთ საკვირაო სასიხარულო მომენტს წარმოადგენდა, ქალების მდინარე დანუბეში ჩაყრა და მათი კვლავ დაჭერა, დაცინვა, მათი სველი სხეულების სასაცილოდ აგდება, კვლავ უკან მდინარეში გადაყრა და ისევ დაჭერა. ჩემი ცოლიც გადაუგდიათ ამდაგვარი მიზნით დანუბეში.
ჩემი ვაჟი ქუჩაში დარჩა მაშინ, როცა მისი მშობლები ციხეში წაიყვანეს. მიხეილი ბავშვობიდან ძალიან რელიგიური იყო და ძალიან აინტერესებდა რწმენის საკითხები. ცხრა წლისამ, როდესაც მას მშობლები ჩამოაშორეს, ქრისტიანული ცხოვრების კრიზისი გამოიარა. გამწარდა და კითხვები ებადებოდა რელიგიაზე. მას ჰქონდა პრობლემები, რაც

ნორმალურად ამ ასაკის ბავშვებს არ გააჩნიათ. მას უნდა ეფიქრა ყოველდღიური ლუკმა-პურის შოვნაზე.
დანაშაულად ითვლებოდა ქრისტიანი წამებულების ოჯახის წევრების დახმარება. ორი ქალბატონი, რომლებიც მას დაეხმარნენ, დააპატიმრეს და ისე სცემეს, რომ სამუდამოდ დაასახიჩრეს. ქალს, რომელმაც სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო და მიხეილი სახლში წაიყვანა, რვა წლით პატიმრობა მიუსაჯეს, პატიმრის ოჯახის დახმარებისათვის. ყველა კბილი ჩამოაძვრეს და ძვლები დაუმტვრიეს. ვეღარასოდეს ვეღარ შეძლებს მუშაობას. ისიც მთელი სიცოცხლე დასახიჩრებული იქნება.

„მიხაი, ირწმუნე იესო!“

მიხაიმ თერთმეტი წლისამ ისწავლა საკუთარი თავის რჩენა რეგულარული შრომით. ტანჯვამ მისი რწმენა შეარყია. მაგრამ საბინას ორი წლის პატიმრობის შემდეგ დედის ნახვის ნება დართეს. ბავშვი კომუნისტურ ციხეში წავიდა და საკუთარი დედა დაინახა რკინის გისოსებს მიღმა. მიხაიმ ძლივს იცნო დედა. დედის პირველი სიტყვები იყო: „მიხაი, ირწმუნე იესო!“ გამძვინვარებულმა დაცვამ უხეშად გაათრია პატიმარი მიხაისაგან გარეთ. ამის შემყურე მიხაიმ ტირილი დაიწყო. ეს იყო მისი მოქცევის წუთი. მიხაიმ იცოდა, რომ თუ ქრისტეს შეყვარება ასეთ მდგომარეობაში შეიძლებოდა, მაშინ ის ნამდვილი მხსნელია. მოგვიანებით მან თქვა: „თუ ქრისტიანობას სხვა არგუმენტი არ გააჩნია, ვიდრე ფაქტი, რომ დედაჩემს ის სწამდა, ეს უკვე საკმარისია ჩემთვის“. ეს იყო ის დღე, როდესაც მან სრულად მიიღო ქრისტე.
გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა მიხაის სკოლაში არსებობისათვის. იგი კარგი მოსწავლე იყო და ჯილდოდ წითელი ყელსახვევი ეკეთა – ნიშანი ახალგაზრდა კომუნიზმის წევრობისა, როგორც პიონერისა. ჩემმა ბიჭმა თქვა: „არასოდეს ვატარებ იმათ ყელსახვევს, ვინც დედაჩემი და მამაჩემი ციხეში ჩასვა“. ამისათვის სკოლიდან გამოაძევეს. ერთი წელი დაკარგა და კვლავ შევიდა სკოლაში, მალავდა რა ფაქტს, რომ ქრისტიანი პატიმრების შვილი იყო.

მოგვიანებით თეზისი უნდა დაეწერა ბიბლიის წინააღმდეგ. მან დაწერა: „ბიბლიის წინააღმდეგ არგუმენტები სუსტია და ციტატები ტყუილი. დარწმუნებული ვარ პროფესორს ბიბლია არ წაუკითხავს. ბიბლია სრულ თანხმობაშია მეცნიერებასთან“. კვლავ გამოაძევეს სკოლიდან. ამჯერად ორი სასწავლო წელი დაკარგა.

ბოლოს, მიხაის ნება დართეს სემინარიაში ესწავლა. სადაც „მარქსის თეოლოგიას“ ასწავლიდნენ. ყველაფერი ახსნილი იყო კარლ მარქსის შეხედულებების მიხედვით. მიხაიმ ეს ყველას წინაშე გააკრიტიკა კლასში, მას სხვა სტუდენტებიც შეუერთდნენ. შედეგად გარიცხეს და თეოლოგიური სკოლის დასრულების ნება არ მისცეს.

ერთხელ, როდესაც პროფესორმა ათეისტური სიტყვა წარმოთქვა სკოლაში, ჩემი ვაჟი ადგა და პროფესორს შეეწინააღმდეგა. უთხრა, თუ რამდენი ახალგაზრდა ადამიანის გზიდან აცდენაზე აიღო ახლა პროფესორმა პასუხისმგებლობა. მთელმა კლასმა დაუჭირა მიხაის მხარი. საჭირო იყო, რომ პირველად ვინმეს ყოფნოდა შეწინააღმდეგების გამბედაობა, შემდეგ ყველა დანარჩენი მის მხარეს იყო. განათლების მიღების მიზნით გამუდმებით მალავდა რომ ვურმბრანდების შვილი იყო, ქრისტიანი პატიმრების, მაგრამ ხშირად გაუგებარი არაფერი რჩებოდა, დირექტორის კაბინეტში იბარებდნენ და სკოლიდან რიცხავდნენ.

მიხაი შიმშილითაც ხშირად იტანჯებოდა. კომუნისტურ ქვეყნებში დაპატიმრებული ქრისტიანი ოჯახის წევრების უმეტესობა შიმშილს განიცდიდნენ, დიდი დანაშაული იყო მათი დახმარება.

მხოლოდ ერთ შემთხვევას გეტყვით, როგორ იტანჯებოდა ის ოჯახი, რომელსაც პიროვნულად ვიცნობ. ძმა საიდუმლო ეკლესიის თანამშრომლობისათვის დააპატიმრეს. ცოლი და ექვსი შვილი დატოვა სახლში. მის ჩვიდმეტი და ცხრამეტი წლის უფროს ქალიშვილებს სამსახურის შოვნა არ შეეძლოთ. ერთადერთი, ვინც სამუშაოს იძლევა კომუნისტურ ქვეყანაში, არის მთავრობა, რომელიც სამსახურს არ აძლევდა „დამნაშავე“ ქრისტიანებს. გთხოვთ, ნუ განსჯით ამ შემთხვევას მორალური სტანდარტებით და უბრალოდ ფაქტი მიიღეთ. ამ ქრისტიანი



წამებულის ორი ქალიშვილი – თვითონ ქრისტიანები – მეძავები გახდნენ, რათა დახმარება აღმოეჩინათ უმცროსი და-ძმებისა და ავადმყოფი დედისათვის. ამის შემხედვარე მათი თოთხმეტი წლის ძმა გაგიჟდა და საგიჟეთში მოათავსეს. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მამა ციხიდან დაბრუნდა, მისი ერთადერთი ლოცვა იყო: „ღმერთო, უკან დამაბრუნე ციხეში. ამის ატანა არ შემიძლია“. მისი ლოცვა ასრულდა და კვლავ დააპატიმრეს ბავშვებისათვის ქრისტეს დამოწმების საფუძველზე. მისი ქალიშვილები უკვე აღარ იყვნენ პროსტიტუტები, რადგან სამუშაო იშოვეს და საიდუმლო პოლიციის მოთხოვნას ასრულებდნენ – ინფორმატორები გახდნენ. როგორც წამებული ქრისტიანის ქალიშვილებს, ყველა ოჯახში პატივით იღებდნენ. ისინიც ყველაფერს გულდასმით ისმენდნენ და საიდუმლო პოლიციას აბარებდნენ მოსმენილის ანგარიშს. ნუ იტყვით, რომ ეს საზიზღრობა და ამორალობაა – რა თქმა უნდა არის – მაგრამ *საკუთარ თავს შეეკითხე, თუ შენი ცოდვაც არ არის, რომ ასეთი ტრაგედია ხდება*, რომ ასეთი ქრისტიანი ოჯახები მარტო არიან დარჩენილი და არ ეხმარებიან ისინი, ვინც თქვენსავით თავისუფლები არიან.

მესამე თავი

გამოსასყიდი და გათავისუფლება დასავლეთში სამუშაოდ

მთლიანობაში თოთხმეტი წელი გავატარე ციხეში. ამ დროის განმავლობაში არც ბიბლია მინახავს და არც სხვა რაიმე წიგნი. წერაც დამავიწყდა. შიმშილის, წამლებისა და წამების შედეგად წმინდა წერილი სრულიად დამავიწყდა. მაგრამ იმ დღეს, როდესაც ციხეში ყოფნის თოთხმეტი წელი შემისრულდა, სრულიად მოულოდნელად გამახსენდა მუხლი: „და შვიდი წელი ემსახურებოდა იაკობი რახელისათვის. და რამდენიმე დღედ მოეჩვენა ეს დრო, ისე უყვარდა იგი“ (დაბადება 29,20). ამის შემდეგ ძალიან მალე შემეხო ამინისტია, რაც გამოიწვია ამერიკული საზოგადოების აზრმა.

კვლავ ვნახე ჩემი ცოლი. ერთგულად მელოდებოდა თოთხმეტი წლის მანძილზე. ახალი ცხოვრება სიღარიბეში დავიწყეთ, რადგან პატიმრების ოჯახებიდან ყველაფერი მიაქვთ.

მღვდლებს და ხუცესებს პატარა ეკლესიები დაუბრუნეს. ქალაქ ორსოვოში მომცეს პატარა ეკლესია. კომუნისტური კულტურის განყოფილების დეპარტამენტში მითხრეს, რომ ოცდათხუთმეტი წევრი ჰყავდა ამ ეკლესიას და გამაფრთხილეს, რომ, არამც და არამც, ოცდამეთექვსმეტე არასოდეს შეგვეძინა! ისიც მითხრეს, რომ მათი აგენტი უნდა ვყოფილიყავი და ყოველი წევრის შესახებ უნდა მეცნობებინა საიდუმლო პოლიციისთვის და ახალგაზრდებისათვის ეკლესიასთან კავშირი შემეზღუდა. ამ გზით იყენებდნენ კომუნისტები ეკლესიებს, როგორც კონტროლის „იარაღს“.

ვიცოდი, თუ ვიქადაგებდი, მრავალი მოვიდოდა მოსასმენად. ასე რომ, არც კი მიცდია ოფიციალურ ეკლესიაში მუშაობის დაწყება. ამის ნაცვლად, იატაკქვეშა ეკლესიაში დავიწყე მსახურება, ვუზიარებდი ამ საქმიანობის სილამაზისა და საშიშროების შესახებ.

ჩემი პატიმრობის წლებში ღმერთი შესანიშნავად მოქმედებდა. იატაკქვეშა ეკლესია აღარ იყო დავიწყებული და მიტოვებული. ამერიკისა და სხვა ქვეყნის ქრისტიანებმა დაიწყეს დახმარება და ლოცვა.

ერთ შუადღეს, ჩვენი ძმის სახლში ვისვენებდი, ახლომდებარე ქალაქში, მასპინძელმა გამაღვიძა და მითხრა: „საზღვარგარეთელი ძმები მოვიდნენ“. დასავლეთში იყვნენ ძმები, რომლებსაც არ მიუტოვებივართ და არ დაუვიწყებივართ. არახელდასხმულმა ქრისტიანებმა საიდუმლოდ გაუწიეს ორგანიზება ქრისტიანი წამებული ოჯახების დახმარებას და ჩუმად ლიტერატურის შემოტანას.

მეორე ოთახში ვნახე ექვსი ძმა, რომლებიც ამ საქმის გასაკეთებლად მოსულიყვნენ. მცირე ხნის საუბრის შემდეგ მითხრეს, რომ, როგორც გაუგიათ, ამ სახლში ყოფილა ვიღაც, ვისაც თოთხმეტი წელი ციხეში გაუტარებია და მისი ნახვა უნდოდათ. ვუთხარი, რომ ეს კაცი მე ვიყავი. მათ თქვეს: ჩვენ მოველოდით ვიღაც მელანქოლიურს. შეუძლებელია შენ იყო ის კაცი, რადგან სიხარულით სავსე ხარ“. დავარწმუნე, რომ მე ვიყავი ის ყოფილი პატიმარი და მიხაროდა, რომ ისინი მოვიდნენ და ამის შემდეგ მიტოვებულობის გრძნობას აღარ განვიცდიდით. მტკიცე, რეგულარული დახმარება დაიწყო იატაკქვეშა ეკლესიისათვის. მრავალი ბიბლია, სხვა სახის ქრისტიანული ლიტერატურა და ქრისტიანი წამებული ოჯახების დახმარება მივიღეთ საიდუმლო არხებით. ახლა, მათი დახმარებით იატაკქვეშა ეკლესიაში მუშაობა უკეთესად მიმდინარეობს.

არა მხოლოდ ღვთის სიტყვა მოგვიტანეს მათ, არამედ დავინახეთ რომ ვუყვარდით. კომფორტის სიტყვა მოგვიტანეს. ტვინის რეცხვის პროცესში გვესმოდა: „აღარავის უყვარხართ, აღარავის უყვარხართ ამის შემდეგ, აღარავის უყვარხართ ამის შემდეგ. ახლა ჩვენ დავინახეთ

ამერიკელი და ინგლისელი ქრისტიანები, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ, რათა ჩვენთვის სიყვარული ეჩვენებინათ. მოგვიანებით მათ დავეხმარეთ საიდუმლო ტექნიკის განვითარებაში, რათა საიდუმლო პოლიციით გარშემორტყმული სახლიდან თავის დაღწევა შეძლებოდათ.

ძნელია ამერიკელმა ან ბრიტანელმა ქრისტიანმა გაიგოს ფარული გზით შემოტანილი ბიბლიის ფასი, რადგან თვითონ ბიბლიებში „ცურავენ“.

მე და ჩემი ოჯახი ვერ გადავრჩებოდით უცხოური ეკლესიების მატერიალური დახმარების გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას მრავალი ხუცესისა და წამებულის ოჯახზეც საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. შემიძლია პირადი გამოცდილების საფუძველზე დავამოწმო, რომ მატერიალური და უდიდესი მორალური დახმარების მისიები შეიქმნა თავისუფალ ქვეყნებში ჩვენს დასახმარებლად. ჩვენთვის ეს მორწმუნეები იყვნენ ღვთისაგან გამოგზავნილი ანგელოზები!

იატაკქვეშა ეკლესიაში მუშაობის გაგრძელების გამო, კვლავ დაპატიმრების საშიშროების წინაშე ვიმყოფებოდი. იმ დროს, ორმა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ, ნორვეგიულმა მისიამ ებრაელებისათვის და ებრაელთა ალიანსმა 10 000 $ გადაიხადა ჩემს გამოსასყიდად – ხუთჯერ მეტი, ვიდრე პოლიტიკური პატიმრისათვის იყო დაწესებული. ამჯერად შემეძლო რუმინეთის დატოვება.

რატომ დავტოვე რუმინეთი

რუმინეთს არ დავტოვებდი, რომ არა საშიშროება, რომ არა იატაკქვეშა ეკელსიის ლიდერების ბრძანება, გამომეყენებინა ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა, რათა ვყოფილიყავი იატაკქვეშა ეკლესიის „ხმა“ თავისუფალ ქვეყნებში. მათ სურდათ თავისუფალ ქვეყნებში მელაპარაკა მათი სახელით იატაკქვეშა ეკლესიის ტანჯვისა და საჭიროების შესახებ. დასავლეთში ჩამოვედი, მაგრამ ჩემი გული მათთან დარჩა. მე არასოდეს არ დავტოვებდი რუმინეთს, რომ არ გამეცნობიერებინა თქვენი უდიდესი საჭიროება, შეგეტყოთ იატაკქვეშა ეკლესიის

ტანჯვისა და გამამხნევებელი საქმიანობის შესახებ. აი, რა არის ჩემი მისია.

რუმინეთის დატოვებამდე ორჯერ დამიბარა საიდუმლო პოლიციამ. მითხრეს, რომ ფული მიიღეს ჩემს სახელზე (რუმინეთი ყიდის თავის მოქალაქეებს ფულზე, ქვეყანაში კომუნისტური მმართველობის მიერ შემოტანილი ეკონომიკური კრიზისის გამო). მათ მითხრეს: „წადი დასავლეთში და იქადაგე ქრისტეზე რამდენიც გინდა, მაგრამ ჩვენ არ გვასწავლო! ერთი სიტყვაც კი არ თქვა ჩვენს წინააღმდეგ! თუ გაგვამხელ, მოკლედ გეტყვით რის გაკეთებას გიპირებთ. ჯერ ერთი, 1000 დოლარად შეგვიძლია ვნახოთ განგსტერი, რომელიც მოგკლავს, ან მოგიტაცებს“. (მართლმადიდებელ მღვდელთან ერთად ვიყავი საკანში, ვასილე ლეულთან, რომელიც ავსტრიაში მოიტაცეს და რუმინეთში ჩამოიყვანეს. ფრჩხილები დააცალეს. ერთი იყო ბერლინიდან. რუმინელებმა იტალიიდან და პარიზიდანაც კი მოიტაცეს რუმინელები). უფრო მეტიც მითხრეს: „შეგვიძლია მორალურად დაგანგრიოთ, შენი ახალგაზრდობისდროინდელი ცოდვების გავრცელებით, გოგონასთან მრუშობის, ქურდობის, ან სხვა რაიმე ცოდვის შესახებ ხმების დაყრით. დასავლეთელები – განსაკუთრებით ამერიკელები – ხომ ადვილად ტყუვდებიან“.

ამ მუქარის შემდეგ ნება დამრთეს დასავლეთში წასვლის. დიდი იმედი ჰქონდათ იმ ტვინის რეცხვისა, რომელშიაც გამომატარეს. დასავლეთში მრავალი ადამიანია, ვინც ჩემნაირი მდგომარეობა გამოიარა, მაგრამ გაჩუმებულია. ზოგიერთები კომუნისტებსაც კი ადიდებენ, მას შემდეგ, რაც მათ მიერ იქნენ ნაწამები. კომუნისტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მეც გავჩუმდებოდი.

ასე რომ, 1965 წლის დეკემბერში, მე და ჩემს ოჯახს რუმინეთის დატოვების ნება დაგვრთეს.

ბოლო, რაც რუმინეთის დატოვებამდე გავაკეთე, იყო იმ კოლონელის სასაფლაოზე წასვლა, რომელმაც ჩემი დაპატიმრება და წლების განმავლობაში წამების ბრძანება გასცა. ყვავილები დავაწყვე მის საფლავზე. ამის გაკეთებით თავი მივუძღვენი ქრისტესათვის სიხარულის მინიჭებას, რაც უნდა გავაკეთო კომუნისტების მიმართაც, რომლებიც ცარიელები არიან სულიერად. მძულს კომუნისტური სისტემა,

მაგრამ მიყვარს ადამიანები. მძულს ცოდვა, მაგრამ მიყვარს ცოდვილი. მთელი ჩემი გულით მიყვარს კომუნისტები. კომუნისტებს შეუძლიათ მოკლან ქრისტიანები, მაგრამ არ შეუძლიათ მოკლან მათი სიყვარული თვით მკვლელებისადმი. მცირეოდენი სიმწარე ან საწინააღმდეგოც კი არაფერი მაქვს გულში კომუნისტების მიმართ.

თავი მეოთხე

კომუნიზმი ქრისტეს სიყვარულით მარცხდება

ებრაელებს აქვთ ლეგენდა, როდესაც მათი წინაპრები ეგვიპტიდან გამოვიდნენ და ეგვიპტელები მეწამულ ზღვაში შთაინთქნენ, ისრაელიანთა სასიხარულო გალობას ანგელოზები შეუერთდნენ ზეციდანო. ღმერთმა უთხრა ანგელოზებს: „ებრაელები ადამიანები არიან და შეუძლიათ გაიხარონ გაქცევით, მაგრამ თქვენგან უფრო მეტ გაგებას მოველი. განა ეგვიპტელებიც ჩემი ქმნილებები არ არიან? განა ისინიც ისე არ მიყვარან? როგორ შეიძლება ვერ გაიგოთ ჩემი დიდი მწუხარება მათი ტრაგიკული ბედის გამო?“

იესო ნავე ამბობს: „როდესაც იესო ნავეს ძე იერიხოსთან იყო, თვალები აღაპყრო, და ხედავს, კაცი იდგა მის პირდაპირ ამოღებული მახვილით. მივიდა იესო ნავეს ძე მასთან და უთხრა: ‘ჩვენთან ხარ თუ ჩვენი მტრის მხარესო?’“ (იესო ნავე 5,13).

ვისაც იესო ნავეს ძე შეხვდა, მხოლოდ კაცი რომ ყოფილიყო, პასუხი ასეთი იქნებოდა: „შენს მხარესა ვარ“, ან: „შენი მტრის მხარეს“, ან: „ნეიტრალური ვარ“. ეს არის ადამიანური გონებისაგან მოსალოდნელი პასუხები. მაგრამ, არსება, რომელსაც იესო შეხვდა, უფლისაგან იყო გამოგზავნილი, უფრო მეტიც, როდესაც ჰკითხეს: „ჩვენი ხარ, თუ ჩვენი მტრებისაო?“ მოულოდნელი და ძნელად გასაგები პასუხი გასცა: „არა“. რას ნიშნავს „არა“?

ის მოვიდა იმ ადგილიდან, სადაც არსებები არ არიან მომხრეები ან მოწინააღმდეგეები, არამედ სადაც ყველასი და ყველაფრის

ესმით, ყველაფერს გაგებით ეკიდებიან და სიყვარულის ცეცხლით არიან ანთებულნი.
ადამიანური რანგით კომუნიზმს უნდა ებრძოლო. ამ რანგში უნდა ვებრძოლოთ კომუნისტებსაც, ისინი ამ სასტიკი იდეალის მომხრეები არიან.
მაგრამ ქრისტიანები უფრო მეტი არიან, ვიდრე, უბრალოდ, ადამიანები; ისინი ღვთის შვილები არიან, საღმრთო ბუნების მოზიარენი. მიუხედავად ამისა, წამებამ, რაც კომუნისტურ ციხეში გადავიტანე, არ შემაძულა კომუნისტები. ისინი ღვთის ქმნილებები არიან, როგორ შეიძლება მძულდეს ისინი? არც მათთან მეგობრობა შემიძლია. მეგობრობა ნიშნავს ერთ სულს ორ ფშვინვაში. მე არა ვარ კომუნისტებთან ერთ სუნთქვაში. მათ სძულთ ღვთის ერი. მე ღმერთი მიყვარს.
თუ შემეკითხებოდნენ: „კომუნისტების მომხრე ხარ თუ მოწინააღმდეგე?“ ჩემი პასუხი კომპლექსური იქნებოდა. კომუნიზმი წარმოადგენს კაცობრიობისათვის უდიდეს საშიშროებას. მე უკიდურესად ვეწინააღმდეგები მას და ვისურვებდი მის წინააღმდეგ ბრძოლას, საბოლოო გადაგდებამდე, მაგრამ, სულში, იესო ქრისტეს ზეციურ სამყოფელში ვარ. „არას“ თავისუფალ ნაწილში ვარ, რომელიც გულისხმობს არა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თანადგომას, არამედ კომუნისტების, როგორც ცოდვილი ადამიანების სიყვარულს, „არას“ სივრცეში, სადაც ანგელოზები ეხმარებიან ადამიანის მოდგმას მიაღწიოს ადამიანის სიცოცხლის უმთავრეს მიზანს, რაც არის ქრისტეს დამსგავსება. მაშასადამე, ჩემი მიზანი არის სახარების კომუნისტებში გავრცელება, მივაწოდოთ მათ კეთილი უწყება ქრისტეს შესახებ, ვინც ჩემი უფალია და უყვარს კომუნისტები. მან თვითონ თქვა, რომ ყოველი ადამიანი უყვარს და დატოვებს ოთხმოცდაცხრამეტ მართალ ცხვარს და არ დაუშვებს, რომ ერთმა ცხვარმა გზიდან გადაუხვიოს და დაიკარგოს. წმინდა მაკარი ამბობს: „თუ კაცს ყველა ადამიანი უყვარს ერთგულებით, მაგრამ ერთ ადამიანზე იტყვის, რომ ის არ უყვარს, ადამიანი, რომელიც ამას იტყვის, ის ქრისტიანი აღარ არის, რადგან მისი სიყვარული ყოველივეს არ მოიცავს“. წმ. ავგუსტინე გვასწავლის: „თუ ყველა ადამიანი მართალი იქნებოდა და მხოლოდ ერთი ცოდვილი, ქრისტე იმ

ერთი ადამიანისათვის მოვიდოდა ჯვარზე“. ქრისტიანული სწავლება ნათელია. კომუნისტები ადამიანები არიან და ღმერთს უყვარს ისინი. ასევე მოქმედებს ის ადამიანი, ვისაც ღვთიური გონება აქვს. ჩვენ გვიყვარს ცოდვილები, მიუხედავად იმისა, რომ გვძულს ცოდვა.

შენ გესმის ქრისტეს კომუნისტებისადმი სიყვარული შენი მათდამი სიყვარულით.

კომუნისტურ ციხეში მინახავს ქრისტიანი პატიმრები თხუთმეტ ფუნტიანი ჯაჭვებით ფეხებზე, გავარვარებული ცეცხლის საჩხრეკი მაშით ნაწამები, რომლებსაც ხახაში კოვზით მარილს ჩრიდნენ, შემდეგ წყლის გარეშე ტოვებდნენ, აშიმშილებდნენ, სცემდნენ, სიცივისაგან ტანჯავდნენ – და მაინც კომუნისტებისათვის ლოცულობდნენ. ადამიანისათვის ეს ყოვლად შეუძლებელია! ეს არის ქრისტეს სიყვარული, რაც ჩვენს გულში ჩაიღვარა.

კომუნისტები, რომლებიც ჩვენ გვაწამებდნენ, მოგვიანებით თვითონაც ციხეში გააგზავნეს. კომუნიზმში კომუნისტები და თვით კომუნისტი მმართველები ისევე ხშირად ხვდებიან ციხეში, როგორც მათი მოწინააღმდეგეები. ახლა ჯალათები და წამებულები ერთსა და იმავე საკანში იყვნენ. მაშინ, როცა არაქრისტიანები სიძულვილს გამოხატავდნენ მათ მიმართ და სცემდნენ, ქრისტიანებმა დაცვას მიმართეს, თუმცა რისკი დიდი იყო, რომ თვითონ ეცემათ მათი მიმხრობისათვის და ბრალი დაედოთ კომუნისტებთან თანამზრახველობაში. მინახავს, ქრისტიანებს უკანასკნელი ნაჭერი პური გაუღიათ (ერთ ნაჭერს გვაძლევდნენ კვირაში) და წამალი, რომელსაც ავადმყოფი ჯალათი კომუნისტის სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო, რომელიც იმ მომენტში თანაპატიმარი იყო.

აი, ლულიუ მანიუს ბოლო სიტყვები, ქრისტიანი და რუმინეთის ყოფილი პირველი მინისტრი, რომელიც ციხეში მოკვდა: „თუ კომუნისტებს გადააგდებენ ჩვენს ქვეყანაში, ყველა ქრისტიანის უწმინდესი მოვალეობა იქნება, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, გავიდეს ქუჩაში და დაიცვას ისინი აღშფოთებული ბრბოსაგან, რომლებსაც ტირანულად ეპყრობოდნენ“.

ციხიდან გამოსვლის პირველ დღეებში საუბრის შემდეგ

ვგრძნობდი, რომ ვეღარ ვიცოცხლებდი. ქუჩაში სიარულისას ფიზიკურ ტკივილს განვიცდიდი ყოველი გამვლელი ქალისა თუ მამაკაცის მიმართ. თითქოს გულში დანა ჩაგასვესო, კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: იყო თუ არა იგი დახსნილი. თუ ეკლესიის წევრი შეცოდავდა, საათობით ვტიროდი. სულების გადარჩენის წყურვილი კვლავ ძლიერი იყო ჩემში და კომუნისტებიც არ იყვნენ მათ შორის გამონაკლისი.

ისე აღარ შეგვეძლო ლოცვა მარტოობის საკანში, როგორც უწინ. წარმოუდგენლად გვშიოდა; იქამდე გვიკეთებდნენ წამლებს, ვიდრე იდიოტებივით არ ვიმოქმედებდით. ისეთი უძლურები ვიყავით, როგორც ჩონჩხი. უფლის ლოცვა ძალიან ძნელი სათქმელი იყო ჩვენთვის – კონცენტრაცია აღარ გვყოფნიდა. ჩემი ერთადერთი მუდმივი ლოცვა იყო: „იესო, მე შენ მიყვარხარ“.

და შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, პასუხი მივიღე იესოსაგან: „გიყვარვარ? ახლა გაჩვენებ მე როგორ მიყვარხარ“. მაშინვე, ცეცხლი ვიგრძენი გულში, რომელიც მზის სხივებივით იწვოდა. მოწაფეებმა ემაუსის გზაზე თქვეს, რომ მათი გული ანთებული იყო როდესაც იესო ელაპარაკებოდა. ასევე იყო მათთანაც. მე ვიცი მისი სიყვარული, ვინც თავისი სიცოცხლე ჯვარზე დადო ყველა ჩვენგანის სიყვარულის გამო. ასეთ სიყვარულს არ შეუძლია კომუნისტების გამორიცხვა, რაც უნდა სერიოზული იყოს მათი ცოდვა. კომუნისტები ჩადიოდნენ და კვლავ ჩადიან საშინელებებს, მაგრამ „რადგან სიყვარულივით ძლიერია სიკვდილი, ჯოჯოხეთივით სასტიკია შური; არმური მისი ცეცხლის არმურია, უფლის ალი. ვერ დაშრეტს სიყვარულს წყალი მრავალი და მდინარე ვერ წარხოცავს მას“ (ქებათა ქება 8,6–7). როგორც საფლავი მოითხოვს ყველას – მდიდარს და ღარიბს; ახალგაზრდას და მოხუცს; ყველა რასის ადამიანს, ერებს და პოლიტიკურ მსხვერპლს; წმინდანებს და კრიმინალებს – ასევე სიყვარული მოიცავს ყველას. ქრისტეს, ხორცშესხმულ სიყვარულს სურს, ყველა ადამიანის მასთან მისვლა, კომუნისტების ჩათვლით.

საშინლად ნაცემი მინისტრი ჩემს საკანში შემოაგდეს. ნახევრად მკვდარი, სახიდან და სხეულიდან სისხლი მოსდიოდა. დავბანეთ. ზოგიერთი პატიმარი წყევლიდა კომუნისტებს. მინისტრმა

ღმუილით თქვა: „გთხოვთ, ნუ დაწყევლით! გაჩუმდით! მინდა ვილოცო მათთვის“.

როგორ შეიძლება ვიყოთ ბედნიერი ციხეშიც კი

როდესაც თვალს გადავავლებ ციხეში გატარებულ თოთხმეტ წელიწადს, თუმცა იშვიათად გვქონდა ქრისტიანებს ბედნიერი დღეები, მაგრამ სხვა პატიმრებს და ციხის დაცვას ძალიან უკვირდათ, როგორ შეიძლებოდა ქრისტიანები ასე ბედნიერები ყოფილიყვნენ, როგორც ჩვენ მაშინ ვიყავით იმ უკიდურესად საშინელ მდგომარეობაში. ვერ გვაწყვეტინებდნენ სიმღერას, თუმცა გვცემდნენ ამისათვის. ბულბული წარმოვიდგინე, ისიც იმღერებდა, რომ სცოდნოდა სიმღერის დასასრულს მომკლავენო სიმღერისათვის. ქრისტიანები სიხარულით ცეკვავდნენ საკანში. როგორ შეიძლებოდა ასეთი გახარებულები ყოფილიყვნენ ამ ტრაგიკულ მდგომარეობაში?

ციხეში ხშირად ვფიქრობდი იესოს მოწაფეებისადმი ნათქვამ სიტყვებზე: „ნეტარია თვალები, რომლებიც ხედავენ, რასაც თქვენ ხედავთ“ (ლუკა 10,23). მოწაფეები ახლახან დაბრუნდნენ პალესტინაში მოგზაურობიდან, სადაც საშინელებები იხილეს. პალესტინა დატყვევებული ქვეყანა იყო. ყველგან სიღარიბეს და დაჩაგრულ ხალხს ნახავდით. მოწაფეები შეხვდნენ ავადმყოფებს, ჭირს, შიმშილს და მწუხარებას. შედიოდნენ სახლებში, საიდანაც პატრიოტები წაიყვანეს ციხეში, მოტირალი დედა ან ცოლ-შვილი დატოვეს უკან. არ იყო დასანახად ლამაზი სამყარო.

იესომ მაინც თქვა: „ნეტარნი არიან თვალები, რომლებიც ხედავენ, რასაც თქვენ ხედავთ“. იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ ტანჯვას არ ხედავდნენ. მხსნელსაც ხედავდნენ. პირველად სიცოცხლეში რამდენიმე ულამაზო ჭიამ – ფოთლებზე მიკრულმა აბრეშუმის ჭიამ – გაიგო, რომ ასეთი საცოდავი არსებობის შემდეგ მოდის ისეთი ლამაზი ცხოვრება მრავალფერი პეპლისა, რომელსაც შესწევს უნარი ყვავილიდან ყვავილზე გადაფრენის. ანალოგიური ბედნიერება გვქონდა ჩვენც.

ჩემს გარშემო იყვნენ „იობები“ – ზოგიერთის მდგომარეობა უფრო გულსატკენი იყო ვიდრე იობის. ვიცოდი იობის

ამბის დასასრული, ადრინდელზე ორჯერ უფრო მეტი რომ მიიღო. ჩემს გარშემო იყვნენ მათხოვარი ლაზარეს მსგავსი ადამიანები, მშივრები და წყლულებით დაფარული. ვიცოდი, რომ ამ ადამიანებს ღმერთი წაიყვანდა თავის სასუფეველში. მათ ვხედავდი ისეთებს, როგორებიც მომავალში იქნებოდნენ. ჩემს გვერდით მდგომ ჭუჭყიან და სუსტ წამებულში ვხედავდი დიდებული გვირგვინით შემკულ ხვალინდელ წმინდანებს.

უყურო ადამიანებს ამ თვალით – არა ისეთებს, როგორებიც ახლა არიან, არამედ როგორებიც იქნებიან – ანალოგიურად შემიძლია დავინახო ჩვენს ჯალათებში ტარსუსელი სავლე – მომავალი პავლე მოციქული. ზოგიერთები გახდნენ კიდეც. საიდუმლო პოლიციის მრავალი ოფიცერი, რომლებსაც ვუქადაგეთ, ქრისტიანობაზე მოექცნენ და მოგვიანებით უხაროდათ ქრისტეს სახელისათვის ციხეში მიღებული ტანჯვა. ისე გვცემდნენ ციხეში, როგორც პავლეს. თანაპატიმრელებში ვხედავდით პოტენციურ ფილიპეში მოქცეულ პატიმარს; ვოცნებობდით, მალე ეკითხათ: „რა უნდა გავაკეთო რომ გადავრჩე?“ ჯვარზე გაკრული ქრისტიანების დამცინავებსა და მათ სხეულებზე განავლის წამსმელ ხალხში, დავინახეთ გოლგოთაზე მყოფი ბრბო, რომელიც სულ მალე გულში მჯიღის ცემით მოინანიებდა ჩადენილ ცოდვას.

ციხეში გაგვიჩნდა კომუნისტების დახსნის იმედი. იქ გაგვივითარდა მათდამი პასუხისმგებლობა. მათგან მიყენებული წამება დაგვეხმარა მათი სიყვარულის მოპოვებაში.

ჩემი ოჯახის წევრების უმეტესობა მოკლეს. ჩემს საკუთარ სახლში მოექცა მათი მკვლელი. რისთვისაც სრულიად შესაფერისი ადგილი გახლდათ. ასე დაიბადა ციხეში ქრისტიანების მისია კომუნისტების დასახმარებლად.

ღმერთი, ჩვენგან განსხვავებით, სხვაგვარად ხედავს მოვლენებს, ისევე როგორც ჩვენ ვხედავთ ჭიანჭველისაგან განსხვავებით. ადამიანის შეხედულებებიდან გამომდინარე, ჯვარზე გაკვრა და მერე სხეულზე განავლის წასმა საშინელი დამცირებაა. მიუხედავად ამისა, წამებულებს ბიბლია „სინათლის წამებულებს“ უწოდებს. ციხეში გატერებული თოთხმეტი წელი ძალიან ბევრად გვეჩვენება. ბიბლია მას

„წუთიერს“ უწოდებს და გვეუბნება, რომ ყველაფერი: „ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის“ (2 კორინთელთა 4,17). ეს გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ კომუნისტების მიერ ჩადენილი არაადამიანური დანაშაული, რაც ჩვენთვის მიუტევებელია, უფრო მსუბუქია ღვთის თვალში, ვიდრე ადამიანის თვალში. მათი ტირანია, რაც თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა, შესაძლოა ღვთის წინაშე, რომლისათვისაც ათასი წელი როგორც ერთი დღეა, იყოს ცოდვის შედეგად წამიერად გზას აცდენა. მათ ჯერ კიდევ აქვთ დახსნის შესაძლებლობა.

ცათა სასუფევლის კარი არ არის კომუნისტებისათვის დაკეტილი. არც სინათლეა ჩამქრალი. მათაც ყველას მსგავსად შეუძლიათ მონანიება. ჩვენ გვმართებს მოვუხმოთ მათ მონანიებისაკენ.

მხოლოდ სიყვარულს შეუძლია კომუნისტებისა და ტერორისტების შეცვლა (სიყვარული ცხადად უნდა გამოირჩეოდეს მრავალი საეკლესიო ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკაში გატარებული არაქრისტიანული ფილოსოფიის კომპრომისისაგან). სიძულვილი აბრმავებს. ანტიკომუნისტ ჰიტლერს სძულდა. რის გამოც, მიუხედავად კომუნისტების დაპყრობისა, პირიქით მათ გაუწია დახმარება მსოფლიოს მესამედის დაპყრობაში.

სიყვარულით დავგეგმეთ მისიონერული მუშაობა ციხის კომუნისტებისათვის. პირველ რიგში კომუნისტ მმართველებზე ვფიქრობდით.

უმეტესი მისიონერული ორგანიზაციის ლიდერებმა იციან ეკლესიის ისტორია. როგორ იქნა ნორვეგია შეძენილი ქრისტესათვის მეფე ოლაფის მოქცევით. რუსეთში სახარება პირველად გამოჩნდა, მეფე ვლადიმირის მოქცევის შემდეგ. უნგრეთი შეძენილ იქნა მისი მეფის წმ. სტეფანეს შეძენით. იგივე მოხდა პოლონეთშიც. აფრიკაში, როდესაც ტომის ბელადი მოექცევა, მთელი ტომი მას ბაძავს. მისიონერულ ორგანიზაციებს ვაყალიბებთ არა – ხელდასხმული ადამიანებით, რომლებიც შესაძლოა ბრწყინვალე ქრისტიანები არიან, მაგრამ ძალიან მცირე ძალა შესწევთ საზოგადოების შეცვლაზე ზემოქმედებისათვის.

ჯერ უნდა შევიძინოთ ლიდერები პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში. ისინი აყალიბებენ ადამიანის სულებს. მათი შეძენით, შეიძენ იმ ხალხს, რომლებსაც ისინი მართავენ და გავლენას ახდენენ.
მისიონერების თვალსაზრისით, კომუნიზმს სხვა სოციალურ სისტემებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ცენტრალიზებულია. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რომ მორმონი გახდეს, მის გამო ამერიკა ვერ გახდება მორმონი. მაგრამ თუ კომუნისტი ლიდერი გახდება ქრისტიანი, ალბათ, მთელი მისი ქვეყანა მოექცევა. აი, როგორი ძლიერია ლიდერებზე გავლენის მოხდენა.
შეიძლება ამ ლიდერების მოქცევა? რა თქმა უნდა, რადგან ისინიც ისეთივე უსიხარულონი და დაუცველები არიან, როგორებიც მათი მსხვერპლები. რუსეთის კომუნიზმის თითქმის ყველა ლიდერის ბოლო ციხე აღმოჩნდა ან მეგობრების ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. იგივე მოხდა ჩინეთშიც. შინაგან საქმეთა მინისტრებმა: იაგოდამ, ეჟოვმა, ბერიამ, რომლებსაც მთელი ძალაუფლება ხელთ ეპყრათ, კონტრრევოლუციონერების მსგავსად დაასრულეს ცხოვრება – კეფაში ტყვიით. რამდენიმე წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი შელეპინი და რანკოვიჩი, იუგოსლავიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ჭუჭყიანი ჩვარივით ჩამოყარეს.

როგორ შეიძლება ვებრძოლოთ კომუნიზმს სულიერად

კომუნისტური რეჟიმი არავის არ ახარებს, თვით მის მოსარგებლეებსაც კი. ისინიც შიშისაგან კანკალებენ, რადგან შეიძლება ნებისმიერ ღამეს საიდუმლო პოლიციის მანქანით წაიყვანონ, პოლიტიკური პარტიის ცვლილების გამო.
პირადად ვიცნობდი მრავალ კომუნისტ ლიდერს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მძიმე ტვირთი აწევთ კისერზე. მხოლოდ იესოს შეუძლია მათთვის შვების მოგვრა.
კომუნისტი ლიდერების ქრისტესთან მიყვანა შესაძლოა ნიშნავდეს მსოფლიოს ატომური ნგრევისაგან გადარჩენას,

კაცობრიობის შიმშილისაგან გადარჩენას, რადგან შემოსავლების უმეტესი ნაწილი ხმარდება შეიარაღებულ ძალებს. კომუნისტების მოგება შესაძლოა ნიშნავდეს საერთაშორისო დაძაბულობის მოხსნას. კომუნისტი ლიდერების მოგება აავსებს ქრისტესა და ანგელოზებს სიხარულით. სხვა მრავალ რეგიონში, როგორებიცაა ახალი გვინეა და მადაგასკარი, სადაც მისიონერები ასე მაგრად მუშაობენ, შესაძლოა უბრალოდ გაჰყვნენ გაქრისტიანებული კომუნისტების კვალს. რადგან ეს მისცემს ქრისტიანობას სრულაიდ ახალ მამოძრავებელ ძალას.

პირადად ვიცნობდი მოქცეულ კომუნისტ ლიდერებს. მე თვითონ მებრძოლი ათეისტი ვიყავი ახალგაზრდობაში. მოქცეულ ათეისტებსა და კომუნისტებს განსაკუთრებით უყვართ ქრისტე, რადგან ძალიან სცოდავდნენ.

სტრატეგიული მიდგომაა საჭირო მისიონერულ მუშაობაში. ხსნის პოზიციიდან, ნებისმიერი ადამიანი ერთია. მისიონერების თვალსაზრისიდან ასე არ არის. უფრო მნიშვნელოვანია დიდი გავლენის ადამიანის მოქცევა, რომელსაც მოგვიანებით ათასობით სულის შეძენა შეუძლია, ვიდრე ერთი ველური დაარწმუნო ჯუნგლებში, მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ხსნაში. აქედან გამომდინარე აირჩია იესომ თავისი მსახურება დაესრულებინა არა პატარა სოფელში, არამედ იერუსალიმში, მსოფლიოს სულიერ შტაბში. ამავე მიზეზით ცდილობდა პავლე რომში ჩასვლას.

ბიბლია ამბობს, რომ ქალის მოდგმა გაუჭეჭყავს გველს თავს (დაბ.3,15). ჩვენ კი გველს მუცელზე ვუღიტინებთ და ვაცინებთ. დღეს გველი აგრძელებს ცოცვას ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამსა და ლაოსში. შუა აღმოსავლეთში არიან ქვეყნები, სადაც ერთი ეკლესიის არსებობასაც კი არ დაუშვებენ. ანალოგიურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ტყვე ერებს ყურადღებას უნდა აქცევდნენ, როგორც ეკლესიის ლიდერები და მისიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ასევე ნებისმიერი ქრისტიანები.

თავი უნდა დავანებოთ რუტინულ შრომას. დაწერილია: „წყეულიმც იყოს, ვინც უფლის საქმეს უდიერად ექცევა“ (იერემია 48,10). ეკლესიამ ასეთ დატყვევებულ ერებში ბრძოლა

უნდა აწარმოოს სულიერი ძალების წინააღმდეგ. ბრძოლებს იგებენ შეტევით და არა თავდაცვითი სტრატეგიით. ფსალმუნი 107,16 ამბობს, რომ უფალმა დაფშვნა ურდულნი რკინისა. რკინის ფარდა უბრალო რამ იყო მისთვის.

ადრეული ეკლესია საიდუმლოდ და არალეგალურად მუშაობდა, და გაიმარჯვა კიდეც. ჩვენც უნდა ვისწავლოთ იგივე მანერით მუშაობა.

კომუნიზმის პერიოდამდე არ მესმოდა, რატომ იყო ახალ აღთქმაში ამდენი მეორე სახელის მატარებელი პერსონაჟი: სიმონს ერქვა ნიგერი, იოანეს მარკოზი და ასე შემდეგ. დამონებულ ერებშიც ანალოგიურად ვმოქმედებთ, ზედმეტი სახელებით მივმართავთ ადამიანებს.

აქამდე ძნელი იყო გამეგო, რატომ არ მისცა იესომ ზუსტი მისამართი მოწაფეებს საიდუმლო სერობის მოსამზადებლად. მან უთხრა მათ: „წადით ქალაქში და შეგხვდებათ კაცი კოკით მხარზე“ (მარკოზი 14,13). ახლა კი მესმის. ჩვენც ამდაგვარ მინიშნებებს ვიძლევით იატაკქვეშა ეკლესიის მუშაობაში.

თუ შევთანხმდებით ამ ფორმით მუშაობაზე – დავუბრუნდებით ადრეულ ქრისტიანულ მეთოდებს – შეიძლება მივაღწიოთ ქრისტესათვის ეფექტიან მუშაობას დახურულ ქვეყნებში.

მაგრამ როდესაც დასავლეთის ზოგიერთი ეკლესიის ხელმძღვანელს შევხვდი, კომუნისტების სიყვარულის ნაცვლად – რომელიც მათ დიდი ხნის წინ ამ ქვეყნებში მისიონერული საქმიანობისათვის წაუძღვებოდათ – აღმოვაჩინე, რომ ისინი მათ მხარეს იდგნენ. ვერ ვიპოვე კეთილი სამარიელის ვნება, კარლ მარქსის სახლში დაკარგული სულებისადმი.

ადამიანს ნამდვილად სჯერა არაის, რასაც რწმენის დამოწმებაში იმეორებს, არამედ რისთვისაც მზად არის სიცოცხლე დადოს. იატაკქვეშა ეკლესიის წევრებმა აჩვენეს, რომ ისინი მზად არიან დაიხოცნენ რწმენისათვის. ჩვენი საერთაშორისო მისიონერული ქსელი დღესაც აგრძელებს საიდუმლო მუშაობას დახურულ ქვეყნებში. რამაც თანამშრომლებს ადვილად შეიძლება მოუტანოს პატიმრობა, წამება, და სიკვდილი, თუკი წასწრებული იქნებიან საქმეზე. მე მჯერა რასაც ვწერ.

უფლება მაქვს ვიკითხო: ამერიკის ეკლესიის ლიდერები, რომლებიც კომუნისტ ლიდერებს უმეგობრდებიან, იქნებიან

მზად თავიანთი რწმენისათვის სასიკვდილოდ? ვინ უშლის მათ ხელს, რომ უარი თქვან დასავლეთში დიდ თანამდებობებზე და გახდნენ ხუცესები აღმოსავლეთში, ითანამშრომლონ კომუნისტებთან ადგილზე? ასეთი რწმენის დამოწმება, ჯერ დასავლეთის არცერთი ეკლესიის ლიდერს არ მოუცია.

სიტყვები მოდიან ადამიანის საჭიროებიდან, რათა გაუგონ ერთმანეთს გრძნობების გამოხატვაში. არ არსებობს ადამიანური სიტყვა ან შესაბამისი მანერა, ღვთის საიდუმლოებებისა და სულიერი ცხოვრების გამოსახატავად. ანალოგიურად, არ არსებობენ სატანური ულმობლობის გამოსახატავი სიტყვები. შეგიძლიათ სიტყვებით გამოხატოთ რას განიცდის კაცი, როდესაც ნაცისტები ღუმელში აგდებენ, ან თავის შვილს უყურებს გავარვარებულ ცეცხლში?

უსარგებლოა ეცადო იმის აღწერას, რასაც ქრისტიანები განიცდიდნენ და განიცდიან კომუნისტურ ქვეყნებში.

ლუკრეტიუ პატრასკანუსთან ერთად ვიყავი ციხეში, კაცთან, რომელმაც კომუნიზმი შემოიტანა რუმინეთში. მისმა მეგობრებმა ციხეში ჩასმით გადაუხადეს მადლობა. თუმცა საღ გონებაზე იყო, მაინც საგიჟეთში ჩასვეს. ვიდრე მართლა არ გააგიჟეს. ანა პაუკერსაც იგივე გაუკეთეს, კავშირის ყოფილ მდივანს. ქრისტიანებსაც ხშირად ანალოგიურად ეპყრობიან, ელექტროშოკსა და გიჟებისათვის განკუთვნილ თეთრ ხალათებს იღებენ.

მსოფლიო შეაძრწუნა ჩინეთის ქუჩაში მომხდარმა ამბავმა. წითელმა დაცვამ ყველას თვალწინ განახორციელა ტერორი. ახლა ეცადეთ წარმოიდგინოთ, როგორ ეპყრობიან ქრისტიან პატიმრებს ჩინეთის ციხეში, სადაც ვერავინ ვერ ხედავს მათ! გავიგე, რომ როდესაც ჩინეთის ცნობილმა ევანგელისტმა მწერალმა და სხვა ქრისტიანებმა უარი თქვეს რწმენის უარყოფაზე, დამტყვევებლებმა მათ ყურები, ენები და ფეხები დააჭრეს. ქრისტიანები დღესაც არიან ჩინეთის ციხეებში.

ყველაზე საშინელს, რასაც კომუნისტები აკეთებენ, არის არა ადამიანის სხეულის მოკვლა, არამედ შეცდომაში შეყვანილი ადამიანის გონება, ახალგაზრდობისა და ბავშვების მოწამვლა. კომუნისტებმა თავიანთი კაცები დააყენეს ეკლესიის ხელმძღვანელებად, ხალხის წარმართვისა და ეკლესიების

დანგრევის მიზნით. ისინი ახალგაზრდობას ასწავლიან არ ირწმუნონ ღმერთი და ქრისტე, არამედ შეიძულონ ეს სახელები. როგორი სიტყვებით შეიძლება აღვწეროთ ქრისტიანი წამებულის ტრაგედია, რომელიც ციხეში გატარებული წლების შემდეგ სახლში ბრუნდება და შვილები ზიზღით ხვდებიან, რომლებიც ამასობაში მებრძოლი ათეისტები გამხდარან?
ეს წიგნი დაწერილია არა იმდენად მელნით, რამდენადაც გულიდან დაღვრილი სისხლით.
დანიელის წიგნში სამ ახალგაზრდას ცეცხლში ჩაყრიან და იქედან ამოყვანილებს ცეცხლის სუნი არ ჰქონდათ, ასევე კომუნისტურ ციხეში მყოფ ქრისტიანებს არ უდით მათდამი სიძულვილის სუნი.
თუ ყვავილს ფეხით გათელავ, სანაცვლოდ სურნელს მიიღებ. ანალოგიურად, კომუნისტურ ციხეებში მყოფმა ქრისტიანებმა თავიანთი ჯალათები სიყვარულით დააჯილდოვეს. მრავალი თანაპატიმარი მივიყვანეთ ქრისტესთან. მხოლოდ ერთადერთი სურვილი გვამოძრავებდა – ჯალათი კომუნისტებისათვის მიგვეცა საუკეთესო, რაც კი რამ გაგვაჩნდა – ხსნა, რომელიც მოდის ჩვენი უფლის იესო ქრისტესაგან.
სხვა ძმების მსგავსად, მე არ მქონდა წამებულის სიკვდილით ციხეში ცხოვრების აღსრულების პრივილეგია. გამათავისუფლეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ რუმინეთიდან დასავლეთში წავედი.
მრავალი ეკლესიის ლიდერი ვნახე დასავლეთში, რომლებიც პირიქით უთანაგრძნობდნენ რკინის ფარდის მიღმა იატაკქვეშა ეკლესიებში გაბატონებულ მდგომარეობას. დასვლეთის მრავალ ქრისტიანს არა აქვს დამონებული ერების სიყვარული. ამის დასამოწმებლად ისიც გამოდგება, რომ არაფერს არ აკეთებენ მათ დასახსნელად. მათი მისია მუშაობს ერთ დენომინაციაში, რათა შეცვალოს მეორე. მრავალი უარს ამბობდა დამონებულ ერებთან მუშაობაზე, აცხადებდნენ რა, რომ „კანონის საწინააღმდეგოა!“ მათ არ უყვართ ისინი. სხვაგვარად მრავალი ხნის წინათ ჩამოაყალიბებდნენ ერთი შეხედვით შეუძლებელ მისიებს, როგორც უილიამ ქერიმ, ინდოეთის სიყვარულით და ჰუდსონ ტეილორმა ჩინეთში, დააარსეს მეტად პატივსაცემი მისიები.

არაფერია დამონებული ერების უსიყვარულობა და მათთვის არაფრის გაკეთება. მათი უარყოფით და ხანდახან თანამზრახველის თვისებების ქმედებით დასავლეთის ზოგიერთი ეკლესიის ლიდერები აძლიერებენ ათეისტებს ათეისტობაში. ისინი ეხმარებიან კომუნისტებს შეიჭრან დასავლეთის ეკლესიებში და მოიპოვონ ძალაუფლება მსოფლიოს ეკლესიებში. ისინი ეხმარებიან ქრისტიანებს დარჩნენ კომუნიზმის საშიშროების გაუცნობიერებლობაში.
კომუნისტების, დამონებული ერების უსიყვარულობითა და უმოქმედობით (იმ ქვეტექსტის საფუძველზე, რომ ქრისტესთან ზიარების უფლება არა აქვთ. თითქოს პირველმა ქრისტიანებმა ნებართვა გამოითხოვეს ნერონისაგან სახარების გასავრცელებლად), დასავლელი ეკლესიების ლიდერებს თავისი სამწყსოც არ უყვართ, რაკი მორწმუნეებს ნებას არ რთავენ, მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოს გარშემო მიმდინარე სულიერ ომში.

ისტორიის გაკვეთილები უარყოფილია

პირველ საუკუნეებში, ქრისტიანობა აყვავდა ჩრდილოეთ აფრიკაში. საიდანაც მოდიან წმ. ავგუსტინე, წმ. კვიპრიანე, წმ. ათანასე, წმ. ტერტულიანე. ჩრდილო აფრიკის ქრისტიანებმა მხოლოდ ერთ მოვალეობაზე თქვეს უარი – მაჰმადიანების ქრისტესთან მოყვანაზე. შედეგად ის მივიღეთ, რომ მაჰმადიანებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ აფრიკა და ქრისტიანობა საუკუნეების მანძილზე აღგავეს პირისაგან მიწისა. დღემდე ჩრდილო აფრიკა მუსლიმანებს ეკუთვნის, რომელთაც ქრისტიანული მისია „გარდაუქმნელ ბლოკს“ უწოდებს. მოდი, ვისწავლოთ ისტორიიდან.
რეფორმაციის დროს, ჰასის, ლუთერისა და კალვინის რელიგიური ინტერესები დაემთხვა ევროპის ხალხის პაპ ურლის გადაგდების ინტერესებს, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამთრგუნველ ძალას წარმოადგენდა. დღევანდელობის მსგავსად, იატაკქვეშა ეკლესიის ტირანულ რეჟიმსა და მათ მსხვერპლებში სახარების გავრცელების ინტერესი ემთხვევა

ყველა თავისუფალი ხალხების ინტერესს, გააგრძელონ ცხოვრება თავისუფლებაში.
მრავალ ტირანს აქვს ატომური იარაღი, რომლებთან სამხედრო შეჯახებას მილიონობით მსხვერპლი მოჰყვებოდა. მრავალი დასავლელი მმართველი ტვინგარეცხილია, ნურც კი ისურვებთ მათ გადაგდებას. ისინი ხშირად ამბობენ, რომ ისურვებდნენ ნარკომანების, განგსტერების, კიბოს და ტუბერკულოზის გაქრობას და არა ისეთ საშინელებას, როგორიცაა კომუნიზმი, რომელმაც უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილმა ავადმყოფობებმა ერთად.
საბჭოთა მწერალი, ილია ერენბურგი აბობს: სტალინს თავის სიცოცხლეში უდანაშაულო მსხვერპლის სახელების წერის მეტი სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სიცოცხლე საკმარისი არ იქნებოდა ამ დავალების შესასრულებლადო. კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე, ხრუშჩოვმა თქვა: სტალინმა ათასობით უმწიკვლო კომუნისტი დახვრიტა... ცენტრალური კომიტეტის ას ოცდაცხრამეტი წევრისა და კანდიდატის, რომლებიც მეჩვიდმეტე ყრილობაზე იქნენ არჩეულნი; მათგან ოთხმოცდათვრამეტი, რაც სამოცდაათ პროცენტს შეადგენდა, მოგვიანებით დააპატიმრეს და დახვრიტეს“.
ახლა წარმოიდგინეთ, რა გაუკეთა მან ქრისტიანებს! ხრუშჩოვმა უპატიოდ ჰყო სტალინი, მაგრამ თავად იგივეს კეთება გააგრძელა. 1959 წელს, საბჭოთა კავშირის ზეობის დროს ნახევარზე მეტი ეკლესიებისა დაიხურა.
სტალინის პერიოდთან შედარებით უფრო გამძვინვარდა ბარბაროსობა ჩინეთში. რუსეთსა და რუმინეთში ახალი დაპატიმრებები დაიწყო (საბჭოთა კავშირში კომუნიზმის გადავარდნის შემდეგ, მთავრობამ აღიარა ქრისტიანების მასობრივი დაპატიმრებები რუსეთში).
ტერორითა და მოტყუებით, ერთმილიარდიან ქვეყანაში ახალგაზრდობა გაზარდეს ყველაფრის სიძულვილით. დასავლეთისა და, განსაკუთრებით, ქრისტიანობის მიმართ.
ხშირად შეხვდებოდით რუსეთის ეკლესიების კარებებთან მდგარ ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა ბავშვებისათვის დაეშალათ შიგნით შესვლა. თუ ვინმე მაინც გაბედავდა,

წამოარტყამდნენ და გარეთ გამოაგდებდნენ. ფრთხილად და სისტემურად ზრდიდნენ დასავლეთის ქრისტიანობის მომავალ დამანგრეველებს.

მხოლოდ ერთადერთი ძალაა ბოროტი მთავრობის შესაცვლელად. იგივე ძალა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ქრისტიანულ სახელმწიფოს შეეცვალა წარმართული რომის იმპერია, რომელი ძალითაც ტევტონები და ვიკინგები ქრისტიანობაზე მოექცნენ, ძალა, რომელმაც ჩამოაგდო სისხლიანი ინკვიზიტორები. ეს არის სახარების ძალა, რომელსაც წარმოადგენს დამონებულ ერებში მომუშავე იატაკქვეშა ეკლესია.

დავეხმაროთ და მხარში ამოვუდგეთ ამ ეკლესიას ნიშნავს, არა მხოლოდ ტანჯულ თანამოძმეებთან ერთიანობას, არამედ თქვენი ქვეყნისა და ეკლესიის სიკვდილ-სიცოცხლეს. ამ ეკლესიის დახმარება არა მარტო თავისუფალი ქრისტიანების ინტერესია, არამედ თავისუფალი სახელმწიფოს პოლისს უნდა წარმოადგენდეს. იატაკქვეშა ეკლესიამ უკვე შეიძინა კომუნისტი ლიდერები. გეორგიუ დეჟი, რუმინეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი მოიქცა, ცოდვები მოინანია, ცხოვრება შეიცვალა და მერე გარდაიცვალა. მრავალ დამონებულ ქვეყანაში არიან მთავრობის მალული ქრისტიანი წევრები. ეს უნდა გავრცელდეს. ამის შემდეგ შეიძლება მოველოდეთ მთავრობის პოლისის შეცვლას – არა ტიტოსა და გომულკასნაირ ცვლილებას, რომელთა შემდეგადაც იგივე სასტიკი ათეისტური დიქტატურა გაგრძელდა, არამედ ქრისტიანობისა და თავისუფლებისაკენ შემობრუნებას.

მხოლოდ ამისათვის არსებობს გამონაკლისი შესაძლებლობა. ვისაც კომუნიზმი სწამს, ისეთივე გულწრფელები არიან თავის რწმენაში, როგორიც ქრისტიანები და დიდ კრიზისსაც განიცდიან. მათ მართლა სჯეროდათ, რომ კომუნიზმი დიდებულ საძმოს შექმნიდა ერებში. ახლა ხედავენ კომუნისტური ქვეყნების რღვევას, ისე როგორც აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებმა განიცადეს.

მათ მართლა სჯეროდათ, რომ კომუნიზმი სამოთხეს შექმნიდა დედამიწაზე, იმის საწინააღმდეგოს, რასაც ისინი ზეციური სამოთხის ილუზიას ეძახდნენ. ახლა ხალხს შია. საჭირო

გახდა კაპიტალისტური ქვეყნებიდან ხორბლის იმპორტი. ანალოგიური შიმშილია ჩრდილო კორეაში. ჩრდილო კორეა, მსოფლიოს ერთ-ერთი იზოლირებული ქვეყანა, განადგურების პირას დგას. წყალდიდობამ დააზიანა ნათესები, მარაგი იწურება. ახლა სასონარკვეთილი ჩრდილო კორეა ხსნის ფანჯრებსა და კარებს, რათა დაინახოს მავთულხლართებს მიღმა არსებული რეალური მსოფლიო.

კომუნისტებს სჯეროდათ თავისი ლიდერების. ახლა გაზეთებში კითხულობენ, რომ სტალინი მასების მკვლელი და ხრუშჩოვი იდიოტი იყო. იგივე ხდება მათი ეროვნული გმირების – რაკოსის, გეროს, ანნა პაუკერის, პანკოვიჩის და სხვების მიმართ. კომუნისტებს უკვე აღარ სჯერათ თავისი ლიდერების უცდომელობის. დარჩნენ როგორც კათოლიკეები პაპის გარეშე.

სიცარიელე დარჩა კომუნისტების გულში. ეს სიცარიელე მხოლოდ ქრისტეს მიერ შეიძლება შეივსოს. ადამიანის გული ბუნებრივად ეძებს ღმერთს. ნებისმიერი ადამიანის გულში არის ვაკუუმი, ვიდრე ქრისტე არ შეავსებს. ეს როგორც კომუნისტებისათვის, ისე ნებისმიერი ტყვე ერებისათვის სიმართლეს შეეფერება. სახარებისეული სიყვარული მათაც ეხებათ. ეს მინახავს და ვიცი, რომ მომავალშიც შესაძლებელია.

ქრისტიანებმა – კომუნისტებისაგან ნაწამებმა და დამცირებულებმა – დაივიწყეს და მიუტევეს პიროვნული და მათი ოჯახის მიმართ ჩადენილი დანაშაული. ქრისტიანები შეძლებისდაგვარად ეხმარებიან კომუნისტებს კრიზისიდან გამოსვლასა და ქრისტეს მიღებაში. ამ საქმიანობაში მათ ჩვენი დახმარება ესაჭიროებათ.

არა მხოლოდ ქრისტეს სიყვარულია უნივერსალური. ქრისტიანებში არ არის მიკერძოება. იესო ამბობს, რომ ღმერთი მზეს ამოაბრწყინებს მართლებისა და ბოროტების თავზე. იგივე ითქმის ქრისტიანულ სიყვარულზე.

დასავლელი ქრისტიანი ლიდერები, კომუნიზმსა და სხვა ტირანულ რეჟიმთან თანამშრომლობას ამართლებენ იესოს ნათქვამით, რომ მტერიც კი უნდა გიყვარდესო. იესოს არ უთქვამს შეიყვარე მტერი და ძმები დაივიწყეო.

„სიყვარულს“ აჩვენებენ და ქეიფობენ იმათთან, ვისი ხელებიც

გასვრილია ქრისტიანების სისხლით, ქრისტეს სახარებას კი არ უქადაგებენ. ტირანების მიერ დაჩაგრულები კი დავიწყებულნი არიან. ისინი არ უყვართ.

ათეული წლის წინ, დასავლეთ გერმანიის ევანგელურმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა 125 მილიონი დოლარი გაიღეს მშიერი ხალხისათვის. ამერიკულმა ეკლესიებმა – უფრო მეტი. მრავალი მშიერი ადამიანია, მაგრამ არა მგონია, იმაზე მეტი დახმარება ვინმეს ესაჭიროებოდეს თავისუფალი ეკლესიებიდან, ვიდრე წამებულ ქრისტიანებს. თუ გერმანელ, ბრიტანელ, ამერიკელ და სკანდინავიელ ეკლესიებს ამდენი ფულის მოგროვება შეუძლიათ დასახმარებლად, ყველა გაჭირვებულს უნდა მოხმარდეს, მაგრამ პირველ რიგში ქრისტიან წამებულებსა და მათ ოჯახებს.

ეს ასე ხდება ახლა?

მე გამომისყიდა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ, რაც ადასტურებს, რომ ქრისტიანები შეიძლება გამოისყიდო. რატომღაც მხოლოდ მე გამომისყიდეს ქრისტიანებმა რუმინეთიდან. ეს ფაქტი მსჯავრს სდებს დასავლეთის ქრისტიანულ ორგანიზაციებს მოვალეობის შეუსრულებლობაში.

პირველმა ქრისტიანებმაც დასვეს ეს კითხვა, მხოლოდ ებრაელებისათვის იყო ეკლესია თუ წარმართებისთვისაც? კითხვას სწორი პასუხი გაეცა. მეოცე საუკუნეში ანალოგიური პრობლემა სხვა ფორმით გამოჩნდა. ქრისტიანობა მხოლოდ დასავლეთელებისათვის არ არის. ქრისტე მხოლოდ ამერიკას, ბრიტანეთსა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს არ ეკუთვნის. ქრისტეს ჯვარცმის დროს ერთი ხელი დასავლეთისაკენ ჰქონდა გაშლილი და მეორე აღმოსავლეთისაკენ. მას არა მარტო ებრაელების, არამედ წარმართების, კომუნისტებისა და დასავლეთის მეფობაც სურს, იესომ თქვა „მოიარეთ მთელი ქვეყნიერება და უქადაგეთ სახარება ყველა ქმნილებას“ (მარკოზი 16,15).

ყველასათვის დაიღვარა იესოს სისხლი და ყველამ უნდა მოისმინოს და მიიღოს სახარება.

დატყვევებულ ქვეყნებში სახარების საქადაგებლად გვამხნევებს მათი სიყვარული და უშურველობა. არასოდეს

შევხვედრივარ რუს ნელთბილ ქრისტიანს. ყოფილი ახალგაზრდა კომუნისტები და მუსლიმანები ხდებიან ქრისტეს განსაკუთრებული მოწაფეები.
ქრისტეს უყვარს ეს ხალხი ისევე, როგორც ყველა ცოდვილი და სურს მათი ცოდვებისგან გათავისუფლება. დასავლეთის ზოგიერთი ეკლესიის ლიდერები ამას ანაცვლებენ სხვა არასწორი დამოკიდებულებით – ქრისტიანების მდევნელების მიმართ კმაყოფილებით. ისინი ემხრობიან ცოდვილებს, ამავდროულად ეხმარებიან მათ ძალაუფლების განმტკიცებაში და აბრკოლებენ ხსნის მიღწევის შესაძლებლობას, როგორც მტერთან, ასევე მათ მსხვერპლებთან.

რა აღმოვაჩინე ჩემს გათავისუფლებაში

ციხიდან გათავისუფლებულმა კვლავ განვაახლე ჩემს მეუღლესთან ურთიერთობა, მანაც მკითხა, რის გაკეთებას ვგეგმავდი სამომავლოდ. ვუპასუხე, რომ ჩემთვის იდეალური იქნებოდა–მეთქი სულიერი განდეგილობით ცხოვრება. ჩემმა მეუღლემ მიპასუხა, რომ ისიც იგივეს ფიქრობდა.
ძალიან დინამიკური სტილის ახალგაზრდობა მქონდა. მაგრამ ციხემ, განსაკუთრებით გაუბახტმა, გარდამქმნა მედიტაციისა და განმჭვრეტელ კაცად. გულში არსებული ყოველგვარი შფოთი დაცხრა. აღარ მაინტერესებდა კომუნიზმი, ვეღარც ვამჩნევდი. ზეციურ სასიძოსთან ვიყავი გულში ჩაკრული. ვლოცულობდი ჩემი ჯალათებისათვის და მთელი გულით მიყვარდა ისინი.
ხანდახან, ოდესმე გათავისუფლების მცირედი იმედი თუ ჩამესახებოდა, ვფიქრობდი ხოლმე, რას გავაკეთებდი გათავისუფლების შემთხვევაში. უპირატესობას ვანიჭებდი, სადმე, განმარტოებულ ადგილას პენსიაში გასვლას და ტკბილი ურთიერთობის გაგრძელებას ზეციურ სასიძოსთან.
ღმერთი არის „ჭეშმარიტება“. ბიბლია არის „ჭეშმარიტება ჭეშმარიტების შესახებ“. თეოლოგია არის „ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისა და ჭეშმარიტების შესახებ“. ქრისტიანები ცხოვრობენ მრავალ ჭეშმარიტებაში ჭეშმარიტების შესახებ და ამიტომაც არა აქვთ „ჭეშმარიტება“. ნაცემ-ნაგვემებსა და

მშიერ-მწყურვალებს დაგვიწყვნოდა ბიბლია და თეოლოგია. დაგვავიწყდა „ჭეშმარიტება ჭეშმარიტების შესახებ“, მაგრამ „ჭეშმარიტებაში“ ვცხოვრობდით. დაწერილია: „კაცის ძე მაშინ მოვა, როდესაც არ მოელით“ (მათ 24,44). ფიქრი აღარ შეგვეძლო. წამების ბნელ მომენტებში, კაცის ძე მოდიოდა ჩვენთან, ციხის კედლებს ბრილიანტის ბრწყინვალებას ანიჭებდა და საკნები სინათლით ივსებოდა. სადღაც, შორს, ზეციურ სამეფოში, ჩვენი სხეულები ჯალათებს ზემოთ იყვნენ ამაღლებული. სული მხიარულებდა უფალში. სამეფო დარბაზებზეც კი არ გავცვლიდით ამ სიხარულს.

ვიღაცისა და რაღაცის წინააღმდეგ ბრძოლის განცდა, ძალიან შორს არ იყო გონებიდან. არანაირი ბრძოლის წარმოების სურვილი არ მქონდა. ქრისტეს ცოცხალი ტაძრის შენებას ვანიჭებდი უპირატესობას. სიჩუმის ამ წლებში მიღებული მომავალის იმედის ჭვრეტით დავტოვე ციხე.

მაგრამ გათავისუფლების შემდეგ კომუნიზმის უფრო სასტიკ ქმედებებს წავაწყდი, ვიდრე ციხეში. შევხვდი სხვადასხვა ეკლესიის მქადაგებლებს, ხუცესებს და ეპისკოპოსებსაც კი, რომლებიც მწარედ ინანიებდნენ თავიანთი სამწყსოს დასმენას საიდუმლო პოლიციასთან. ვკითხე, თუ ისურვებდნენ უარი ეთქვათ ინფორმატორობაზე, მათი ციხეში ჩასმაც რომ გამოეწვია შედეგად. ყველამ მიპასუხა „არა“. ამიხსნეს, რომ საკუთარი ტყავის გაფრთხილების მიზნით კი არ იკავებდნენ თავს. ინფორმატორობაზე უარის თქმა ეკლესიების დახურვას გამოიწვევდა – მათ მიამბეს ეკლესიის იმ ახალ საფეხურებზე, რაც ჩემს დაპატიმრებამდე არ არსებობდა.

ყველა ქალაქში არსებობდა მთავრობის წარმომადგენელი _ კომუნისტი საიდუმლო პოლიციელი _ მორწმუნეთა ზედამხედველობისათვის. მას უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს დაერეკა ნებისმიერი ეკლესიის ხუცესისა თუ მღვდლისათვის და ეკითხა, ვინ იყო ეკლესიაში, ვინ მიიღო ზიარება. ვინ გამოირჩეოდა რელიგიისადმი უშურველობით, ვინ იყო ევანგელიზატორი, ვინ რა მოინანია და ასე შემდეგ. თუ არ უპასუხებდი, სამსახურიდან დაგითხოვდნენ, სხვა „მსახურს“ დანიშნავდნენ და ის უპასუხებდა შენზე მეტს. სადაც მთავრობა შემცვლელს ვერ იპოვიდა (რასაც თითქმის არასოდეს ჰქონია ადგილი), უბრალოდ ეკლესიას

დახურავდნენ. ჩინეთში ეს დღესაც ასე ხდება.
მსახურების უმეტესობა აწვდიდა ინფორმაციას საიდუმლო პოლიციას. ზოგიერთი ფრთხილობდა და განსაკუთრებულ ინფორმაციას მალავდა, ზოგს დასმენა თვისებად ჩამოუყალიბდა და ხასიათი გაუუხეშდა. ზოგიერთები კი იმაზე მეტს ამბობდნენ, ვიდრე მათგან მოითხოვდნენ. ქრისიტიანი წამებული ოჯახის შვილების აღიარება მსმენია, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ საკუთარი ოჯახის შესახებ ინფორმაცია მთავრობისათვის მოეხსენებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში აშინებდნენ, რომ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას არ მისცემდნენ.
ბაპტისტების კონგრესს დავესწარი, რომელიც წითელი დროშის ქვეშ გაიმართა და კომუნისტებმა გადაწყვიტეს ვინ იქნებოდა მათი „არჩეული ლიდერი“. ვიცოდი, რომ ყველა ეკლესიის სათავეში კომუნისტური პარტიის მიერ დასახელებული კაცი იდგა. შემდეგ გავაცნობიერე, რომ ვხედავდი სიძულვილს, რომლის შესახებაც იესო ლაპარაკობდა.
ყოველთვის იყვნენ კარგი და ცუდი ხუცესები და მქადაგებლები. მაგრამ ახლა, პირველად ეკლესიის ისტორიაში, ცენტრალური კომიტეტის ათეისტური პარტია, რომელიც დაუფარავად აცხადებს საკუთარ მიზნებს რელიგიური ფესვების ამოძირკვის შესახებ, გადაწყვეტს თუ ვინ უხელმძღვანელებს ეკლესიას. უხელმძღვანელოს რა მიზნისათვის? რა თქმა უნდა, რელიგიის განადგურების მიზნით.
ლენინმა დაწერა: „ყოველი რელიგიური იდეა, ღვთის ყველა იდეა – ღმერთზე ფიქრიც კი – ყველაზე საშიში, გამოუთქმელი უნამუსობა, ყველაზე საძაგელი ინფექციაა. მილიონობით ცოდვა, ბინძური საქმეები, ძალადობის აქტები და ფიზიკური ინფექციები უფრო ნაკლებად საშიშია ვიდრე ფაქიზი, სულიერი იდეა ღმერთზე“.
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიები ლენინისტები იყვნენ. მათთვის რელიგია უარესი იყო, ვიდრე კიბო, ტუბერკულოზი, ან სიფილისი. *ისინი* წყვეტდნენ, ვინ უნდა ყოფილიყო რელიგიური ლიდერი. ოფიციალური ეკლესიის ხელმძღვანელები თანამშრომლობდნენ და მეტ-ნაკლებად მათთან დათმობაზე მიდიოდნენ.

მე მინახავს ათეიზმით მოწამლული ბავშვები და ახალგაზრდობა, ოფიციალურ ეკლესიებს ოდნავ შეწინააღმდეგების ძალაც კი არ შესწევთ. ბუქარესტის ვერც ერთ ეკლესიაში ვერ ნახავთ ახალგაზრდულ შეხვედრებსა თუ საკვირაო სკოლას. ქრისტიანების ბავშვები სიძულვილის სკოლაში იზრდებიან.

და ყოველივე ამის შემდეგ იმაზე მეტად მძულდა კომუნიზმი ვიდრე ციხეში მათგან მიღებული წამებისას.

მძულდა არა ჩემდამი გაკეთებული ბოროტების გამო, არამედ იმისათვის, რაც ასეთ ქმედებებს ღვთის დიდების, ქრისტეს სახელისა და მათი ბატონობის ქვეშ მილიონობით ადამიანის სულების საწინააღმდეგოდ მოაქვს.

ქვეყნის სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ გლეხები ჩემთან და მიყვებოდნენ, როგორ შეიქმნა კოლექტივი. ახლა ისინი მშიერი მონები იყვნენ საკუთარ მიწებსა და ვენახის ზვრებში მომუშავენი, ულუკმაპუროდ. მათ შვილებს რძე არ ჰქონდათ, არც ხილი, მაშინ როცა ეს ქვეყანა ისე მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით, როგორც ძველი ქანაანი.

ძმამ აღიარა, რომ ლენინის კომუნისტურმა რეჟიმმა ყველა ქურდებად და მატყუარებად გადააქცია. შიმშილის გამო უნდა მოეპარათ იმ მიწებიდან, რაც სინამდვილეში მათ საკუთრებას წარმოადგენდა, ახლა კი კოლექტივს ეკუთვნოდა. ნაქურდალის დამალვის გამო ტყუილი უნდა ეთქვათ.

მუშები მიამბობდნენ ქარხნებში არსებული ისეთი ტერორის შესახებ, რომელზეც კაპიტალიზმი ვერ იოცნებებდა. მათ გაფიცვის უფლება არ ჰქონდათ.

ინტელექტუალებს შინაგანი სინდისის წინააღმდეგ უნდა ესწავლებინათ, რომ ღმერთი არ არსებობს.

იმ დროისათვის მსოფლიოს მესამედის ცხოვრება და აზრები დანგრეული ან ფალსიფიცირებული იყო, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ძალადობის ქვეყნებში.

ახალგაზრდა გოგონები წუხდნენ, რომ კომუნისტთა ახალგაზრდული ორგანიზაციიდან ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ ქრისტიანი ბიჭისათვის კოცნის გამო; და ეუბნებოდნენ ბიჭის სახელს, რომლისათვისაც შეიძლება მართლა ეკოცნათ!

ყველაფერი საშინლად ცუდად იყო.
შემდეგ შევხვდი იატაკქვეშა ეკლესიის მებრძოლებს – ძველ მეგობრებს – ზოგიერთები რატომღაც დაჭერას გადაურჩნენ და ზოგი ციხიდან გამოსვლის შემდეგ მაინც აგრძელებდა ბრძოლას. დამიკავშირდნენ, რათა მათთან ერთად გამეგრძელებინა ბრძოლა. მათ საიდუმლო შეხვედრას დავესწარი, სადაც საგალობლებს ხელნაწერი წიგნიდან გალობდნენ.
წმინდა დიდი ანტონი გამახსენდა, ოცდაათი წელი უდაბნოში რომ გაატარა. ქვეყნიერება მიატოვა და მთელი ცხოვრება ლოცვასა და მარხვაში გაატარა. როდესაც წმინდა ათანასესა და არიანეს ქრისტეს ღვთისმეტყველებაზე კამათის შესახებ შეიტყო, მიატოვა მჭვრეტელობითი ცხოვრება და ალექსანდრიაში ჩამოვიდა ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის მხარდასაჭერად. გამახსენდა წმ. ბერნარდ დე კლაირვაქსი, ვინც მაღალ მთებში ბერად იყო, მაგრამ გაიგო რა ჯვაროსნების სულელობა, ქრისტიანების მიერ არაბებისა და ებრაელების თუ საკუთარი თანამოძმეების სხვა კონფესიიდან მკვლელობის შესახებ, ცარიელი სამარხის ხელში ჩაგდების მიზნით, დატოვა მონასტერი, სიმაღლიდან დაბლა დაეშვა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ქადაგება დაიწყო.
გადავწყვიტე ის გამეკეთებინა, რაც ნებისმიერი ქრისტიანის მოვალეობაა: გავყოლოდი ქრისტეს, მოციქულ პავლეს და დიდი წმინდანების მაგალითს, უარი მეთქვა გადადგომაზე და ბრძოლაში ჩავბმულიყავი. როგორი უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა?
ქრისტიანები ყოველთვის ლოცულობდნენ ციხეში თავისი მტრებისათვის და უმოწმებდნენ კიდეც. ჩვენი გულწრფელი სურვილი იყო მათი მოქცევა, და ყოველთვის ვხარობდით ამის შემხედვარე. მაგრამ მძულდა ბოროტი კომუნიზმი და მხარს ვუჭერდი იატაკქვეშა ეკლესიის გაძლიერებას, ერთადერთი ძალა რომელსაც მათი გადმოგდება შეეძლება, არის სახარების ძალა.
მე მხოლოდ რუმინეთზე კი არ ვფიქრობდი, არამედ მთელ მსოფლიოზე. რატომღაც, მრავალ დაუინტერესებელ პირს შევხვდი დასავლეთში.

როდესაც კომუნისტი მწერლები სინიავსკი და დანიელი თანამოძმეების მეშვეობით ციხეში აღმოჩნდნენ, მთელი მსოფლიოს მწერლებმა გააპროტესტეს. მაგრამ ქრისტიანები არანაირ პროტესტს არ გამოთქვამენ სხვა ქრისტიანების რწმენის გამო დაპატიმრებისას.

ვის ადარდებს, ძმა კუზიჩის დაპატიმრება – „მოწამლული“ ქრისტიანული გამოცემის, როგორიცაა ბიბლია და თორის სულიერი ცხოვრების ბუკლეტის გავრცელებისათვის? დაბეჭდილი მსახურებების გავრცელების გამო დაჭერილი ძმა პროკოფიევის შესახებ იცის ვინმემ? ძმა გრუნვალდის, ანალოგიური ქმედებისათვის დაპატიმრებული ქრისტიანი ებრაელი, რომლის ვაჟიც წაიყვანეს და მამას შვილი თავის სიცოცხლეში მეორედ აღარ უნახავს? ვიცი, რასაც ვგრძნობდი მიხაისაგან მოტაცებული. მე ვიტანჯებოდი ძმა გრუნვალდთან, ივანენკოსთან, გრანი შევჩუკთან, ტაისია ტკაჩენკოსთან, ეკატერინა ვეკაზინასთან, გიორგი ვეკაზინთან, ცოლ-ქმარ პილატებთან ლატვიიდან და სხვა მრავალთან – მეოცე საუკუნის რწმენის წმინდანებთან და გმირებთან. მათი ბორკილების საკოცნელად დავიხრები, როგორც პირველი საუკუნის დაპატიმრებულმა ქრისტიანებმა გააკეთეს, მხეცების ორმოში ჩაყრის წინ.

დასავლეთის ზოგიერთი ეკლესიის ლიდერებს ძალიან არ აწუხებთ ეს ფაქტები. წამებულთა სახელები არ არის მათი ლოცვის სიაში. მათი წამების და დაპატიმრების პროცესში, მათი გამცემი რუსი ბაპტისტი და მართლმადიდებლური ოფიციალური პირები, დიდი პატივით მიიღეს ახალ დელიში, ჟენევაში და სხვა კონფერენციებზე. სადაც ყველას არწმუნებდნენ რუსეთში სრული რელიგიური თავისუფლების შესახებ.

მსოფლიო ეკლესიების მრჩეველმა ბოლშევიკების არქიეპისკოპოსს აკოცა ამ წოდების მინიჭების შემდეგ. მსოფლიო ეკლესიების მრჩევლის შთამბეჭდავი წოდება საზეიმო სუფრით აღნიშნეს, მაშინ როცა წმინდანები გაურეცხავ კომბოსტოს ჭამდნენ ციხეებში, ისევე როგორც მე ვაკეთებდი, იესო ქრისტეს სახელით ლოცვით გაწმენდას.

შეუძლებელი იყო ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო.

იატაკქვეშა ეკლესიამ გადაწყვიტა გამომეყენებინა შესძლებლობა და მეცნობებინა დასავლეთის ეკლესიებისთვის მიმდინარე მოვლენების თაობაზე.

გადავწყვიტე გამეკიცხა კომუნისტები, თუმცა კომუნისტები მიყვარს. მართალი არ მგონია სახარების ქადაგება კომუნიზმის გაკიცხვის გარეშე.

ზოგიერთები მეუბნებიან „იქადაგე წმინდა სახარება!“ ეს მაგონებს საიდუმლო პოლიციის შემოთავაზებას: მექადაგა ქრისტე და არ მეხსენებინა კომუნისტები. ნამდვილად ასეა, რომ ისინი, ვინც მოწოდებული არიან „წმინდა სახარებისათვის“ იგივე სულით არიან შთაგონებული, რომლითაც საიდუმლო პოლიცია?

არ ვიცი, რა არის ეგრეთ წოდებული წმინდა სახარება. იყო თუ არა იოანე ნათლისმცემლის ქადაგება წმინდა? მან არა მხოლოდ ეს თქვა: „მოინანიეთ რადგან მოახლოებულია ცათა სასუფეველი!“ (მათე 3,2). იგი შეეწინააღმდეგა ჰეროდეს ყველა იმ ბოროტებისათვის, რასაც ის აკეთებდა (ლუკა 3,19) და თავი მოჰკვეთეს, რადგან არ შეიზღუდა აბსტრაქტული ქადაგებით. იესოს ქადაგება მთაზე, მხოლოდ „წმინდა“ ქადაგება არ ყოფილა, არამედ რასაც ზოგიერთი თანამედროვე ეკლესიის ლიდერები უწოდებდნენ ნეგატიურ ქადაგებას: „ვაი თქვენ, ფარისეველნო და მწიგნობარნო!... იქედნეთა ნაშობო გველებო!“ (მათე 23,27,33). ეს ისეთი „უწმინდური“ ქადაგება იყო, რომ ჯვარზე გააკრეს. ფარისევლები სულაც არ შეწუხდებოდნენ მისი მთაზე ქადაგებით.

ცოდვას თავისი სახელი უნდა დაერქვას. დღეს კომუნიზმი ყველაზე საშიში ცოდვაა მსოფლიოში. ყოველი სახარება, რომელიც არ გაკიცხავს მას, წმინდა სახარება არ იქნება. იატაკქვეშა ეკლესია ამას აკეთებს საკუთრი თავისუფლებითა და სიცოცხლის რისკით. ამაზე ნაკლები მიზეზი როდი გვაქვს გასაჩუმებლად დასავლეთში.

გადავწყვიტე გამეკიცხა კომუნიზმი, არა იმ გაგებით, როგორც „ანტიკომუნისტები“ აკეთებენ. ჰიტლერი ანტიკომუნისტი იყო, მაგრამ არა ნაკლები ტირანი. ჩვენ გვძულს ცოდვა და გვიყვარს ცოდვილები.

რატომ ვიტანჯები დასავლეთში

დასავლეთში კომუნისტურ ქვეყანაზე მეტად ვიტანჯები. პირველ რიგში, ჩემი ტანჯვა მოიცავს იატაკქვეშა ეკლესიისადმი სურვილს, ეკლესია რომელიც ასრულებს ძველ ლათინურ გამოთქმას, nudisnudum Christi sequi (შიშველო, გაჰყევი შიშველ ქრისტეს).

დამონებულ ერებში კაცის ძეს და მისიანებს თავის დასადები ადგილი არსად აქვთ. მრავალი ქრისტიანი სახლს არ აშენებს თავისთვის. რა სიკეთეს მოიტანს? პირველი დაპატიმრებისთანავე კონფისკაციას გაუკეთებენ. უბრალოდ ის ფაქტი, რომ ახალი სახლი გაქვს, შეიძლება შენი დაპატიმრების მიზეზიც გახდეს, რადგან სხვებს მისი მითვისების სურვილი აქვთ. არ დამარხო მამაშენი, ნურც გამოემშვიდობები შენს ოჯახს ქრისტეს გაყოლამდე. ვინ არის დედაშენი ან შენი ძმა ან და? ამ შემთხვევაში ისე უნდა იყოს, როგორც იესოსთვის. დედაჩემი და ჩემი ძმები ისინი არიან, ვინც ზეციერი მამის ნებას ასრულებენ. ნათესაური კავშირის გამო, შეიძლება თუ არა ჩაითვალონ მშობლების დამსმენი შვილები და ქმრის დამსმენი ცოლები ახლობლებად? ასეთ შემთხვევაში სულიერი ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვან პლანზე დგას ვიდრე ფიზიკური.

იატაკქვეშა ეკლესია ტანჯვას განიცდის და საცოდავია, მაგრამ მცირეოდენი ნელ-თბილი ქრისტიანები ჰყავს.

იატაკქვეშა ეკლესიის ღვთისმსახურება 19 საუკუნის წინანდელს ჰგავს. მქადაგებელს საგულდაგულოდ არა აქვს შესწავლილი თეოლოგია, არ იცის ჰომილეტიკა, ისევე როგორც პეტრემ. ნებისმიერი თეოლოგიის პროფესორი ცუდ ნიშანს დაუწერდა პეტრეს ორმოცდამეათე დღეს წარმოთქმულ მსახურებაში. მრავალ ქვეყანაში არ იციან ბიბლიის მუხლები, რადგან ბიბლიები ნებადართული არ არის. ამას გარდა, მქადაგებელს რამდენიმე წელი ბიბლიის გარეშე აქვს გატარებული ციხეში. როცა მამისადმი პირად რწმენას გამოხატავენ, ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ამის უკან არის დრამა. ისინი ციხეში ყოველდღიურად სთხოვდნენ ყოვლისშემძლე ღმერთს პურს და ამის ნაცვლად იღებდნენ

წარმოუთქმელი სიბინძურით სავსე კომბოსტოს სუპს. მიუხედავად ამისა, მაინც სჯერათ, რომ ღმერთი არის მოსიყვარულე მამა. იობივით არიან, ვინც თქვა, ღმერთს რომ მოეკლა იგი, მაინც ეყვარებოდა. იესოსავით არიან, ვინც ღმერთს „მამა“ უწოდა, როცა ჯვარზე მიატოვა.

ვინც იხილა იატაკქვეშა ეკლესიის სილამაზე, შეუძლებელია დაკმაყოფილდეს დასავლეთის ეკლესიების სიცარიელით.

დასავლეთში კომუნისტურ ციხეზე მეტად ვიტანჯები, რადგან საკუთარი თვალებით ვხედავ დასავლური ცივილიზაციის სიკვდილს.

ოსკარ სპენგლერმა დაწერა „დასავლეთის დაცემაში“: *შენ კვდები. შენში ვხედავ ყველა თავისმომჭრელ ლპობას. შემიძლია დამტკიცება, რომ შენი დიდძალი სიმდიდრე და უკიდურესი სიღარიბე, შენი კაპიტალიზმი და სოციალიზმი, შენი ომები და რევოლუციები, შენი ათეიზმი და პესიმიზმი, შენი ცინიზმი და ამორალობა, შენი დანგრეული ქორწინებები და შობის კონტროლი კლავს შენს ტვინს – გიმტკიცებს რა წინაპართა დროინდელი მდგომარეობის კვდომას – ალექსანდრიის საბერძნეთისა და ნეროზული რომის.*

ეს დაიწერა 1926 წელს. მას შემდეგ, დემოკრატია და ცივილიზაცია მოკვდა ნახევარ ევროპაში, შორეულ კუბაშიც კი. დასავლეთის უმეტეს ნაწილს კი სძინავს.

მხოლოდ ერთ ძალას არ სძინავს. რის გამოც აღმოსავლელი კომუნისტები იმედგაცრუებულები არიან, დასავლეთში კი „ჰუმანური კომუნიზმი“ დარჩა ძლიერი. დასავლელ ჰუმანისტებს/კომუნისტებს უბრალოდ არ სჯერათ კომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე სისასტიკის, უბედურებისა და დევნის შესახებ ცნობების. კომუნისტები ყველგან ავრცელებენ თავიანთ დამღლელ რწმენას, მაღალი საზოგადოების მისაღებ ოთახებში, ინტელექტუალურ კლუბებში, კოლეჯებში, ჯურღმულებში და ეკლესიებში. ქრისტიანები ნახევარი გულით ვართ ჭეშმარიტების მხარეს. ისინი მთელი გულით არიან ტყუილის მხარეს.

ამასობაში დასავლელი თეოლოგები წვრილმანებზე ხუმრობენ. ეს მაგონებს, 1493 წელს მუჰამედის არმიით გარშემორტყმულ კონსტანტინოპოლს, როდესაც უნდა გადაწყვეტილიყო

ქრისტიანებს ებატონათ ბალკანებზე თუ მუსლიმანებს საუკუნეების მანძილზე. ადგილობრივი ეკლესიის მრჩეველი ალყაშემორტყმულ ქალაქში შემდეგ პრობლემებს განიხილავდა: რა ფერის თვალები ჰქონდა ქალწულ მარიამს? რა სქესის არიან ანგელოზები? პეპელა რომ განწმენდილ წყალზე დაფრინდეს, პეპელაა განწმენდილი თუ წყალია გაჭუჭყიანებული? ეს შესაძლოა იმდროინდელი ლეგენდაა და სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ თუ ყურადღებით წაიკითხავთ დღევანდელი ეკლესიის პერიოდიკას, ნამდვილად შეხვდებით ანალოგიურ შეკითხვებს. საფრთხე ის გახლავთ, რომ იატაკქვეშა ეკლესიის დევნილებსა და ტანჯულებზე იშვიათად არის რაიმე ნახსენები.

წაიკითხავთ უსასრულო დისკუსიას რიტუალებზე და არასასიცოცხლო თეოლოგიურ საკითხებზე.

მაღალი საზოგადოების მიღებაზე, ვიღაცამ იკითხა: „გემი რომ იძირებოდეს და უდაბურ კუნძულზე გარიყვა შეგეძლოთ, საშუალება გქონდეთ ერთი წიგნი წაიღოთ გემის ბიბლიოთეკიდან, რომელ წიგნს აირჩევდით წასაღებად?“ ერთმა უპასუხა: „ბიბლიას“, მეორემ: „შექსპირს“. მაგრამ მწერალს ჰქონდა სწორი პასუხი. „ისეთ წიგნს ავირჩევდი, ნავის გაკეთება რომ ესწავლებინა ნაპირზე გასაცურად. სადაც თავისუფალი ვიქნებოდი წამეკითხა რასაც მოვისურვებდი“.

ყველა თეოლოგიის, რელიგიის თავისუფლების დაცვა და ხელახლა მისი აღდგენა რელიგიური დევნის შედეგად გადაგვარებულ ქვეყნებში უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე განსაკუთრებული თეოლოგიური აზრის გაბატონებისათვის ბრძოლა.

„ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“, – თქვა იესომ (იოანე 8,32). მაგრამ, იგივე თავისუფლებას და მხოლოდ თავისუფლებას შეუძლია მოგცეს ჭეშმარიტება. უაზრობებზე კამათის ნაცვლად გავერთიანდეთ თავისუფლებისათვის ამ ბრძოლაში ტირანების წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში.

ვიტანჯები დამონებული ქვეყნის ეკლესიების ტანჯვის გაზიარებისას. ანალოგიურ ტანჯვაში გავლის გამო ცხადად ვხედავ მათ მდგომარეობას.

1966 წელს საბჭოთა გაზეთები „იზვესტია“ და „სოფლის

ცხოვრება“, ბრალს სდებდნენ რუს ბაპტისტებს ცოდვებისათვის ბავშვების შეწირვაში. ეს იყო ებრაელების წინააღმდეგ გამოყენებული ძველი ბრალდება.
ვიცი, რასაც გულისხმობდნენ. 1959 წელს კალუგის ციხეში ვიჯექი ლაზაროვიჩთან, რომელსაც ბრალად ედებოდა გოგონას მკვლელობა. მხოლოდ ოცდაათი წლისა იქნებოდა და მისი თმა სრულიად გათეთრებულიყო ერთი ღამის წამების შედეგად, მოხუცებული გეგონებოდათ. თითის ფრჩხილები დააცალეს იმ დანაშაულის ასაღიარებლად, რაც არ ჩაუდენია. ერთი წლის წამების შემდეგ მისი უდანაშაულობა დადასტურდა და გაათავისუფლეს, მაგრამ თავისუფლება აღარაფერს აღარ ნიშნავდა უკვე მისთვის. სამუდამოდ დასახიჩრდა.
ზოგიერთებმა წაიკითხეს სტატია და იცინოდნენ იმ სულელურ ბრალდებებზე, რაც საბჭოთა პრესამ წაუყენა ბაპტისტებს კომუნისტურ დროში. ვიცი, რას ნიშნავდა ეს ბრალდება ადრესატებისათვის.
საშინელია იყო დასავლეთში და გამუდმებით ასეთი რამეები გედგას თვალწინ.
რა დაემართა კალუგის მთავარეპისკოპოსს და სხვა შვიდ ეპისკოპოსს, რომლებმაც პატრიარქ ალექსისა და მთავარეპისკოპოს ნიკოდიმის საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობა გააპროტესტეს, რომლებიც კომუნისტების იარაღს წარმოადგენდნენ? რომ არ მენახა, როგორ კვდებოდნენ გაფიცული ეპისკოპოსები რუმინეთის ციხეში, დიდად არ დამაინტერესებდა ის უღმერთო ეპისკოპოსები.
მინისტრებს, ნოკოლაი ეშლიმენს და გლებ იაკუნინს მკაცრად მოექცა პატრიარქი ეკლესიებისათვის თავისუფლების მოთხოვნის გამო. დასავლეთმა იცის ამის თაობაზე, მაგრამ ციხეში რუმინელ მამა იოან ვლადიმირეშტისთან ვიყავი, რომელსაც ანალოგიური შეემთხვა. ზედაპირულად მხოლოდ ეკლესიური „დისციპლინის“ სახე ჰქონდა. ჩვენი ოფიციალური ეკლესიის ლიდერები, ყოფილ საბჭოთა კავშირში ნებისმიერი ოფიციალური ეკლესიის მსგავსად, ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობდნენ საიდუმლო პოლიციასთან. მათ მიერ დასჯილები უფრო ეფექტიან „დისციპლინას“ გადიოდნენ – წამება, ცემა და თრევა – პატიმრების მიმართ.

ვკანკალებ სხვადასხვა ქვეყანაში დევნილებისა და წამებულების გამო. ვკანკალებ მათი ჯალათების სამუდამო სამყოფელის წარმოდგენისას. ვკანკალებ დასავლეთის ეკლესიებისათვის, რომელბიც არ ეხმარებიან წამებულ ძმებს.

გულის სიღრმეში მსურს შევინარჩუნო საკუთარი ბაღის სილამაზე და არ მივიღო მონაწილეობა ამ დიდ ომში. ერთი სული მაქვს სიჩუმესა და დასვენებაში ყოფნის. მაგრამ შეუძლებელია. როდესაც კომუნისტებმა ტიბეტი დაიპყრეს, მხოლოდ სულიერი საკითხებით დაინტერესებული ადამიანები ქვეყნის დასალიერს გადაიყვანეს. ჩვენს ქვეყანაში კი მსგავსი ბედი ეწია ყველას, ვინც რეალობას მოსწყდა. ეკლესიები და მონასტრები დაშალეს, მხოლოდ რამდენიმე შემოინახეს უცხოელების გასასულელებლად. სიწყნარე და დასვენება რეალობიდან გაქცევა იქნებოდა და ჩემი სულისათვის საშიში. ჩემს მიერ წარმოებული ომიც საშიში იყო პირადად ჩემთვის. 1948 წელს მომიტაცეს ქუჩიდან და ტყუილი სახელით ჩამსვეს. ანა პაუკერმა, იმდროინდელმა კავშირის მდივანმა, შვედეთის ელჩს უთხრა: „ბატონო პატრიკ ვონ რეუტერსუარდ, ოჰ, რომ ვურმბრანდი ახლა კოპენჰაგენის ქუჩებში დადის!“ შვედეთის მინისტრს ჩემი წერილი ჰქონდა ჯიბეში, რომლის მალული გზით ციხიდან წარმატებით გაპარება შევძელი, მან იცოდა, რომ ტყუილს ეუბნებოდნენ. ანალოგიური შესაძლოა კვლავ მოხდეს. თუ მომკლავენ, მკველელი კომუნისტების მიერ იქნება დაქირავებული. სხვას არავის არა აქვს ჩემი მოკვლის ინტერესი. თუ გაიგებთ ჭორებს ჩემი გარყვნილების, ქურდობის, ჰომოსექსუალობის, მრუშობის, პოლიტიკური მოუქნელობის, ტყუილის ან სხვა რამის შესახებ, ეს იქნება საიდუმლო პოლიციის მუქარის ასრულება – „მორალურად გაგანადგურებთ“.

სანდო წყაროებიდან შევიტყვე, რომ რუმინელ კომუნისტებს ჩემი მოკვლა გადაუწყვეტიათ 1960 წელს აშშ-ის სენატში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ, მაგრამ მაინც არ შემიძლია გავჩუმდე და თქვენი მოვალეობაა, მშვიდად შეამოწმოთ რასაც ვიტყვი. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ იმის შემდეგ, რაც მე გამოვიარე, დევნის კომპლექსის შიშით ვიტანჯები, მაშინ კითხვა უნდა დაუსვათ საკუთარ თავს, რა საშინელია ეს

კომუნისტური ძალა, რომელიც მოქალაქეებს დევნის შიშის კომპლექსით ტანჯავს. რა ძალაა, რომელმაც კომუნისტური აღმოსავლეთ გერმანიიდან კაცებმა ბულდოზერით წაიყვანეს ბავშვი მავთულხლართებში, მთელი ოაჯახის დახვრეტის შიშის მიუხედავად?

დასავლეთი უნდა გამოფხიზლდეს ძილიდან და დაინახოს ტანჯული ტყვე ერების მდგომარეობა.

ტანჯვაში მყოფი ადამიანი ხშირად ეძებს განტევების ვაცს, რომ მას გადააბრალოს ყველა დანაშაული. ასეთი ვინმეს პოვნა ძალიან უმსუბუქებს ცოდვას. მე ეს არ შემიძლია.

არ შემიძლია დავადანაშაულო დასავლელი ეკლესიის ლიდერები, რომლებიც დათმობაზე მიდიან ქრისტიანების მოძულეებთან. ბოროტი მათგან კი არ მოდის. ეს ლიდერები ძველი ეშმაკის მსხვერპლები არიან. მათ კი არ შექმნეს არეულობა ეკლესიაში, იპოვეს.

დასავლეთში ყოფნისას მრავალ თეოლოგიურ სემინარიას ვესტუმრე. სადაც მომისმენია ლექციები ზარებისა და ლიტურგიული საგალობლების შესახებ; კანონები, რომელთა გამოყენება დიდი ხანია შეწყდა და კანონები ეკლესიის დისციპლინის შესახებ, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს. მსმენია, ზოგიერთ თეოლოგიურ სტუდენტებს ასწავლიან, რომ სამყაროს შექმნის შესახებ ბიბლიური ამბავი ნამდვილი არ არის, არც ადამის, არც წარღვნის, არც მოსეს სასწაულები. ზოგიერთებს ასწავლიან, რომ წინასწარმეტყველებები დაიწერა მათი შესრულების შემდეგ, რომ ქალწულისგან შობა არის მითი. ანალოგიურად იესოს აღდგომა, რომ მისი ძვლები სადღაც სამარხშია, რომ მოციქულები რეალურად არ არსებობდნენ, და გამოცხადება არის გიჟი კაცის დაწერილი. სხვაგვარად, ბიბლია არის წმინდა წიგნი! (მტკიცების თანახმად, წმინდა წიგნში არის იმაზე მეტი ტყუილი, ვიდრე ჩინურ კომუნისტურ გაზეთში).

ეს არის ის, რაც ზოგიერთი თანამედროვე ეკლესიის ლიდერებმა ისწავლეს სემინარიაში. ეს არის ატმოსფერო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. რატომ უნდა იყვნენ იმ ბატონის ერთგულები, რომელზეც ასეთ რამეებს ამბობენ? რატომ უნდა იყვნენ ლიდერები იმ ეკლესიის ერთგულები, სადაც შეიძლება თავისუფლად ასწავლო, რომ ღმერთი მკვდარია?

ზოგიერთი ეკლესიის ლიდერები არ არიან ქრისტეს საპატარძლოები. ისინი არიან ეკლესიის ლიდერები, სადაც მრავალნი ნატრობენ ბატონის გაცემის შესაძლებლობას. როდესაც ისინი იატაკქვეშა ეკლესიიდან შეხვდებიან ვიღაც წამებულს, უცნაურად უყურებენ.

არ შეიძლება ადამიანი განვსაჯოთ მხოლოდ ერთი კუთხით. თუ ასე მოვიქცევით ფარისევლებს დავემსგავსებით, რომელთა თვალშიც იესო ცუდ ადამიანად იქნა მიჩნეული, რადგან შაბათის კანონებს არ იცავდა. მათ სრულიად დახუჭეს თვალი იმის დასანახად, რაც შეიძლებოდა მათი კუთხიდან მოსაწონი ყოფილიყო ქრისტეში.

იმავე ეკლესიის ლიდერი, რომელსაც არასწორი დამოკიდებულება აქვს კომუნიზმთან, შესაძლოა, მართალია სხვა მრავალ რამეში და პიროვნულად გულწრფელი არის. და რაშიც ცდებიან, იმაშიც შეიძლება შეიცვალონ.

ერთხელ რუმინეთის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთან ვიყავი. კომუნისტების კაცი იყო და თავის ცხვარს ასმენდა. ხელი ხელში ჩავკიდე და უძღები შვილის იგავი ვუთხარი. მის ბაღში ვისხედით. მე ვთქვი: „ნახე, როგორი სიყვარულით იღებს ღმერთი დაბრუნებულ ცოდვილს. ეპისკოპოსსაც სიხარულით მიიღებს, თუ მოინანიებს“. ქრისტიანული საგალობლები ვუგალობე. კაცი მოიქცა.

მართლმადიდებელ მღვდელთან ვიყავი საკანში, რომელმაც გათავისუფლების იმედით, ათეისტური ლექციები დაწერა.

არ შემიძლია ვინმე განტევების ვაცად ვაქციო ჩემი ტვირთის შემსუბუქების მიზნით.

სხვა ტკივილიცა მაქვს. ჩემს ძალიან ახლო მეგობრებსაც კი არ ესმით ჩემი. ზოგიერთები მადანაშაულებენ კომუნისტების მიმართ გამწარებასა და უარყოფაში, რაც მართალი არ არის.

მოსეს შესახებ მწერალმა, კლაუდ მონტეფიორმა თქვა, რომ იესოს დამოკიდებულება ფარისევლებისა და მწიგნობრების მიმართ, მათი სახალხო მხილების შესახებ, სრულიად საწინააღმდეგოა მისი მცნებისა, გიყვარდეს შენი მტერი და აკურთხე შენი მაწყევრები. და დოქტორი მათეუსი, ლონდონის წმ. პავლეს ყოფილი დეკანი, ასკვნის, რომ ეს არის ქრისტეში შეუსაბამობა და შეუთავსებლობა. ამას კი იმით ამართლებს,

რომ იესო ინტელექტუალი არ იყოო.
მონტეფიორეს იესოზე წარმოდგენა მცდარია. იესოს *უყვარდა* ფარისევლები, მაგრამ მაინც გაკიცხა სახალხოდ. მეც მიყვარს კომუნისტები, მაგრამ მეც ვაკრიტიკებ მათ.
გამუდმებით მეუბნებიან: „დაივიწყე კომუნისტები! იმუშავე მხოლოდ სულიერი თვალსაზრისით!“
ნაცისტების მიერ ნაწამებ ქრისტიანს შევხვდი. მან მითხრა, რომ მხარს მიჭერდა ყველაფერში მანამდე, ვიდრე ქრისტეზე დავამოწმებდი, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უნდა მეთქვა კომუნისტების საწინააღმდეგოდ. მე ვკითხე, თუ ქრისტიანები, რომლებიც ნაცისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ გერმანიაში, ცდებოდნენ და ლიმიტირებულები რომ ყოფილიყვნენ ბიბლიის ქადაგებაში და ტირანი ჰიტლერის წინააღმდეგ არ ეთქვათ არც ერთი სიტყვა, სწორი იქნებოდა თუ არა? პასუხი იყო: „მაგრამ ჰიტლერმა ექვსი მილიონი ებრაელი მოკლა! ვიღაცამ უნდა თქვას მის წინააღმდეგ“. მე ვუპასუხე: „კომუნიზმმა იმსხვერპლა ოცდაათი მილიონი რუსი და მილიონობით ჩინელი და სხვები, ებრაელებიც მათ შორის. მხოლოდ ებრაელების დასაცავად უნდა გამოვიდეთ თუ მაშინაც, როცა რუსებს და ჩინელებს ხოცავენ?“ პასუხი იყო: „ეს სხვა საკითხია“. არანაირი ახსნა არ მიმიღია.
პოლიციამ მცემა ჰიტლერის მმართველობისა და კომუნისტების დროს, და ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავ. ორივე შემთხვევა ძალიან მტკივნეული იყო.
ქრისტიანობამ არა მხოლოდ კომუნიზმის, არამედ ცოდვის წინააღმდეგ, მრავალ ასპექტში უნდა იბრძოლოს. მხოლოდ ერთი პრობლემით კი არა ვართ შეპყრობილები. კომუნიზმი არის ქრისტიანობის უდიდესი მტერი და საშიშროება. უნდა გავერთიანდეთ მის წინააღმდეგ.
შეიძლება კიდევ გავიმეორო: ადამიანის უმაღლესი მიზანია დაემსგავსოს ქრისტეს. კომუნისტების მთავარი მიზანი კი ქრისტიანების მიზნის ხელის შეშლაა. ისინი ანტირელიგიურები არიან. მათ სჯერათ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ გარდაიქმნება მარილად და მინერალებად, მათთვის სხვა არაფერი რჩება ადამიანისგან. მათი სურვილია იცხოვრონ ყოფითი საგნების სიმაღლეზე.

მხოლოდ მასებს აღიარებენ. მათი შესაფერისი სიტყვა ახალ აღთქმაში აღწერილია როდესაც ეშმაკს ჰკითხეს რა არის შენი სახელი: „ლეგიონი ვართ“. ადამიანის პიროვნულობა – ღვთის უდიდესი საჩუქარი – უნდა დაიმსხვრეს. მათ დააპატიმრეს კაცი, რომელსაც აღმოუჩინეს ალფრედ ადლერის წიგნი „*ინდივიდუალური ფსიქოლოგია*“. საიდუმლო პოლიციის ოფიცერმა დაიყვირა: „ეჰ, ინდივიდუალური – მუდამ ინდივიდუალური! რატომ კოლექტიური არა?“

იესოს სურს რომ პიროვნებები ვიყოთ. ამის გამო შეუძლებელია ჩვენსა და კომუნისტებს შორის კომპრომისი. კომუნისტებმა ეს იციან. თავის ჟურნალში „*მეცნიერება და რელიგია*“ (ნაუკა ი რელიგია) წერს – „რელიგია და კომუნიზმი შეუთავსებელია. არამეგობრულია... კომუნისტური პარტიის პროგრამა მოიცავს რელიგიისადმი სასიკვდილო დარტყმას... ეს არის ათეისტური საზოგადოების პროგრამა, რომელშიაც ხალხი სამუდამოდ დახსნილი იქნება რელიგიის მონობიდან“.

შეიძლება ქრისტიანობამ იარსებოს კომუნიზმთან? აქ ასე პასუხობენ კომუნისტები: „კომუნისტური პარტია არის რელიგიის სასიკვდილო დარტყმა!“

თავი მეხუთე

უხილავი, ფართოდ გავრცელებული იატაკქვეშა ეკლესია

იატაკქვეშა ეკლესია ძალიან რთულ პირობებში მუშაობს. ათეიზმი არის სახელმწიფო რელიგია ყველა კომუნისტურ ქვეყანაში. მოხუცებს შედარებით თავისუფლებას აძლევენ რწმენაში, ბავშვებმა და ახალგაზრდებმა არ უნდა ირწმუნონ. ამ და სხვა მსგავს ქვეყნებში – რადიოს, ტელევიზიას, კინოს, თეატრს და ბეჭდვით ორგანოებს – აქვთ ერთი მიზანი – იესო ქრისტეს რწმენის ლიკვიდირება.

იატაკქვეშა ეკლესიას ძალიან მოკლე გზა რჩება საბჭოთა ტოტალიტალური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. იატაკქვეშა ეკლესიის მსხურებს არანაირი თეოლოგიური განათლება არა აქვთ რუსეთში. დღეს ჩინეთის ბევრი ეკლესიის ხუცესს ბიბლია არა აქვს სრულად წაკითხული.

გეტყვით, როგორი ფორმით არიან ზოგიერთი მსახურები დანიშნული. ერთ ახალგაზრდა, რუს საიდუმლო მსახურს შევხვდით. შევეკითხე, ვინ დანიშნა. მან მიპასუხა: „ნამდვილი ეპისკოპოსი არა გვყავს, რომ ხელი დაგვასხას. ოფიციალური ეპისკოპოსი არ დაგნიშნავს თუ კომუნისტური პარტიიდან არა ხარ დამტკიცებული. ათიოდე ახალგაზრდა წავედით სასაფლაოზე, სადაც წამებული ეპისკოპოსი დაკრძალეს. ორმა მისი საფლავის ქვას დავადეთ ხელი, დანარჩენებმა ჩვენს გარშემო წრე შეკრეს. სულიწმიდას ვთხოვეთ ხელდასხმა. დარწმუნებული ვართ, რომ იესოს ნალურსმევი ხელებითა ვართ ხელდასხმული“. ჩემთვის ამ ახალგაზრდების ხელდასხმა ძალაშია ღვთის წინაშე!

ასეთი ხელდასხმული ადამიანი, რომელსაც არასოდეს მიუღია თეოლოგიური განათლება და ხშირად ძალიან ცოტა იცის ბიბლიის შესახებ (ისევე როგორც ევანგელისტები ბანგლადეჟში), აგრძელებენ ქრისტეს მსახურებას, პირველი საუკუნის ეკლესიის მსგავსად. რომელ სემინარიაში სწავლობდნენ პირველი ქრისტიანები, მსოფლიო რომ გადაატრიალეს? ყველამ იცოდა კითხვა? საიდან იღებდნენ ბიბლიებს? ღმერთი ელაპარაკებოდა მათ.

იატაკქვეშა ეკლესიებს არა გვაქვს კათედრალები. მაგრამ განა რომელიმე კათედრალი იმ ცაზე ლამაზია, რომლის ქვეშაც ვიკრიბებოდით საიდუმლოდ ტყეში? მოჭიკჭიკე ჩიტები იკავებდნენ ორღნის ადგილს. ყვავილების სურნელი იყო ჩვენი საკმეველი. ციხიდან ახალი გათავისუფლებული წამებულის ჭუჭყიანი სამოსი უფრო მომხიბლავი იყო, ვიდრე სამღვდელო მანტიები. მთვარე და ვარსკვლავები სანთლად გვენთო. ანგელოზები ანთებდნენ მათ.

ძალა არ შემწევს ამ ეკლესიის სილამაზის გადმოსაცემად! ხშირად, საიდუმლო მსახურების შემდეგ, ქრისტიანებს იჭერდნენ და აპატიმრებდნენ. ისინი ხელბორკილებს ისეთი სიხარულით იღებდნენ, როგორც საპატარძლო ატარებს სიხარულით სასურველი ადამიანისაგან მირთმეულ სამკაულს. ციხის წყალი არის მტკნარი. პატიმრები იღებენ მის კოცნასა და გადახვევას და ამ ადგილს არ გაცვლიან სამეფო სასახლეებში. მხოლოდ ბიბლიაში იატაკქვეშა ეკლესიაში და ციხეში მინახავს ჭეშმარიტად მოსიხარულე ქრისტიანები.

იატაკქვეშა ეკლესია ძალადობას განიცდის, მაგრამ ბევრი მეგობარიც ჰყავს – საიდუმლო პოლიციასა და მთავრობის წევრებში. ხანდახან ეს საიდუმლო მორწმუნეები იცავენ ქრისტიანებს.

ყოფილი საბჭოთა მთავრობის მმართველობისას რუსული გაზეთები წუწუნებდნენ „გარეგნულად ურწმუნეოების“ რიცხვის ზრდის შესახებ. ესენი, _ განმარტავდა რუსული პრესა, _ არიან უთვალავი რაოდენობის ქალები და კაცები, რომლებიც კომუნისტური ძალის ეშელონებში მუშაობენ – სამთავრობო ოფისებში, პროპაგანდის განყოფილებებში და სხვაგან, რომლებიც გარეგნულად კომუნისტები არიან, მაგრამ

შინაგანად საიდუმლო მორწმუნეები და იატაკქვეშა ეკლესიის წევრები.
კომუნისტურმა პრესამ გვიამბო ახალგაზრდა ქალის ამბავი, რომელიც კომუნიზმის პროპაგანდის განყოფილებაში მუშაობდა. სამუშაოს შემდეგ, _ მათ როგორც თქვეს, _ ის და მისი მეუღლე სხვადასხვა განყოფილებიდან შეგროვილ ახალგაზრდებს მიუძღვებოდნენ ბიბლიის კითხვასა და ლოცვაში. მსგავსი რამ ჯერ კიდევ ხდება მსოფლიოს გარშემო. ათიათასობით ასეთი „გარეგნულად ურწმუნო“ არსებობს. უფრო ჭკვიანურად მიაჩნიათ არ დაესწრონ მოსაჩვენებელ ეკლესიებს, სადაც მათ უთვალთვალებენ და გარეცხილ სახარებას ასწავლიან. ამის ნაცვლად ამჯობინებენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დარჩნენ და წყნარად და ეფექტიანად დაამოწმონ ქრისტეს შესახებ.
ერთგულ საიდუმლო ეკლესიას ჰყავს ათეულ ათასობით ასეთი წევრი. საიდუმლოდ იკრიბებიან სარდაფებში, სხვენებში, ბინებში და მინდვრებში.
ყოფილ საბჭოთა რუსეთში, აღარავის ახსოვდა ბავშვებისა და ახალგაზრდების,პაპისძალაუფლებისმომხრედასაწინააღმდეგო არგუმენტები. არც მილენიუმის მომხრე და მოწინააღმდეგეები იყვნენ. არ შეეძლოთ წინასწარმეტყველებების განმარტება და არც დავობდნენ მასზე, მაგრამ ხშირად მიკვირდა, რამდენად კარგად შეეძლოთ ათეისტისათვის ღმერთის არსებობის დამოწმება.
მათი ათეისტებისადმი პასუხი მარტივი იყო: „სხვადასხვა სახის კარგი ხორცის საჭმელად რომ დაგპატიჟონ, დაიჯერებდით, რომ მას მზარეული არ ჰყავდა? ბუნებრივი ბანკეტია ჩვენთვის მომზადებული! შენ გაქვს პომიდორი, ატამი, რძე და თაფლი. ვინ მოამზადა ეს ყველაფერი ადამიანის მოდგმისათვის? ბუნება ბრმა არის. თუ ღმერთის არ გწამს, როგორ შეგიძლია ახსნა, რომ ამ ბრმა ბუნებამ შეძლო მოემზადებინა ყველაფერი იმგვარად და იმ თვისებებით, როგორითაც ჩვენ გვჭირდება?“
ისინი ამტკიცებენ, რომ საუკუნო სიცოცხლე არსებობს. ერთი ადამიანის ათეისტთან საუბარს მოვუსმინე: „წარმოიდგინე, რომ შეგვეძლოს დედის საშოში არსებულ ემბრიონთან საუბარი და რომ გეთქვა ემბრიონისათვის მისი ემბრიონული

ცხოვრება არის მოკლე, რასაც მოჰყვება ნამდვილი გრძელი სიცოცხლე. რას გიპასუხებდა ემბრიონი? ისიც ათეისტების მსგავს პასუხს გაგვცემდა, როცა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ ელაპარაკებით. ის იტყვის, რომ მხოლოდ დედის საშოში არსებული სიცოცხლე არსებობს და სხვა დანარჩენი რელიგიური სისულელეა. ემბრიონს რომ ეფიქრა, საკუთარ თავს ეტყოდა: „ხელები მეზრდება, რაში მჭირდება, თუ მათი გაშლაც კი არ შემიძლია, რატომ იზრდება? ალბათ, ჩემი მომავალი არსებობისათვის, რომლითაც უნდა ვიმუშაო მომავალში. ფეხები მეზრდება, მაგრამ მკერდთან უნდა მქონდეს მოკეცილი. რატომ იზრდება? ალბათ, დიდ სამყაროში ცხოვრება მოვა, სადაც უნდა ვიარო. თვალები იზრდება, თუმცა სრული სიბნელითა ვარ გარემოცული და არ მჭირდება ახლა. რატომ მაქვს თვალები? ალბათ, სინათლისა და ფერების სამყარო მოვა“.

ასერომ, თუ ემბრიონი თავისი ცხოვრების განვითარებისა ასახვას შეძლებდა, ეცოდინებოდა დედის საშოს გარეთ სიცოცხლის შესახებ, მისი დანახვის გარეშე. ჩვენს შემთხვევაშიც იგივეა: ვიდრე ახალგაზრდები ვართ და ძალა შეგვწევს, არ ვფიქრობთ მის გონივრულ გამოყენებაზე. როცა თვალებთან ერთად ცოდნაც იზრდება, უკვე კატაფალკა გველოდება სასაფლაოზე წასაყვანად. რაღა მნიშვნელობა ჰქონდა ცოდნასა და ხედვაში გაზრდას, თუკი ვეღარ გამოვიყენებდით? რატომ იზრდება ფეხები, ხელები და თვალები ემბრიონში? *მნიშვნელოვანია რა მოსდევს მას*. ჩვენთან ასე ხდება: ვიზრდებით იმის ცოდნასა და გამოცდილებაში, რაც მოახლოებულია. მზად ვართ ვემსახუროთ მომდევნო საფეხურს სიკვდილს რომ მოჰყვება.

დაიბეჭდა კომენტარები იესოს შესახებ, რომ არ არსებობდა. იატაკქვეშა ეკლესიები ამას ადვილად პასუხობენ: „რომელი გაზეთი გაქვს ჯიბეში? დღევანდელი „პრავდაა“ თუ გუშინდელი? ნება მიბოძეთ, ვნახო. აჰა! იანვრის 4, 1964. როდის დაიწყო 1964 წელი? ამბობ, რომ იესო არასოდეს არ არსებობდა და წლებს მაინც მისი დაბადებიდან ითვლი. დრო მის დაბადებამდეც არსებობდა, მაგრამ როცა იესო მოვიდა, ადამიანის მოდგმამ დაინახა, რომ აქამდე ყველაფერი ამაო ყოფილა და ნამდვილი დრო ახლა იწყება. თქვენი კომუნისტური

გაზეთები თავად ამტკიცებენ, რომ იესო მოგონილი არ არის“. დასავლეთელი ხუცესები ფიქრობენ, რომ ეკლესიის მრევლს ნამდვილად სწამს ქრისტიანობის ჭეშმარიტება. იშვიათად მოისმენთ მსახურებას ჩვენი რწმენის დამოწმების შესახებ, მაგრამ რკინის ფარდის მიღმა, სადაც არასოდეს გვისწავლია ამის გაკეთება, მოქცეულებს ვაძლევთ სერიოზულ ფუნდამენტს.

ეკლესია, ოფიციალურიც და ფარულიც, მტკიცე ქრისტიანობის ციხესიმაგრეა, ისინი ისე მჭიდროდ გადაიხლართნენ, რომ არ არსებობს მათ შორის აშკარა წყალგამყოფი. ზოგიერთი ოფიციალური ეკლესიის ხუცესი, მთავრობისგან მალულად, ტყვე ერებში საიდუმლოდ მსახურობს.

ოფიციალურ ეკლესიას აქვს კომუნისტებთან თანამშრომლობის დიდი ხნის ისტორია, რომელიც ეპისკოპოს სერგიუსის ხელმძღვანელობით, „ცოცხალ ეკლესიასთან“ ერთად რუსეთის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიწყო. სერგიუსის თანამოაზრეებმა განაცხადეს, რომ „მარქსიზმი არის სახარება ათეისტური ასოებით დაწერილი“. რა შესანიშნავი თეოლოგიაა! სერგიუსისნაირები მრავალ ქვეყანაში არიან.

უნგრელ კათოლიკეებში იყო მამა ბალოგი. ის და რამდენიმე პროტესტანტი დაეხმარნენ კომუნისტებს ქვეყნის კონტროლის მოპოვებაში.

რუმინეთში კომუნისტები სათავეში მოვიდნენ მართლმადიდებელი მღვდლის ბურდუკეას, ყოფილი ფაშისტის, დახმარებით, რომელსაც წითლების კეთილგანწყობა უნდა მოეპოვებინა ძველი ცოდვების დასაფარად და უფრო „წითელი“ გამხდარიყო, ვიდრე თავისი უფროსები. ეს მღვდელი იდგა საბჭოთა კავშირის მდივან ვიშინსკისთან ახლოს და გამარჯვების სიხარულით ეღიმებოდა, როდესაც კომუნისტური რეჟიმი მმართველ ძალად გამოაცხადეს: „ეს მთავრობა ააშენებს მიწიერ სამოთხეს და ამის შემდეგ ზეციური სამოთხე აღარ დაგჭირდებათ“.

რუსი ნიკოლაის მსგავსები, დამტკიცებულია რომ მთავრობის ინფორმატორები არიან. მაიორი დერიაბინი, რუსული საიდუმლო პოლიციიდან განდგომილი, ადასტურებდა რომ მათი აგენტი იყო.

მსგავსი ვითარება იყო თითქმის ყველა დენომინაციაში. რუმინეთის ბაპტისტური ეკლესიის ხელმძღვანელობას აიძულებდნენ, დაესმინათ ნამდვილი ქრისტიანები. ბაპტისტური ეკლესიის ხელმძღვანელობაც იგივეს აკეთებდა რუსეთში. რუმინეთის ადვენტისტური ეკლესიის პრეზიდენტმა, ტაჩიკმა, მითხრა, რომ კომუნისტების სათავეში მოსვლის პირველი დღიდანვე დაიწყო საიდუმლო პოლიციასთან თანამშრომლობა.

უკლებლივ ყველა ეკლესიის დახურვის ნაცვლად (თუმცაღა ათასობით ეკლესია დახურეს) კომუნისტებმა გამჭრიახად გადაწყვიტეს რამდენიმე დაეტოვებინათ ოფიციალური ეკლესიის სახით, რომლებსაც ისინი იყენებდნენ სათვალთვალოდ, ადამიანების გასაკონტროლებლად და საბოლოოდ ქრისტიანებისა და ქრისტიანობის გასანადგურებლად. გარეგნულად მათ არ შეუცვლიათ ეკლესიის სტრუქტურა უცხოელებისთვის თვალის ასახვევად, სინამდვილეში კი ის კომუნისტური კონტროლის იარაღად გადააქციეს, ეს მდგომარეობაა ჩინეთის TSPM-ის ეკლესიებში ოცდამეერთე საუკუნეშიც კი. ეს „ლეგალური ეკლესია“ წარმოადგენს ჩინეთის ნამდვილი მორწმუნეების ოც პროცენტს.

რუმინეთში შემომთვაზეს ეკლესიაში მსახურება იმ პირობით თუ მე, როგორც ხუცესი, ჩემს მრევლს საიდუმლო პოლიციასთან დავასმენდი. როგორც ჩანს, დასავლეთელები მხოლოდ „შავს და თეთრს“ არჩევენ – ყველაფერს მხოლოდ ერთი ან მეორე გზით წყვეტენ. მაგრამ იატაკქვეშა ეკლესია არასოდეს არ დათანხმდება ამ პირობას, ის კონტროლირებად ეკლესიებში მუშაობას აზრიან, ეფექტიან მსახურებას ამჯობინებს.

მიუხედავად მრავალი გამცემი ხელმძღვანელისა, ოფიციალურ ეკლესიებში ნამდვილი სულიერი სიცოცხლე ჩქეფს (ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ დასავლეთის მრავალ ეკლესიაშიც ანალოგიური ხდება. მრევლი, მიუხედავად ლიდერებისა, მაინც ერთგული რჩება).

რუსეთში, მართლმადიდებელი მსახურება უცვლელი დარჩა, ეკლესიის წევრების გულებს კვებავდა, მიუხედავად იმისა, რომ

იგი კომუნისტების ქება-დიდებასაც შეიცავდა. ლუთერანები, პრესვიტერიანები, პროტესტანტები იმავე საგალობლებს გალობდნენ. და შემდეგ ინფორმატორებსაც კი რაღაც უნდა ეთქვათ სახარებიდან. ჩინეთში ხალხი გამყიდველი ადამიანების ქადაგებით მოექცა. ხალხმა იცის, რომ ისინი საიდუმლო პოლიციას აცნობებენ მათი მოქცევის შესახებ. მათ არ უნდა გაუმხილონ რწმენა იმას, ვისი კორუმპირებული ქადაგების შედეგადაც მოექცნენ. სიმბოლური ენით დიდი სასწაულია აღწერილი ლევიტელთა 11,37-ში: „თუ დაეცა რაიმე მათი მძორისაგან რომელიმე მცენარის თესლს [რაც მოსეს კანონის თანახმად ჭუჭყიანია], რომელიც ითესება, მაშინ იგი სუფთაა“.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ყველა ოფიციალური ეკლესიის ლიდერი არ არის კომუნისტების კაცი.

ოფიციალურ ეკლესიებშიც არიან ფარული ეკლესიის წევრები იმათ გარდა, ვისაც რწმენის საიდუმლოდ შენახვა სურს. ისინი ხედავენ, რომ ქრისტიანობა არის არა მერყევი, არამედ ერთგული და მტკიცე რწმენა. რთული დრო გამოიარა საიდუმლო პოლიციამ, როცა ვლადიმირეშტის მონასტრის დასახურად მოვიდა რუმინეთში და რუსეთის სხვა ადგილებში. ზოგიერთ კომუნისტს საკუთრი სიცოცხლის ფასად დაუჯდა რელიგიის აკრძალვა.

ოფიციალური ეკლესიები თანდათან მცირდება. საეჭვოა, რომ მთელ კომუნისტურ რუსეთში, ხუთი ან ექვსი ათასი ეკლესია ყოფილიყო (ამერიკას იგივე რაოდენობის მოსახლეზე სამასი ათასი ეკლესია ჰქონდა ათეული წლების წინ). ეს „ეკლესიები“ ხშირად წარმოადგენდნენ პატარა ოთახებს – რომელიც ერთადერთი პროტესტანტული ეკლესია იყო ქალაქში – დაიმახსოვრეთ, როგორ თავისუფლებასთან გვაქვს საქმე. „ეკლესიები გადაჭედილია!“ აცხადებდა კომუნისტური მთავრობა ამაყად. ისინი ტრაგედიად არ მიიჩნევდნენ შვიდი მილიონი ადამიანისათვის მხოლოდ ერთი პროტესტანტული ეკლესიის არსებობას! ერთი საეკლესიო ოთახიც კი არ იყო მოსახლეობის ოთხმოც პროცენტზე. ეს ადამიანები ან საერთოდ დავიწყებულნი იყვნენ ან იატაკქვეშა ეკლესიას აფარებდნენ თავს. სხვა არჩევანი არ იყო.



რაც უფრო მეტად ძლიერდება კომუნისტური პარტია ქვეყანაში, უფრო მეტად იზრდება იატაკქვეშა ეკლესია. დახურული ეკლესიების ადგილზე ანტირელიგიური სწავლებები მიმდინარეობდა.

როგორ „კვებავს“ ათეისტური ლიტერატურა იატაკქვეშა ეკლესიას

იატაკქვეშა ეკლესიამ იცის, როგორ გამოიყენოს ათეისტური ლიტერატურა, ისე გამოიკვებოს მისგან, როგორც ელია ყვავებისაგან. ათეისტები დიდ ძალისხმევას ხარჯავენ ბიბლიის მუხლების გასაკრიტიკებლად.

დაბეჭდეს წიგნები; *„კომიკური ბიბლია“* და *„ბიბლია მორწმუნეებისა და ურწმუნოებისათვის“*, ეცადნენ ეჩვენებინათ როგორი სისულელეა ბიბლია და მრავალი მუხლი მოიყვანეს ამის დასამოწმებლად. როგორ გავიხარეთ! მილიონობით ეგზემპლარი დაბეჭდეს ბიბლიის მუხლებით სავსე, რაც კომუნისტების მიერ დამცირების მიუხედავად, მშვენივრად ამბობდა სათქმელს. თვითონ კრიტიკა იმდენად სულელური იყო, რომ სერიოზულად არავინ მიიღო. ადრე, ინკვიზიციას „ერეტიკოსები“ დასაწვავად მიჰყავდა ჯვარზე გაკრული, პროცესიის თანხლებით, საშინელ ტანსაცმელში ჩაცმული, ჯოჯოხეთის ალითა და მასზე გამოსახული ეშმაკით. რა წმინდები იყვნენ ეს ერეტიკოსები! იგივენაირად, ბიბლიის მუხლები ჭეშმარიტი რჩება, ეშმაკიც რომ ციტირებდეს მას.

კომუნისტური ბეჭდვითი ორგანოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ასობით წერილი მიიღო იმ წიგნის ხელახლა გამოცემის თხოვნით, რომელშიაც ბიბლიის მუხლები იყო გაკრიტიკებული. მათ არ იცოდნენ, რომ ეს იყო იატაკქვეშა ეკლესიის ერთადერთი გზა ბიბლიის მისაღებად.

ათეისტური შეხვედრების კარგად გამოყენებაც გვეხერხებოდა.

ერთმა კომუნისტმა პროფესორმა დემონსტრაციულად განაცხადა, რომ იესო სხვა არაფერი იყო, თუ არა ჯადოქარი. პროფესორს წინ ედო წყალი. წყალში ფხვნილი ჩაყარა და გაწითლდა. „ეს არის მთელი საიდუმლო, – ახსნა მან. ქრისტეს

ასე ჰქონდა დამალული ფხვნილი სახელოში და მოაჩვენა, თითქოს წყალი გადააქცია ღვინოდ. მე უფრო უკეთ შემიძლია ეს გავაკეთო, ვიდრე იესოს, ღვინის კვლავ წყლად გადაქცევა შემიძლია“. ახლა სხვა ფხვნილი ჩაყარა სითხეში. გაიწმინდა. შემდეგ სხვა ფხვნილი და კვლავ გაწითლდა.

ქრისტიანი ადგა და თქვა: „ძალიან გაგვაოცეთ თქვენი ნამოქმედარით, ამხანაგო პროფესორო. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ – დალიეთ თქვენი გაკეთებული ღვინო!“ პროფესორმა თქვა: „არ შემიძლია ამის გაკეთება. ფხვნილი მომწამლავია“. ქრისტიანმა უპასუხა: „ეს არის მთელი განსხვავება თქვენსა და ქრისტეს შორის. მან, თავისი ღვინით სიხარული მიანიჭა ხალხს ორიათასი წლის წინ, როცა თქვენ გვწამლავთ, ე. წ. ღვინით“. ქრისტიანი ციხეში გაუშვეს, მაგრამ ამ შემთხვევის შესახებ ამბავი ძალიან სწრაფად გავრცელდა და გაამხნევა ქრისტიანები.

პატარა, სუსტი დავითის მსგავსები ვართ, მაგრამ გოლიათ ათეისტებზე ძლიერები, რადგან ღმერთი ჩვენს მხარესაა. ჭეშმარიტება ჩვენ გვეკუთვნის.

ერთხელ ერთი კომუნისტი ატარებდა ლექციას ათეიზმზე. ყველა ქარხნის მუშა მოვალე იყო დასწრებოდა, მათ შორის ბევრი ქრისტიანიც იყო. ჩუმად ისხდნენ და უსმენდნენ სისულელეებს ღმერთისა და ქრისტეს რწმენის შესახებ. ლექტორი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არ არსებობს სულიერი სამყარო, ღმერთი, ქრისტე, გარდაცვალების შემდეგ სამყოფელი, ადამიანი არის სულის გარეშე. რამდენჯერმე გაიმეორა, რომ მხოლოდ მატერიას აქვს მნიშვნელობა.

ქრისტიანი ადგა და სიტყვა მოითხოვა. ნება დართეს. ქრისტიანმა სკამი აიღო და დაახეთქა, მერე ოდნავ შეყოვნდა, სცენაზე ავიდა და ლექტორს სახეში გაარტყა. ლექტორი გაბრაზდა, სიმწრისგან სახე გაუწითლდა და გაცეცხლებულმა დაუყვირა: „როგორ გაბედე ჩემი გარტყმა, რა მიზეზით?“

ქრისტიანმა უპასუხა: „საკუთარი თავი ეს-ესაა გაყიდე. თქვენ თქვით, რომ ყველაფერი მატერიაა და სხვა არაფერი. ავიღე სკამი და დავახეთქე. ნამდვილად მატერიაა – სკამი არ გაბრაზდა. ის მხოლოდ მატერიაა. როცა თქვენ გაგარტყით, სკამივით არ გაჩუმებულხართ. საგანი არ ბრაზდება და არ გიჟდება, *თქვენ*

კი... მაშასადამე, ამხანაგო პროფესორო, თქვენ ცდებით. ადამიანი მატერიაზე მეტია. ჩვენ სულიერი არსებები ვართ!“
ბევრ ასეთ შემთხვევაში, იატაკქვეშა ეკლესიის უბრალო ქრისტიანები ეწინააღმდეგებოდნენ საგულდაგულოდ შემუშავებულ ათეისტურ არგუმენტებს.
პოლიტიკურმა ოფიცერმა მკაცრად მკითხა ციხეში „რამდენი ხანი აპირებ ამ სულელი რელიგიის შენარჩუნებას?“ მე ვუთხარი: „უთვალავი შემთხვევა მინახავს, როდესაც სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ ათეისტებს მოუნანიებიათ თავისი უღმერთობა; მათ ქრისტეს მოუხმეს. შეგიძლია წარმოიდგინო, სიკვდილის მოახლოებისას ქრისტიანმა რომ ინანოს თავისი მრწამსის და მარქსს ან ენგელსს მოუხმოს რწმენიდან დასახსნელად?“ ოფიცერმა გაიცინა: „გონივრული პასუხია“. მე გავაგრძელე: „ინჟინერი რომ აშენებს, იმ ხიდზე კატის გავლა არ არის საკმარისი დასტური მისი მდგრადობის. მატარებელმა უნდა გაიაროს, რომ მისი ძალა გამოსცადოს. როცა ყველაფერი კარგად მიდის და ათეისტი ხარ, ათეიზმის ჭეშმარიტებას ვერ დაადასტურებ. ლენინიც კი ლოცულობდა, როცა საქმე ცუდად მიდიოდა.
ჩვენ წყნარად ვიყავით და ველოდებოდით მოვლენების განვითარებას. კომუნისტებს რა გააჩუმებდათ და ანტირელიგიური კამპანია წამოიწყეს. ამის გაკეთებით დაადასტურეს წმ. ავგუსტინეს ნათქვამი: „მშვიდობა არ არის გულში, ვიდრე შენში არ დაივანებს“.

როგორ შეიძლება კომუნისტების შეძენა

თავისუფალი ქვეყნის ქრისტიანები რომ ეხმარებოდნენ იატაკქვეშა ეკლესიას, კომუნისტების გულსაც მოიგებდნენ და მსოფლიოსაც შეუცვლიდნენ სახეს. ამით მოვიგებდით მათ გულებს, რადგან არაბუნებრივია კომუნისტად ყოფნა. ძაღლსაც კი სურს ჰქონდეს საკუთარი ძვალი. კომუნისტების გული ებრძვის იმ აბსურდულ როლს, რომელიც მათ უნდა შეასრულონ და რომლის რწმენასაც აიძულებენ.
ზოგადად, კომუნისტებს მტკიცედ სჯერათ, რომ „მატერია არის ყველაფერი“ – რომ ერთი მუჭა მინარევები ვართ, გარკვეული

ფორმით და კვლავ მარილი და სხვა მინარევები დავრჩებით სიკვდილის შემდეგაც. საკმარისი იყო მათთვის გეკითხათ: „როგორ ხდება, რომ კომუნისტები მრავალ ქვეყანაში თავის სიცოცხლეს სწირავენ თავის რწმენას?“ ერთი მუჭა მინარევი შეძლებს თავი გაწიროს სხვის სასარგებლოდ?“ – ამ კითხვებზე მათ პასუხი არ აქვთ.

შემდეგ სისასტიკის საკითხი დგება. ადამიანი არ შექმნილა სასტიკად და არ შეუძლია დიდხანს იარსებოს ამ თვისებით. გვინახავს დამარცხებული ნაცისტები, თავს რომ იკლავდნენ მაშინ, როცა ზოგიერთებმა აღიარეს და მოინანიეს თავიანთი დანაშაული.

ლოთობა ფართოდ არის გავრცელებული კომუნისტურ ქვეყნებში, სწყურიათ აზრიანი ცხოვრება, რომლის მიცემაც კომუნისტებს არ შეუძლიათ. ზოგადად, რუსები ღრმა, დიდსულოვანი, კეთილი ადამიანები არიან. კომუნიზმი ზედაპირულია. ადამიანი ეძებს ღრმა ცხოვრებას, მაგრამ ვერსად პოულობს, შემდეგ ალკოჰოლში იკლავს დარდს. სასმელში გამოხატავს საკუთარ შიშსა და სისასტიკეს და მოტყუებულ სიცოცხლეს, რომელშიც მთელი ცხოვრება უნდა გალიოს. ცოტა ხნით ალკოჰოლი ათავისუფლებს, მაშინ როცა ჭეშმარიტება სამუდამოდ გაათავისუფლებდა, რომ სცოდნოდა.

ბუქარესტში რუსეთის ოკუპაციის პერიოდში (1947-1989), ერთხელ ქუჩაში მიმავალს, ბარში შესვლის დიდი სურვილი გამიჩნდა. ჩემს ცოლს დავურეკე, რომ ჩემთან ერთად წამოსულიყო. ბარში შესვლისთანავე დავინახეთ საკუთრ შუბლზე იარაღმიდებული კაპიტანი, რომელიც იმედოვნებდა, რომ მუქარის ასეთი ფორმით უფრო მეტ სასმელს ჩაიგდებდა ხელთ. ბარის მეპატრონე მეტი სასმელის მიცემაზე კაპიტანს უარს ეუბნებოდა, რადგან უკვე საკმაოდ მთვრალი იყო. ხალხი პანიკას მოეცვა. ბარის მეპატრონესთან მივედი, რომელსაც კარგად ვიცნობდი, და ვთხოვე ერთი ბოთლი ღვინო მიეცა კაპიტნისათვის და თან დავპირდი, რომ გვერდით მივუჯდებოდი და ხმაურის საშუალებას არ მივცემდი. ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. კაპიტანი მაგიდაზე მდგარ სამ ჭიქას ზრდილობიანად ავსებდა... და სამივეს თვითონ სვამდა. მე და ჩემი მეუღლე არ ვსვამდით. ალკოჰოლისაგან დამონებული

კაპიტანი ძალიან მთვრალი იყო, მაგრამ მაინც აზროვნებდა. ამიტომ იესოზე საუბარი წამოვიწყე და ჩემდა გასაოცრად მსმენელში დიდი ინტერესი დავინახე.
როცა საუბარი დავამთავრე, კაპიტანმა თქვა: „რადგან შენ მითხარი ვინ ხარ, მეც გეტყვი. მე მართლმადიდებელი მღვდელი ვარ, პირველმა უარვყავი რწმენა სტალინური დევნის დაწყებისთანავე. სოფლიდან სოფელში დავდიოდი და ვასწავლიდი, რომ ღმერთი არ არსებობს და ასე ჩამოვყალიბდი ცრუ მღვდლად“. „მე და სხვა მსახურებიც მატყუარები ვართ“, – ვუთხარი მას. კაპიტანმა გააგრძელა: „საქმეში დიდი გულმოდგინებით გამოვირჩეოდი, დამაფასეს და საიდუმლო პოლიციის ოფიცრად დამაწინაურეს. ღვთისაგან ასეთი სასჯელი მერგო წილად, რომ ქრისტიანები წამების შემდეგ ჩემი ხელით უნდა დამეხოცა. ახლა სმას მივყავი ხელი, წარსულში ჩადენილი ცოდვების დასავიწყებლად, მაგრამ უშედეგოდ“.
იმ საშინელ დროს ბევრმა კომუნისტმა დაამთავრა სიცოცხლე თვითმკვლელობით. დიდმა პოეტებმაც კი – ესენინმა და მაიაკოვსკიმ, დიდმა რუსმა მწერალმა ფადეევმაც. დაამთავრა თუ არა ნოველა სახელად „*ბედნიერება*“, სადაც ამტკიცებდა, რომ ბედნიერება არის კომუნიზმისათვის დაუღალავი შრომა. როგორც ჩანს, ისეთი დიდი ბედნიერება განიცადა ნოველის წერისას, რომ დასრულებისთანავე შუბლში ისროლა. ან ძალიან გაუჭირდა მის სულს ასეთი დიდი ტყუილის ატანა. ცარიზმის მმართველობისას, იოფემ და ტიომკინმა – კომუნიზმისათვის მებრძოლმა ლიდერებმა – ვერ შეძლეს იმის დანახვა, თუ რა იყო სინამდვილეში კომუნიზმი და თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.
კომუნისტები უბედურები არიან, ასევე დიდი დიქტატორებიც. როგორი უბედური იყო სტალინი! თითქმის ყველა ძველი მეგობრის მოკვლის შემდეგ, გამუდმებით ეშინოდა მოწამვლის ან მოკვლის. რვა საძინებელი ჰქონდა ერთდროულად ჩაკეტილი უსაფრთხოებისათვის. არავინ იცოდა, რომელ დღეს რომელ ოთახში ეძინა. მანამდე არასდროს ჭამდა, ვიდრე მზარეული მის თვალწინ არ გასინჯავდა სადილს. კომუნიზმი არავის არ ანიჭებს ბედნიერებას, არც დიქტატორებს. ყველა მათგანს ქრისტე სჭირდება.

ქრისტიანების მდევნელების მოქცევით, არა მხოლოდ მათ მსხვერპლებს გავათავისუფლებთ, არამედ თვით მდევნელებსაც.
იატაკქვეშა ეკლესია გვიჩვენებს დამონებული ხალხის გათავისუფლების აუცილებლობას.
დაეხმარეთ ეკლესიას!

* * *

იატაკქვეშა ეკლესიის განმასხვავებელი ნიშანი მისი რწმენაში ერთგულებაა.
ღვთისმსახური, რომელიც საკუთარ თავს „გიორგიდ“ მოიხსენიებს, თავის წიგნში *„ღმერთის იატაკქვეშეთი“* ასეთ ამბავს მოგვითხრობს:
რუსული არმიის ერთი კაპიტანი მივიდა უნგრელ ღვთისმსახურთან და სთხოვა, პირისპირ დალაპარაკებოდა. ახალგაზრდა კაპიტანი უხეში და დიდად თვითდაჯერებული ჩანდა. ღვთისმსახური სტუმარს საკონფერენციო ოთახისაკენ წაუძღვა და კარების დახურვისას, კედელზე ჩამოკიდებული ჯვრის წინაშე ქედი მოიხარა.
„თქვენ იცით, რომ ეს ტყუილია“, – უთხრა მან ღვთისმსახურს. „ეს უბრალოდ, საცდურია ღარიბების მოსატყუებლად, რათა ადვილად აიტანონ მდიდრებისაგან ჩაგვრა. მოდით, ახლა მარტონი ვართ, აღიარეთ, რომ ნამდვილად არასოდეს გწამდათ იესო ქრისტეს ღვთის ძეობა!“
ღვთისმსახურმა გაიცინა და უთხრა: „მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მჯეროდა. ეს ჭეშმარიტებაა“.
„არ დავუშვებ, რომ ამ ტყუილებით მელაპარაკოთ!“ _ შეჰყვირა კაპიტანმა, _ ეს სერიოზულია, ნუ დამცინით!“
კაპიტანმა რევოლვერი ამოიღო და მსახურს სხეულზე მიაბჯინა.
„თუ არ აღიარებ, რომ ტყუილია, გესვრით!“
„არ შემიძლია ამის აღიარება. ჩვენი უფალი ნამდვილია და ჭეშმარიტად ღვთის ძეა“, – თქვა მსახურმა.
კაპიტანმა რევოლვერი იატაკზე დააგდო და ცრემლმორეული ღვთის კაცს გადაეხვია.

„ეს ჭეშმარიტებაა!“ – ტიროდა კაპიტანი. _ „ეს მართალია. მეც მჯერა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ადამიანს შეეძლო სიცოცხლე შეეწირა ამ რწმენისათვის, ვიდრე საკუთარი თვალით არ ვნახე. ოჰ, დიდი მადლობა! თქვენ გააძლიერეთ ჩემი რწმენა. ახლა მეც შემიძლია მოვკვდე ქრისტესათვის. თქვენ მაჩვენეთ როგორ“.

სხვა ბევრი ასეთი შემთხვევაც ვიცი. რუმინეთის დაპყრობის შემდეგ ორი რუსი შეიარაღებული ჯარისკაცი შევიდა ეკლესიაში. მათ თქვეს: „ჩვენ არ გვჯერა თქვენი რწმენის. ვინც არ უარყოფს რწმენას, დავხვრეტთ! ვინც უარყოფს, მარჯვნივ გადავიდეს!“ მარჯვნივ გადასულებს ჯარისკაცებმა სახლში წასვლის ნება დართეს. რუსი ჯარისკაცები დარჩენილ ქრისტიანებს გადაეხვივნენ და აღიარეს, ჩვენც ქრისტიანები ვართ, მაგრამ იმათთან ერთად გვინდოდა ლოცვა ვინც რწმენისათვის სიცოცხლეს გასწირავდაო“.

ასეთი ადამიანები იბრძოდნენ სახარებისათვის და კიდევ იბრძვიან სამხრეთ-აღმოსავლეთ კომუნისტურ აზიაში. არა მხოლოდ სახარებისათვის იბრძვიან. არამედ თავისუფლებისათვისაც.

ბევრი დასავლელი ქრისტიანის სახლში ხანდახან საათობით უსმენენ მიწიურ მუსიკას. ჩვენი სახლიდანაც შეიძლება გაიგონოთ ხმამაღალი მუსიკა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ სახარებაზე ლაპარაკის ხმა დაფაროს, მეზობლებმა არ შეიტყონ ფარული საქმიანობის შესახებ და საიდუმლო პოლიციას არ აცნობონ.

როგორ ახარებთ აღმოსავლელ ქრისტიანებს დასავლელი ქრისტიანების სტუმრობა.

ის, ვინც ამ სტრიქონებს წერს უმნიშვნელო ადამიანია. მაგრამ, მე ვარ ხმა, უხმო ადამიანებისათვის; იმათთვის, ვისაც პირი ამოუკერეს და ვერასოდეს შეძლებს დასავლეთში მოხვედრას. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და ილოცოთ მათი სულიერი პრობლემებისათვის. გთხოვთ, მატერიალურად დაეხმაროთ ერთგულ, ტანჯულ ეკლესიას კომუნისტურსა და სხვა დამონებულ ქვეყნებში.

* * *

რამდენიმე მიზეზის გამო უნდა შევიძინოთ ადამიანები. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ღმერთი ჩვენს მხარეს არის. მეორე, ქრისტეს სიტყვა არის ორლესულ მახვილზე ბასრი და ღრმად სწვდება ადამიანის გულს.

ნაცისტების ციხეგამოვლილმა კომუნისტებმა აღიარეს ჩემთან, რომ სირთულეების დროს ლოცულობდნენ. „იესო! იესო!“ ასეთი შეძახილებით გარდაცვლილი კომუნისტებიც მინახავს.

კომუნისტების შეძენის საქმეში კულტურული მემკვიდრეობაც ჩვენს მხარესაა. რუსულმა მთავრობამ შეიძლება აკრძალოს თანამედროვე ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელება, მაგრამ ტოლსტოისა და დოსტოევსკის ნაწერები ხომ დარჩება, სადაც ხალხს შეუძლია იპოვოს ქრისტეს ნათელი. ანალოგიურია გოეთე გერმანელებისათვის, სენკევიჩი პოლონელებისათვის და სხვები. დიდი რუმინელი მწერალი იყო სადოვენუ. კომუნისტებმა მისი წიგნი *„წმინდანების ცხოვრება“ „წმინდანების ლეგენდის“* სახელით დაბეჭდეს. სათაურის მიუხედავად, მასში წმინდანებზე მოთხრობილი ამბები შთამაგონებელია.

შეუძლებელია გამორიცხონ რაფაელის, მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩის რეპროდუქციები ხელოვნების ისტორიიდან. ეს სურათები ხომ ქრისტეზე ლაპარაკობენ?!

როდესაც კომუნისტს ქრისტეზე ველაპარაკები, მისი სულის შიმშილი მეხმარება მასთან კავშირის დამყარებაში. კომუნისტისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს, არ უპასუხოს ჩემს შეკითხვებს. უჭირს საკუთარი სინდისის ხმის გაჩუმება, რაც ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს.

პირადად ვიცნობდი მარქსიზმის პროფესორებს, რომლებიც ათეისტური ლექციის ჩატარებამდე ლოცულობდნენ, რომ ღმერთს ძალა მიეცა ამის გასაკეთებლად! ვიცნობდი კომუნისტებს, ჩუმად რომ დადიოდნენ მსახურებებზე. როგორც კი ეს საზოგადოებისათვის ცნობილი ხდებოდა, უარყოფდნენ. მოგვიანებით ტიროდნენ და ინანიებდნენ, რომ ვერ გამოიჩინეს მხნეობა იმ რწმენის დასაცავად, რომელიც შეხვედრაზე იზიდავდა. ასეთი ადამიანების რიგებში არა მარტო ქალები, არამედ მამაკაცებიც არიან.

ძალიან მარტივი ფორმით მიღებული რწმენაც კი ვითარდება და იზრდება. დარწმუნებული ვართ, რომ ეს რწმენა გაიმარჯვებს, რადგან იატაკქვეშა ეკლესიას არაერთხელ უნახავს ასეთი მაგალითები.

ქრისტეს უყვარს კომუნისტები და „რწმენის სხვა მტრებიც“. შესაძლებელია მათი ქრისტესთან მიყვანა, და ასეც უნდა მოვიქცეთ. ვისაც იესოს სურვილის ასრულება სურს, მხარში უნდა ამოუდგეს იატაკქვეშა ეკლესიას სულების ხსნაში. იესომ თქვა: „ასწავლეთო ყველა ხალხებს“. მას არასოდეს უთქვამს, რომ ხელისუფლების ნებართვა გვჭირდებოდა ამის გასაკეთებლად. ღვთისადმი ერთგულება გვავალებს ვუქადაგოთ ხალხებს დაკეტილ ზონებსა და საზღვრებს მიღმა, რისი გაკეთებაც იქ არსებული ფარული ეკლესიის დახმარების მეშვეობით შეგვიძლია!

იატაკქვეშა ეკლესიის კომპონენტები

იატაკქვეშა ეკლესია პირობითად სამ ჯგუფად იყოფა. პირველში შედიან სახარებასთან კომპრომისზე წაუსვლელობის გამო ათასობით ეკლესიებიდან გათავისუფლებული ხუცესები და მსახურები. მრავალი ასეთი მსახური ციხეში ჩასვეს წლების მანძილზე და რწმენისათვის აწამებდნენ. გაათავისუფლეს თუ არა – დაუყოვნებლივ განაახლეს მსახურება ფარულ ეკლესიაში – ჩუმად და ეფექტიანად. თუმცა კომუნისტებმა და სხვა მთავრობებმა მათი ეკლესიები დახურეს ან მსახურები შეცვალეს, უფრო „მოქნილი“ ადამიანებით. ყოფილი პატიმრები ეფექტიანად აგრძელებდნენ მსახურებას ფარულ შეხვედრებზე ბოსლებში, სხვენში, სარდაფებსა და თივის ზვინებში, ასევე მორწმუნეებისათვის სხვა საიმედო ადგილსა და დროს. ეს ადამიანები „ცოცხალი წამებულები“ არიან, რომლებმაც არ შეწყვიტეს მსახურება და კვლავ დაპატიმრების საფრთხეში არიან.

იატაკქვეშა ეკლესიის ხალხის მეორე ნაწილს წარმოადგენს დიდი არმია არა ხელდასხმული, მაგრამ შეწირული მორწმუნეებისა. ჩინეთში მცხოვრები ყოველი ხუთი კაციდან ერთი, უბრალო ქრისტიანი (ათასების მაგალითზე)

ეწევა „უნებართვო“ ევანგელიზაციას. დევნა ყოველთვის ხელს უწყობდა ქრისტიანების რწმენაში განმტკიცებას. კომუნისტურმა დევნამ წარმოშვა სერიოზული, შეწირული ქრისტიანები, როგორებიც ძალიან იშვიათად შეგხვდებათ თავისუფალ ქვეყნებში. ჩინელებისნაირ ანთებულ ადამიანებს არ ესმით, როგორ შეიძლება იყო ქრისტიანი და არ გინდოდეს ყოველი შემხვედრი სულის შეძენა.

„კრასნაია ზნამია“ (რუსული სამხედრო გაზეთი) ბრძოლას უცხადებს ქრისტიანებს. წერდნენ, რომ „ქრისტეს მსახურებს სურთ თავიანთი საცეცებით ყველაფერს შეეხონ“. სინამდვილეში მათ სწორედაც რომ ქრისტიანებისათვის შესაფერისი ნათელი ცხოვრების შედეგად მოიპოვეს თანასოფლელებისა და მეზობლების სიყვარული და პატივისცემა. ნებისმიერ სოფელში ქრისტიანები სასურველი მცხოვრებლები იყვნენ. როცა დედა ცუდად იყო და შვილის მოვლა არ შეეძლო, ქრისტიანი დედა მიდიოდა და ზრუნავდა ავადმყოფის ბავშვებზე. როცა კაცი ავადმყოფობდა და შეშის დაჩეხვა არ შეეძლო, ქრისტიანი იყო, ვინც ამ საქმეს მისთვის აკეთებდა. ისინი თავისი მრწამსით *ცხოვრობდნენ* და როცა ქადაგებდნენ, ხალხს სჯეროდა მათი – რადგან იესო იხილეს მქადაგებლის პრაქტიკულ ცხოვრებაში. მაშინ, როცა ლეგიტიმური ღვთისმსახურის გარდა, არავის შეეძლო ოფიციალურ ეკლესიაში ქადაგება, მილიონობით ანთებული და შეწირული ქრისტიანი კომუნისტური სამყაროს ნებისმიერ კუთხეში ქადაგებდა, სულებს იძენდა, ამოწმებდა ბაზრებში, წყაროებზე და ყველაგან, სადაც კი მიდიოდნენ. კომუნისტური პრესა იუწყებოდა, რომ ყასბები სახარებისეულ ბროშურებში უხვევდნენ ხორცს მყიდველებს. კომუნისტური პრესა აღიარებდა, რომ ბეჭდვითი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობების პირები, ღამით ჩუმად გაძვრებიან, პრესას გაშლიან, ასეულობით ქრისტიანულ ბროშურას ავრცელებენ და მზის ამოსვლამდე უჩინარდებიან. კომუნისტური პრესა იმასაც ამტკიცებდა, რომ ქრისტიანმა ბავშვებმა სახარება „უცხო წყაროებიდან“ მიიღეს და ასლებს მეგობრებსაც უზიარებდნენ. ბავშვები იმდენს ბედავდნენ, რომ ქრისტიანულ ლიტერატურას მასწავლებლებს პალტოს ჯიბეებში უდებდნენ. ხელდაუსხმელი

ქალებისა და მამაკაცების უმეტესობა ძლიერია და ეფექტიანად საქმიანობს, სულებს იძენს კომუნისტურ მიწაზე.
ეს მილიონობით შეწირული, ჭეშმარიტი და ანთებული მორწმუნეები არახელდასხმულ ეკლესიებში განიწმინდნენ კომუნისტების დევნის ცეცხლით, მაშინ, როცა კომუნისტები მათ განადგურებას იმედოვნებდნენ.
მიუხედავად მთავრობის წინააღმდეგობისა, კუბაში ათასობით საშინაო ეკლესია დაარსდა. კუბის ეკუმენური საბჭო, ძირითადად, შექმნილია მარქსისტული ეკლესიის ლიდერებისაგან.
იატაკქვეშა ეკლესიის მესამე სასიცოცხლო ასპექტი არის ჩუმი „ეკლესიებიდან“ ერთგული ხუცესების დიდი ჯგუფის არსებობა ოფიციალურ წრეებში. იატაკქვეშა ეკლესია ოფიციალური ეკლესიისაგან დიდად არ განსხვავდება. კომუნიზმის მმართველობის დროს პოლონეთში, უნგრეთში და ყოფილ იუგოსლავიაში, მრავალი ოფიციალური ეკლესიის ლიდერი ჩუმად მუშაობდა იატაკქვეშა ეკლესიაში. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ორი ეკლესია ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირშია. ხუცესებს ეკლესიის პატარა ოთახის გარეთ ქადაგების ნება არა აქვთ; უფლება არა აქვთ საბავშვო და ახალგაზრდული შეხვედრები ჩაატარონ. არაქრისტიანებს ეშინიათ ეკლესიაში მოსვლის. ხუცესები ავადმყოფ წევრებთან ვერ მიდიან სახლებში სალოცავად. ისე მოექცნენ კომუნისტური კანონების ჩარჩოებში, რომ მათი „ეკლესიები“ უაზრობაა.
ამ ხუცესების შევიწროებით კომუნისტური და სხვა მთავრობები დასცინიან რელიგიის თავისუფლებას. ხშირად ქრისტეს ჭეშმარიტ მსახურებს საკუთარი სიცოცხლის ფასად უწევთ ნამდვილი მსახურების ჩატარება. ისინი ჩუმად ქადაგებენ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან. შუა აღმოსავლეთში, ჩრდილო აფრიკაში, აზიაში ფარულ ევანგელიზაციას ეწევიან ქრისტიანების სახლებსა და სარდაფებში. ფრთხილად იღებენ და ავრცელებენ ლიტერატურას მშიერი სულებისათვის. სიცოცხლის ფასად უარყოფენ ოფიციალურ დოგმებს და ემსახურებიან მათ გარშემო მყოფ სულებს. ერთი შეხედვით დამჯერი და მორჩილები, სიცოცხლეს წირავენ ღვთის სიტყვის

გასავრცელებლად. მრავალი ასეთი ადამიანი ამხილეს საბჭოთა კავშირის დროს და რამდენიმე წლით დააპატიმრეს. დღეს ისეთ ადამიანებს სვამენ ციხეში, რომლებიც სასიცოცხლო ძალას წარმოდგენენ ფარული ეკლესიისათვის. ყოფილი ღვთისმსახურები, ეკლესიიდან გადაყენებული და მთავრობის მიერ დევნილები, ხელდაუსხმელი ეკლესიები და ოფიციალური ხუცესები, რომლებიც ნებადართულზე მეტ მსახურებას ეწეოდნენ – ამჟამად მუშაობენ ფარულ ან „არაოფიციალურ“ ეკლესიაში. იატაკქვეშა ეკლესიები იარსებებენ მანამდე, ვიდრე კომუნიზმი და სხვა „იზმები“ არ დამარცხდება. ზოგიერთ კონტინენტზე, ერთი ქვეყანა უფრო აქტიურია ვიდრე მეორე, მაგრამ ყოველი მათგანისთვის ქრისტესათვის მსახურება დიდი რისკია.

კომუნისტურ ქვეყნებში რელიგიით დაინტერესებულმა მოგზაურმა ადამიანმა უკან დაბრუნებისას დაწერა, რომ არასოდეს შეხვედრია ფარულ ეკლესიას.

როგორც ცენტრალური აფრიკის განუვითარებელ ტომებში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა თქვა: „გულმოდგინედ გამოვიკვლიე ადგილობრივებში, პროზას თუ ლაპარაკობდნენ და მითხრეს, რომ არა“. სინამდვილეში ლაპარაკობენ, მაგრამ არ იციან, რომ ეს პროზაა.

პირველი საუკუნის ქრისტიანებმა არ იცოდნენ, რომ ქრისტიანები იყვნენ. თუ ჰკითხავდით, გიპასუხებდნენ, რომ ებრაელები იყვნენ, ისრაელიანები, იესოს – მესიის – მორწმუნეები, ძმები, წმინდანები, ღვთის შვილები. მათ „ქრისტიანები“ ანტიოქიაში ეწოდათ მოგვიანებით.

არცერთმა ლუთერის მიმდევარმა არ იცოდა, რომ ლუთერანი დაერქმეოდა. ლუთერს არ მოსწონდა ეს.

სახელი „იატაკქვეშა ეკლესია“ კომუნისტებისა და აღმოსავლეთში რელიგიური მდგომარეობის შემსწავლელმა დასავლელმა მკვლევარებმა დაამკვიდრეს. ფარული ორგანიზაცია სპონტანურად ჩამოყალიბდა მთელ საბჭოთა კავშირში. იატაკქვეშა ეკლესიის წევრები საკუთარ თავს ამ სახელით არ მოიხსენიებენ. ისინი საკუთარ თავს ქრისტიანებს, მორწმუნეებს, ღვთის შვილებს უწოდებენ, მაგრამ ფარულად საქმიანობენ. არალეგალურ შეხვედრებზე

იკრიბებიან, სახარებას ავრცელებენ, ხანდახან უცხოელების თანდასწრებითაც, რომლებიც აცხადებენ, რომ რუსეთში იატაკქვეშა ეკლესია არ უნახავთ. ეს სახელი მათ მიიღეს მოწინააღმდეგეებისა და იმათგანაც, ვინც სიყვარულით უყურებს გარედან ამ ლამაზ ფარულ ორგანიზაციას.

შეიძლება დასავლეთში იმოგზაუროთ და ვერასოდეს შეხვდეთ საერთაშორისო ჯაშუშების ორგანიზაციას, რაც იმას არ ნიშნავს, რომ არ არსებობენ. ისეთი სულელები არ არიან, რომ ცნობისმოყვარე მოგზაურებისათვის ადვილად შესამჩნევები იყვნენ.

მომდევნო თავში მოვიყვან საბჭოთა პრესაში ათეული წლების წინ დაბეჭდილ ციტატებს, რაც ამტკიცებს მხნეობით სავსე იატაკქვეშა ეკლესიის არსებობას და ზრდის მის მნიშვნელობას.

მეექვსე თავი

როგორ ამარცხებს ქრისტიანობა კომუნიზმს

საკუთარი გამოცდილებიდან გიამბეთ ქრისტეს სიტყვის ფარულად გავრცელების შესახებ, საბჭოთა ჯარსა და რუმინეთის კომუნისტებს შორის. გთხოვეთ კიდეც კომუნისტებთან და მათგან შევიწროებულ ხალხთან ქრისტეს ქადაგებაში დახმარება. ეს მოწოდება „აუსრულებელი ოცნებაა“ თუ პრაქტიკულად შესაძლებელი?

დღეს კვლავ არსებობს იატაკქვეშა ეკლესია კომუნისტურ აზიაში და სხვა დამონებულ ერებში? კვლავ შესაძლებელია იქ ფარული საქმიანობა?

ამ კითხვებზე კარგი ახალი ამბით გიპასუხებთ.

კომუნისტებმა ნახევარსაუკუნოვანი მმართველობა იზეიმეს. მათი გამარჯვება დამარცხებას უფრო ჰგავდა. ქრისტიანობამ მოიგო – კომუნიზმმა წააგო. რუსული პრესა, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ კარგად გამოიკვლია, სავსე იყო იატაკქვეშა ეკლესიისადმი ნეგატიური გავლენით. რუსული იატაკქვეშა ეკლესია ისეთი ძლიერი გახდა, რომ ნახევრად ღიადაც მუშაობდა, კომუნისტებსაც კი აშინებდნენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის თანამედროვე ხელმძღვანელობა პრესის სიზუსტეს ადასტურებს. დაიმახსოვრეთ, დღეს იატაკქვეშა ეკლესია აისბერგს ჰგავს. მისი უმეტესი ნაწილი წყალშია დამალული და ზედაპირზე პატარა ნაწილი მოჩანს.

მომდევნო ფურცლებისათვის შემოვინახე მეოცე საუკუნეში მათი საქმიანობის რამდენიმე მაგალითი.

აისბერგის წვერი

1966 წლის 7 ნოემბერს, სოხუმში, იატაკქვეშა ეკლესიამ ღია ცის ქვეშ გამართა შეხვედრა. მრავალი მორწმუნე მოვიდა სხვა ქალაქებიდან ამ შეხვედრაზე დასასწრებად. დამაფიქრებელი ქადაგების შემდეგ, ორმოცდაშვიდი ახალგაზრდა მოინათლა შავი ზღვის სანაპიროზე, ისე როგორც ბიბლიაშია.

კომუნისტური დიქტატურიდან ათეული წლების შემდეგ არც ბიბლიები იყო, არც სხვა ქრისტიანული ლიტერატურა, არც სემინარია, რის გამოც იატაკქვეშა ეკლესიის ღვთისმსახურები ვერ არიან თეოლოგიაში განსწავლულები. არც დიაკონი ფილიპე იყო გამონაკლისი. მიუხედავად ამისა, მცირე ხნით საუბრის შემდეგ, საჭურისმა, უთხრა ფილიპეს: „შეხედე, აი, წყალი. რა მაბრკოლებს რომ მოვინათლო?“ ფილიპემ თქვა, თუ მთელი გულით გჯერა, შეგიძლია“... და ორივე წყალში ჩავიდნენ და საჭურისი მოინათლა“ (საქმე 8,36-38).

შავ ზღვაზე საკმარისი წყალია ნათლობისათვის და იატაკქვეშა ეკლესიამაც დაიწყო ბიბლიური მეთოდების გამოყენება. დღეს კომუნისტური პარტია აღარ მმართველობს რუსეთში, მაგრამ ქრისტიანებს მაინც დევნიან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

„უჩიტელსკაია გაზეტა“ (1966 წ. 22 აგვისტო) აცხადებს, რომ ბაპტისტების მიერ დემონსტრაციები გაიმართა ქუჩებში როსტოვიდან დონამდე. ისინი უარყოფენ თემების რეგისტრაციას და კომუნისტების მიერ დანიშნული ეგრეთ წოდებული „ლიდერების“ მორჩილებას.

ეს მოხდა პირველ მაისს. როგორც იესომ მოახდინა სასწაული შაბათს ფარისეველი მოწინააღმდეგეების გამოსაწვევად, ასევე იატაკქვეშა ეკლესია ირჩევს დღესასწაულებს კომუნისტური კანონების გამოსაწვევად. პირველი მაისი არის კომუნისტების დემონსტრაციის დღე, რომელშიც ყველა მონაწილეობს. პარალელურად ამ დღეს, მეორე ძალა – იატაკქვეშა ეკლესია – გამოჩდა ქუჩებში.

გამოსვლაზე ათას ხუთასი მორწმუნე მოვიდა. მათი შეკრების მიზეზი ღმერთის სიყვარული იყო. იცოდნენ, რომ თავისუფლებას რისკის ქვეშ აყენებდნენ, ციხეში შიმშილი და წამება ელოდათ.

ყველა მორწმუნემ იცოდა რუსეთში ევანგელისტი ქრისტიანების მიერ ბარნაულში დაბეჭდილი „ფარული მანიფესტი“, სულიერი დის, ჰმარნას, მდგომარეობა სოფელ კულუნდაში. ქალის მეუღლე ციხეში გარდაიცვალა და ოთხ მცირეწლოვან შვილთან მარტო დარჩა. ქალმა ქმრის გვამზე ხელბორკილების კვალი ნახა. ხელები, თითები და ფეხის გულები საშინლად დამწვარი ჰქონდა. მუცლის ქვემოთ დანის ნაჭრილობევი ეტყობოდა. მარჯვენა ფეხი დასიებოდა. ორივე ფეხზე ცემის კვალი ემჩნეოდა. მთელი სხეული დაფარული იყო საშინელი წამების კვალით.

ყველა მორწმუნემ იცოდა, რომ მათაც მსგავსი ბედი ელოდათ ამ სახალხო გაფიცვაში მონაწილეობისათვის, მაგრამ მაინც მოვიდნენ.

ისიც იცოდნენ, რომ ამ წამებულმა ქრისტეს შესწირა სიცოცხლე მოქცევიდან სამი თვის შემდეგ. უამრავი ხალხი დაესწრო დაკრძალვას და ყოველმა მათგანმა მიიღო ბროშურა წარწერით: „ვინაიდან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი მონაგები“ (ფილიპელთა 1,21); „ნუ გეშინაით მათი, ვისაც სხეულის მოკვლა შეუძლია და სულისა არა“ (მათე 10,28); „სამსხვერპლოს ქვეშ დავინახე სულები დახოცილთა ღვთის სიტყვისათვის და მოწმობისათვის“ (გამოცხადება 6,9). ამ წამებულის მაგალითმა შთააგონა როსტოველები. ხალხი პატარა სახლის გარშემო შეიკრიბა. ზოგიერთები ახლომდებარე სახლის სახურავებზე ავიდნენ, სხვები ხეებზე, როგორც ზაქე. ოთხმოცამდე ადამიანი მოექცა იმ დღეს, უმეტესად ახალგაზრდები. ამათგან ოცდასამი ყოფილი კომკავშირელი იყო.

ქრისტიანებმა ფეხით გაიარეს ქალაქიდან მდინარე დონამდე, სადაც ახალი მორწმუნეები მონათლეს.

მილიციით სავსე მანქანებიც მალე გამოჩნდა. ძალოვანებმა ალყა შემოარტყეს მორწმუნეებს დასაპატიმრებლად (ათას ხუთასივეს დაპატიმრება არ შეეძლოთ!) მორწმუნეებმა სასწრაფოდ მოიყარეს მუხლი სალოცავად და ღმერთს დაცვას და მსახურების შეუფერხებლად ჩატარებას სთხოვდნენ. შემდეგ და-ძმები მხარდამხარ დადგნენ, გარს შემოევლენ მსახურების წინამძღოლ ძმებს, იმედოვნებდნენ, რომ

მილიციას ხელს შეუშლიდნენ მათ დაპატიმრებაში. სიტუაცია ძალიან დაიძაბა.

„უჩიტელსკაია გაზეტა“ იუწყებოდა, რომ „არალეგალურ“ ბაპტისტურ ორგანიზაციას როსტოვში აქვს ბეჭდვითი ორგანო (რუსეთში სიტყვა „ბაპტისტი“ მოიცავდა ევანგელისტებს და ორმოცდაათიანელებს). ამ ფარულ გამოცემაში, ახალგაზრდებს მოუწოდებდნენ რწმენის დაცვას და ქრისტიან მშობლებს სთხოვდნენ (რასაც მეც ვეთანხმები) „წაეყვანათ ბავშვები გასვენებაზე დასასწრებად და აღარ ედარდათ წარმავალ საგნებზე“. მშობლებს მოუწოდებდნენ შვილებისათვის მიეცათ რელიგიური განათლება, კომუნისტების მიერ ჩანერგილი ათეიზმის აღმოსაფხვრელად, რომლითაც კომუნისტურ სკოლებს წამლავდნენ.

„უჩიტელსკაია გაზეტა“ სტატიას ამთავრებდა კითხვით „რატომ არიან მასწავლებლები მოკრძალებული იმ ოჯახის ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელთა შვილებიც მოწამლული არიან იდიოტიზმით?“

„უჩიტელსკაია გაზეტა“ ფარული ნათლობის გამო იატაკქვეშა მუშაკების სასამართლოზე მომხდარს აღწერდა: „ახალგაზრდა მორწმუნეებმა კომუნისტური სასამართლოს მოძულეებს დაუძახეს. მოსულები უტიფრად იქცეოდნენ. სპექტაკლის მომწყობი ახალგაზრდა ქალები აღტაცებული მზერით უყურებდნენ მომხრეებს და დამამცირებელი თვალით კი ათეისტებს“.

რუსეთში, კომუნისტური პარტიის მთავარი ოფისის წინ იატაკქვეშა ეკლესიის წევრები ცემისა და დაპატიმრების რისკის მიუხედავად, კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ თავისუფლების მოთხოვნით.

ჩვენ ვფლობთ დოკუმენტს, რომელიც ფარულად გადაიტანეს დასავლეთში. ეს დოკუმენტი ეკუთვნის „არალეგალურ“ ევანგელურ–ბაპტისტური ეკლესიების საბჭოს.

(კომუნისტების კონტროლირებადმა „ბაპტისტურმა კავშირმა“ წინააღმდეგობა გაუწია ხელმძღვანელ, მოღალატე კარევს, რომელიც ადიდებდა მასებისა და ქრისტიანების მკვლელ კომუნისტებს და ხოტბას ასხამდა არსებული „თავისუფლებისათვის“).

ამ დოკუმენტში საუბარია მოსკოვში გამართულ მეორე გმირულ სახალხო დემონსტრაციაზე.
მანიფესტის თარგმანი:

სასწრაფო ინფორმაცია

„საყვარელო ძმებო და დებო, კურთხევა და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალ იესო ქრისტესაგან. ერთი სული გვაქვს გაცნობოთ, რომ ევანგელურ–ბაპტისტური ეკლესიების დელეგატებმა, ხუთასმა კაცმა, სვლა მოაწყო მოსკოვში 1966 წლის 16 მაისს. ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობაში შევიდნენ. მოითხოვეს მიეღოთ და მოესმინათ.

და გადავეცით თხოვნის წერილი გენერალური მდივნის, ბრეჟნევის, სახელზე.
ეს ხუთასი კაცი მთელი დღე შენობის წინ იდგა. ეს იყო პირველი დემონსტრაცია მოსკოვში კომუნისტების წინააღმდეგ. რაც იატაკქვეშა ეკლესიის დელეგაციის მიერ იქნა ორგანიზებული. დღის დასასრულს მეორე თხოვნის წერილი გადასცეს ბრეჟნევს, რომელშიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ „ამხანაგ“ სტროგანოვზე, რომელმაც უარი განაცხადა თხოვნის ბრეჟნევთან შეტანაზე და ხალხს დაემუქრა.
წვიმაში დილამდე გარეთ დარჩენილი დელეგატები სიტყვიერად შეუაცხყვეს. გამვლელი მანქანები კომუნისტური პარტიის შენობის წინ გაფიცულებს ტალახს ასხამდნენ!
მომდევნო დღეს გაფიცულებს ოფიციალური კომუნისტური პარტიის დაბალ ეშელონებში მიღება შესთავაზეს, ოღონდ შენობაში. „მორწმუნეებმა უარი თქვეს შენობაში შესვლაზე. მათი გამოცდილებით, მთავრობა თვითმხილველების გარეშე გაფიცულების ცემაზე უარს არ იტყოდა და ბრეჟნევთან პირადად შეხვედრას ამჯობინებდნენ“.
შემდეგ მოხდა გარდაუვალი.
1 საათსა და 45 წუთზე, მილიცია მოვიდა ორმოცდახუთი ავტობუსით და სასტიკი შურისძიება გააჩაღა მორწმუნეების

წინააღმდეგ. „ჩვენ წრე შევკარით და ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ, საგალობელი ვიგალობეთ: „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დღეები მაშინაა, როცა ქრისტეს ჯვრის ზიდვის ძალა შეგვწევს“. საიდუმლო პოლიციამ ჩვენი ცემა დაიწყო, არ არჩევდნენ მოხუცსა და ახალგაზრდას. წრიდან გამოჰყავდათ მამაკაცები და სახესა და თავში ცემის შემდეგ ასფალტზე ყრიდნენ. ზოგიერთი ძმა თმებით წაათრიეს ავტობუსისაკენ, მანამდე სცემეს, ვიდრე გონება არ დააკარგვინეს. მანქანები ხალხით გაავსეს და უცნობი ადგილისკენ წაიყვანეს. მიმავალი ავტობუსებიდან ჩვენი და-ძმების გალობა ისმოდა. ამ ამბავს უამრავი გამვლელი შეესწრო“.

შემდეგ უფრო საინტერესო რამ მოხდა. გაფიცვის მონაწილეების დაპატიმრების შემდეგ, ძმა გ. ვინსსა და მეორე ხელმძღვანელ ძმა, ჰორევს (ქრისტეს სამწყსოს ნამდვილი მწყემსები), გამბედაობა ეყოთ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შესასვლელად – როგორც იოანე ნათლისმცემლის დაპატიმრების შემდეგ, იესომ იმავე ადგილზე, იგივე სიტყვებით დაიწყო ქადაგება, რომლისათვისაც მაშინ იოანე ციხეში იჯდა: „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი“ (მათე 4,17).

ვინსმა და ჰორევმა იკითხეს, თუ სად იყვნენ დაპატიმრებული ძმები და მათი გათავისუფლება მოითხოვეს. ეს ორი ჯანღონით სავსე ადამიანი უბრალოდ გაუჩინარდა. ამის შემდეგ ხმა გამოვიდა, რომ ლეფთოროსკაიას ციხეში ისხდნენ.

ეშინოდათ ფარული ეკლესიის წევრებს? არა! სხვებმაც დაუყოვნებლივ გაწირეს საკუთარი თავისუფლება, ჩვენს ხელთ არსებული მანიფესტის დაბეჭდვით. სადაც გვიამბობენ მომხდარის შესახებ და გვამხნევებენ. „ვინაიდან თქვენ ქრისტეს გულისათვის მოგეცათ არა მარტო რწმენა არამედ, მისთვის ტანჯვაც“ (ფილიპელთა 1,29). მანიფესტი მოუწოდებდა ძმებს „რათა არავინ შემდრკალიყო ამ გასაჭირში, ვინაიდან, თვითონ იცით, რომ ჩვენ საამისოდ ვართ დადგენილი“ (1 თესალონიკელთა 3,3). აგრეთვე მოიყვანეს ციტატა ებრაელთა 12,2-დან და მოუწოდეს მორწმუნეებს: „შეხედეთ რწმენის მიზეზსა და სრულმყოფელს – იესოს, რომელმაც მისთვის შეთავაზებული სიხარულის ნაცვლად დაითმინა ჯვარი,

უგულებელყო სირცხვილი და ღვთის ტახტის მარჯვნივ დაჯდა“.
იატაკქვეშა ეკლესია ღიად შეეწინააღმდეგა ახალგაზრდების ათეიზმით მოწამვლის ფაქტებს დონსა და მოსკოვში – მთელს რუსეთში. ეკლესია იბრძვის კომუნისტური ციხეებისა და ოფიციალური ეკლესიის გამყიდველი ლიდერების წინააღმდეგ, რომლის შესახებაც ერთ-ერთ მანიფესტში წერენ: „დღეს, სატანა მბრძანებლობს და „ეკლესია“ იღებს ღვთის მცნებების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს“ (ციტატა „*პრავდა უკრაინადან*“ 1966 წელი 4 ოქტომბერი).
„*პრავდა ვოსტოკამ*“ დაბეჭდა ძმების: ალექსეი ნემეროვისა და ზუბოვის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის რეპორტაჟი. მათ ამერიკიდან სახარების რადიოგადაცემის მოსმენის ორგანიზებისა და გადაცემის მოგვიანებით მოსასმენად ჩაწერისათვის ასამართლებდნენ.
მათ ბრალად ედებოდათ ფარული შეხვედრების მოწყობა „ექსკურსიისა“ და „ათეისტური წრის“ ნიღბით. დიახ, იატაკქვეშა ეკლესია ისე მუშაობს, როგორც პირველი ეკლესია რომის კატაკომბებში.
„*სოვეტსკაია მოლდოვა*“ 1966 წლის 15 სექტემბერს წერდა, რომ იატაკქვეშა ეკლესიამ დაბეჭდა ბუკლეტები. კანონით აკრძალულ სახალხო ადგილებში შეიკრიბნენ ქრისტეს საქადაგებლად.
იგივე გაზეთის მტკიცებით, რენიდან კიშინიოვისაკენ მიმავალ მატარებელზე სამი ახალგაზრდა გოგო და ოთხი ბიჭი ქრისტიანულ საგალობლებს მღეროდნენ. „მოდი, შევწიროთ ახალგაზრდობა ქრისტეს“. რეპორტიორი აღშფოთებული ჩანდა, რადგან ეს ახალგაზრდები ქუჩებში, სადგურზე, მატარებელში, ავტობუსში და სახელმწიფო უნივერსიტეტშიც კი ქადაგებდნენ. კიდევ გავიმეორებ, რომ ეს იყო ფარული ეკლესიის მუშაობა რუსეთში კომუნიზმის დროს.
როდესაც სასამართლოზე მგალობელი ქრისტიანების სასჯელი გამოცხადდა, მსჯავრდადებულები მუხლებზე დაეცნენ და თქვეს: „ღმერთის ხელში გადაგვიცია ჩვენი ცხოვრება. გმადლობთ შენ, უფალო, რომ ნება დაგვრთე შენი რწმენისათვის გვეტანჯა“. შემდეგ სასამართლო დარბაზში აუდიენციამ, ერთი

„ფანატიკოსი“ ქალბატონის ხელმძღვანელობით, ის ჰიმნი იგალობა, რის გამოც მისი და-ძმები დააპატიმრეს ციხეში საწამებლად.

პირველ მაისს სოფელ გოპკაგისა და ზახაროვკას ქრისტიანებმა, ეკლესიის უქონლობის გამო, ტყეში მოაწყვეს საიდუმლო შეხვედრა. დაბადების დღის მოტივითაც აწყობდნენ ანალოგიურ შეხვედრებს (ოთხი-ხუთი წევრისაგან შემდგარი ქრისტიანების ოჯახებს ოცდათხუთმეტი „დაბადების დღე“ ჰქონდათ წელიწადში).

იატაკქვეშა ეკლესიის წევრებს არ ეშინიათ არც ციხის და არც წამების. როგორც პირველი ეკლესიის დროს, დევნა უფრო აძლიერებს ეკლესიას.

1966 წლის 4 ოქტომბრის *„პრავდა უკრაინი“* ამბობდა ძმა პროკოფიევზე – იატაკქვეშა ეკლესიის ერთ-ერთ ლიდერზე – უკვე ოთხჯერ იჯდა ციხეში, მაგრამ გათავისუფლებისთანავე, საკვირაო სკოლის ორგანიზებას იწყებდა და ხელახლა აპატიმრებდნენ. პროკოფიევმა ფარულ მანიფესტში დაწერა: „ადამიანური კანონების დამორჩილებაში ოფიციალურმა ეკლესიამ საკუთარი თავი ჩამოაშორა ღვთის კურთხევას“.

როდესაც დასავლეთში გაიგებ, რომ ძმა დააპატიმრეს, ვერ წარმოიდგენ როგორ აწამებენ მას ციხეში. იმ ქვეყნებში, სადაც ციხე ნიშნავს შიმშილს, წამებას და ტვინის რეცხვას.

„ნაუკა ი რელიგიის“ 1966 წლის მეცხრე ნომერი გვატყობინებს, რომ ქრისტიანებმა სახარებისეული ლიტერატურა გაავრცელეს ჟურნალ *„ოგონიოკის“* ყდით – პერიოდული გამოცემა, როგორც Look or Time. ლევ ტოლსტოის რომანი „ანა კარენინას“ ყდაში გახვეულ ბიბლიურ ლიტერატურასაც ავრცელებდნენ.

ვამატებთ, რომ ქრისტიანები სახალხოდ მღეროდნენ საგალობლებს. „ინტერნაციონალის“ ტონზე, ქრისტეს სადიდებელ სიტყვებს გალობდნენ („ყაზახეთის პრავდა“, 1966 წლის 30 ივნისი). კულუნდაში (ციმბირი) დაბეჭდილ არალეგალურ წერილში, ქრისტიანები ამბობენ, რომ „ბაპტისტების“ ოფიციალურმა ხელმძღვანელობამ „დაანგრია ეკლესიები და მისი ნამდვილი მორწმუნეები, ისევე როგორც მღვდლმთავრებმა, ფარისევლებმა და მწიგნობრებმა გადასცეს

იესო პილატეს“, მაგრამ ერთგული ეკლესია აგრძელებს საქმიანობას!

ქრისტეს საპატარძლო აგრძელებს მეფის მსახურებას. თვით კომუნისტებმა აღიარეს, რომ იატაკქვეშა ეკლესიამ კომუნისტები შეიძინა ქრისტესათვის. შესაძლებელია მათი ქრისტესთან მიყვანა!

„ბაკინსკი რაბოჩიე“ 1966 წლის 27 აპრილს აქვეყნებს გაქრისტიანებული კომკავშირელის ტანია ციუგუნოვას წერილს. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა კომუნისტურ მთავრობას: „ძვირფასო ნადია დეიდა, მოკითხვას გითვლი ჩვენი საყვარელი უფლის სახელით. დეიდა ნადია, *როგორ უყვარვარ მას*! ჩვენ არაფერი ვართ მის წინაშე. დეიდა ნადია, მჯერა, რომ გესმის ამ სიტყვების – „შეიყვარე შენი მტრები, დალოცე შენი მაწყევრები, კეთილი უყავი შენს მოძულეებს და ილოცეთ თქვენი მდევნელებისათვის“.

მას შემდეგ, რაც ეს წერილი გამოქვეყნდა, პეტრე სერებრენიკოვი, რომელმაც ეს გოგონა და სხვა კომუნისტები ქრისტესთან მიიყვანა, ციხეში გაამწესეს. კომუნისტურმა გაზეთმა ციტატა მოიყვანა სერებრენიკოვის ქადაგებიდან: „ჩვენც ისე უნდა გვჯეროდეს მხსნელის, როგორც პირველ ქრისტიანებს. ჩვენთვის პრინციპული კანონი არის ბიბლია, სხვას არ ვაღიარებთ. უნდა ვიჩქაროთ და დავიხსნათ ადამიანები ცოდვისაგან, განსაკუთრებით ახალგაზრდობა“. მქადაგებელი ამბობს, რომ საბჭოთა კანონი კრძალავს ახალგაზრდებისათვის ქრისტეს ქადაგებას და ამატებს: „ჩვენთვის ერთადერთი კანონი არის ბიბლია!“ – შესანიშნავი პასუხია იქ, სადაც დიქტატურა ბატონობს.

კომუნისტური გაზეთი აღწერს „სასტიკ“ სურათს: „ახალგაზრდა გოგო-ბიჭები სულიერ საგალობლებს მღერიან. სულიერ ნათლობას იღებენ და მტრის სიყვარულის მცნებას იცავენ“. სტატია აცხადებდა, რომ კომკავშირული ორგანიზაციის წევრი გოგო-ბიჭები სინამდვილეში ქრისტიანები არიან! სტატია მთავრდებოდა სიტყვებით: „როგორი უძლური უნდა იყოს კომუნისტური სკოლა, როგორი მოსაწყენი და სინათლეს ჩამოშორებული, რომ ხუცესებს შეუძლიათ თვალსა და ხელსშუა მოიტაცონ მოწაფეები, განსხვავებული სწავლებისათვის“.

„ყაზახეთის პრავდა“ 1966 წლის 30 ივნისი – კომუნისტებმა გამოხატეს შიში, იმის გამო რომ საუკეთესო მოსწავლე იყო ქრისტიანი ბიჭი!

„ყირგიზეთის პრავდა“, 1966 წლის 17 იანვარი, ციტატა ეკლესიის წევრ დედებისადმი წერილიდან: „მოდი, გავერთიანდეთ ჩვენი ძალისხმევით და ლოცვით, მივუძღვნათ ღმერთს ჩვენი შვილების ცხოვრება ჯერ კიდევ აკვნიდან; მოდი, დავიხსნათ ჩვენი შვილები მსოფლიოს გავლენისაგან“.

ამ ძალისხმევას სასურველი შედეგი მოჰყვა. კომუნისტურ გაზეთს შეუძლია აიტანოს აზრი, რომ ქრისტიანობამ პოპულარობა მოიპოვა ახალგაზრდობაში!

რუსული გაზეთი კალიაბინსკიდან იუწყება, თუ როგორ გახდა ახალგაზრდა კომუნისტი გოგონა, ნინა, ქრისტიანი ფარულ შეხვედრაზე დასწრების შედეგად.

„საბჭოთა იუსტიციის“ 1966 წლის მეცხრე ნომერი აღწერს იატაკქვეშა ეკლესიის ასეთ შეხვედრას: „ღამე გაიმართა კრება მალულად, საკუთარ ჩრდილსაც კი უფრთხოდნენ, ადამიანები სხვადასხვა ადგილიდან მოვიდნენ. ძმებმა დაბალჭერიანი, ბნელი ოთახი გაავსეს. იმდენი ადამიანი მოვიდა, რომ მუხლისმოსაყრელად ადგილი აღარ დარჩა. ჟანგბადის სიმცირის გამო ლამფის შუქი ჩაქრა. დამსწრეებს ოფლი სდიოდათ სიცხისაგან. ერთი ღვთისმსახური, ქუჩაში იდგა პოლიციის მოლოდინში“. ნინამ თქვა, რომ დიდი სითბოთი და მზრუნველობით მიიღეს „მათ ნათელი რწმენა ჰქონდათ – ღვთის რწმენა, როგორიც ახლა მე მაქვს. ის გვიცავს ჩვენ. დაე, კომკავშირელებმა, რომლებიც მიცნობენ და გამარჯობის გარეშე ჩამივლიან გვერდს! დაე, შემომხედონ და დამიძახონ „ბაპტისტი“ – თითქოს გაბრაზებულებმა წამოგარტყესო! დაე, გააკეთონ ის, რაც სურთ! არ მაინტერესებს“.

ნინას მსგავსად ბევრმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა სიკვდილამდე ემსახურა ქრისტესთვის. 1967 წლის 18 აგვისტოს *„ყაზახეთის პრავდა“* აღწერს ძმების: კლასსენის, ბონდარის და ტელეგინის სასამართლოს. სასჯელი არ გამოაცხადეს, მაგრამ დანაშაული კი გამოაქვეყნეს: ბავშვებს ასწავლიდნენ ქრისტეს შესახებ.

„საბჭოთა ყირგიზეთი“ 1967 წელი, 15 ივნისი, უკმაყოფილებას გამოხატავდა, რომ ქრისტიანები „საკუთარი თავის წინააღმდეგ

ოფიციალური პირების პროვოკაციას იწვევენ“. გამუდმებით ეწევიან უდანაშაულო კომუნისტური ხელისუფლების პროვოკაციას, რათა დააპატიმრონ ქრისტიანები, არსებული თავისუფლებით უკმაყოფილო, ჯიუტი ქრისტიანების ქმედების საფუძველზე, სახეზეა მორიგი დაპატიმრებული ჯგუფი. მათი დანაშაულია არალეგალური პრესის საბეჭდი მოწყობილობის ქონა, კერძოდ, ოცზე მეტი საბეჭდი მოწყობილობა, რითაც ქრისტიანული ლიტერატურა იბეჭდებოდა. 1968 წლის 21 თებერვლის „პრავდა“ იუწყებოდა, რომ ათასობით ქალები და გოგონები ნახეს, ქამრებსა და ყელსახვევებზე ამოქარგული ბიბლიის მუხლებით. ხელმძღვანელობამ გამოიძია და მიაგნო ახალი მოდის წამომწყებ პირს, ვისაც დასავლეთშიც გავუწევდი რეკომენდაციას. საიდუმლო პოლიციის წარმომადგენელი, ძმა სტასიუკი ლიბერთციდან. გაზეთმა მისი დაპატიმრების შესახებ განცხადება გააკეთა.

პასუხები, რომელსაც იატაკქვეშა ეკლესიის წევრები იძლევიან სასამართლოს წინაშე, სულიერად შთამაგონებელია. ერთმა მოსამართლემ დაიჟინა: „რატომ იზიდავ ხალხს შენს აკრძალულ სექტაში?“ ქრისტიანმა დამ უპასუხა: „ჩვენი მიზანია მთელი მსოფლიოს ხალხების ქრისტესთან მიყვანა“.

„თქვენი რელიგია ანტიმეცნიერულია“, – წამოაყენა მოსამართლემ წინადადება, ერთ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც განსასჯელმა – სტუდენტმა გოგონამ – უპასუხა: „აინშტაინზე დიდ მეცნიერს იცნობთ? ნიუტონზე? ისინიც მორწმუნეები იყვნენ. ჩვენი სამყარო ატარებს აინშტაინის სახელს. სკოლაში ვისწავლე, რომ მისი სახელია აინშტაინელების სამყარო“. აინშტაინი წერს: „თუ იუდაიზმს გავწმენდთ წინასწარმეტყველებებისაგან და ქრისტიანობას, როგორც ეს ქრისტემ გვასწავლა, შემდგომი მინარევებისაგან, განსაკუთრებით სამღვდელოების საერო საქმეებში ჩარევისაგან, მივიღებთ რელიგიას, რომელიც იხსნის მსოფლიოს ნებისმიერი სახის სოციალური ბოროტებისაგან. ყოველი ადამიანის სულიერი მოვალეობაა თავისი წვლილი შეიტანოს რელიგიის გამარჯვებაში“. გაიხსენეთ ჩვენი დიდი ფიზიოლოგი პავლოვი! განა ჩვენი წიგნები არ ამბობენ რომ ქრისტიანი იყო? მარქსიც კი თავისი წიგნის – *„კაპიტალის“ – შესავალში*

ქრისტიანობაზე ამბობს, განსაკუთრებით პროტესტანტიზმზე ამახვილებს ყურადღებას: პროტესტანტიზმი არის იდეალური რელიგია ცოდვისაგან დანგერული ხასიათების ხელახლა აღსადგენად. „ჩემი ხასიათი ცოდვამ გაანადგურა. მარქსმა მასწავლა გავმხდარიყავი ქრისტიანი ხასიათის გამოსწორების მიზნით. როგორ შეგიძლიათ, მარქსისტებმა, ამისათვის გამასამართლოთ?“

ადვილია იმის მიხვედრა, თუ რატომ არ გაიღო ხმა მოსამართლემ.

ანტიმეცნიერული რელიგიის მიღების ბრალდებაზე, ერთმა ქრისტიანმა სასამართლოს უპასუხა: „დარწმუნებული ვარ, ბატონო მოსამართლევ, რომ ისეთი დიდი მეცნიერი არა ხართ როგორც სიმფსონი, ქლოროფორმისა და სხვა მრავალი წამლის აღმომჩენი. როდესაც ჰკითხეს, თუ რა იყო მისი ყველაზე დიდი აღმოჩენა, უპასუხა: „ეს არ იყო ქლოროფორმი. ჩემი ყველაზე დიდი აღმოჩენა იყო იმის გაგება, რომ ცოდვილი ვარ და ღვთის მადლით გადავრჩები“.

ქრისტიანული ცხოვრება, საკუთარი თავის მიძღვნა, სისხლი, რომლის დასაღვრელადაც მორწმუნეები მზად არიან, საკუთარი რწმენის დასაცავად, არის იატაკქვეშა ეკლესიის ქრისტიანების არგუმენტი, რაზეც აფრიკელი მისიონერი, ალბერტ შუეიცერი ამბობდა: „ტკივილიან ადამიაინებთან ურთიერთობა“ – ურთიერთობა, რომელშიაც წამებული ქრისტე მონაწილეობდა. ფარული ეკლესია სიყვარულით არის გაერთიანებული მხსნელთან. იგივე სიყვარული აკავშირებთ ეკლესიის წევრებს ერთმანეთთან. ამ დედამიწაზე არავის შეუძლია მათი დამარცხება.

ფარულად გაგზავნილ წერილში ეკლესია ამბობს: „ჩვენ ვლოცულობთ არა მხოლოდ იმისთვის, რომ გავხდეთ უკეთესი ქრისტიანები, არამედ იმისთვის, რომ ვიყოთ ისეთები, როგორებიც ღმერთს უნდა – ქრისტეს მსგავსნი და საკუთარი სურვილით ვატაროთ ჯვარი ღვთის სადიდებლად“.

ქრისტიანები არასოდეს არ ასმენდნენ ეკლესიის ლიდერებს სასამართლოზე, რასაც იესოს სწავლების მეშვეობით, იქედნეთა სიბრძნით ახერხებდნენ.

გაზეთმა *„პრავდა ვოსტოკამ“* 1966 წლის 15 იანვრის ნომერში

გამოაქვეყნა ამონარიდები მარია შევჩუკის სასამართლო პროცესიდან:
– როგორ გახდით ქრისტიანი?
– ღმერთმა მიმიზიდა კრებულისაკენ.
– ვინ არის თქვენი ხელმძღვანელი?
– ჩვენი ხელმძღვანელი ადამიანი არ არის.
როცა ქრისტიან ბავშვებს ჰკითხეს, თუ ვინ ასწავლა მათ პიონერთა რიგების დატოვება და წითელი ყელსახვევების მოხსნა, ბავშვებმა უპასუხეს: „ეს ჩვენი თავისუფალი სურვილით გავაკეთეთ. არავის უსწავლებია“.
ზოგიერთ ადგილას „აისბერგის“ წვერი გამოჩნდა. ქრისტიანებმა, ლიდერები რომ არ დაეპატიმრებინათ, თვითნათლობას მიჰყვეს ხელი. ხანდახან მოსანათლი და მომნათლავი მდინარეზე ნიღბით მივიდოდნენ ხოლმე, რომ სურათშიც კი ვერავის ამოეცნო.
„უჩიტელსკაია გაზეტა“ 1964 წლის 30 იანვრის ნომერში იტყობინებოდა, რომ ვოლნეჩინო-კორსკის რეგიონში, სოფელ ვორონინში, ათეისტური ლექცია გაიმართა. ლექციის დამთავრებისთანავე, მორწმუნეებმა კითხვებით შეუტიეს ლექტორს, რომლებზეც ათეისტმა ლექტორმა ვერ უპასუხა. მათ იკითხეს: „საიდან მიიღეთ კომუნისტებმა მორალური პრინციპები, რომლებსაც ასწავლით და თვითონ არ ემორჩილებით – როგორიცაა: „არ იქურდო, არ მოკლა?“ ქრისტიანებმა ლექტორს დაანახეს, რომ ეს პრინციპები იმ ბიბლიიდანაა, რომელსაც კომუნისტები ეწინააღმდეგებიან. მომხსენებელი დაიბნა და ლექცია მორწმუნეების გამარჯვებით დამთავრდა!

იატაკქვეშა ეკლესიის დევნა გრძელდება

ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში ქრისტიანებს ჯერ კიდევ დევნიან. მსგავსი რეჟიმის სხვა ქვეყნებშიც მსგავსი სურათი გვაქვს. დაახლოებით 160 000 ქრისტიანი აწამეს 1997 წელს. ქრისტიანებისათვის გულსატკენია კომუნისტების მიერ ებრაელების ხოცვის ფაქტების მოსმენა. მაგრამ მათი ძირითადი სამიზნე ფარული

ეკლესიაა. წლების წინ საბჭოთა პრესამ გამოაქვეყნა მასების დაპატიმრების ინფორმაცია. ოთხმოცდაორი ქრისტიანი ჰყავდათ საგიჟეში, ერთ ოთახში. ოცდაოთხი გარდაიცვალა „გრძელი ლოცვების“ შედეგად! ნუთუ ოდესმე ვინმეს სჯეროდა, რომ „გრძელი ლოცვა“ ადამიანს კლავს და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა გამოიარეს ამ ადამიანებმა?

კომუნიზმის მმართველობის ხანაში საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების დეკლარაციას „განათლების დისკრიმინაციის წინააღმდეგ“, რომელშიც ნათქვამი იყო: „მშობლებს უფლება ეძლევათ შვილებს მისცენ განათლება თავიანთი რელიგიური და მორალური შეხედულებებისამებრ“.

ერთ სტატიაში, მოღალატე კარევი – საბჭოთა კავშირის ბაპტისტური კავშირის ოფიციალური ხელმძღვანელი – წერდა, რომ ეს აზრი სინამდვილეს შეეფერებოდა საბჭოთა კავშირში. სულელებმაც მას დაუჯერეს! ახლა ვნახოთ, რას წერდა საბჭოთა პრესა.

„სოვეტსკაია როსიას“ (1963 წ. 4 ივნისი) წერდა, თუ როგორ წაართვეს ბაპტისტ დედას – მაკრინკოვას ექვსი შვილი იმის გამო, რომ შვილებს ქრისტეს შესახებ ესაუბრებოდა და პიონერული ყელსახვევის ტარებას უშლიდა.

შვილების ინტერნატში სასწავლო თანხის გადახდა დააკისრეს სასჯელად, რათა ათეისტი დედისაგან დამოუკიდებლად მისცემოდათ მის შვილებს სწორი აღზრდის შესაძლებლობა. ამის მოსმენისას დედამ თქვა: „რწმენისათვის ვიტანჯები!“ წარმოიდგინეთ ქრისტიანი დედის აგონია!

„უჩიტელსკაია გაზეტა“ წერდა, რომ მსგავსად მოექცნენ იგნატი მულინსა და მის მეუღლეს. მოსამართლემ რწმენაზე უარის თქმა მოსთხოვა მშობლებს შვილებთან ცხოვრების სანაცვლოდ: „აირჩიე, ან ღმერთი ან შენი ქალიშვილი. ღმერთს ირჩევ?“ მამამ უპასუხა: „რწმენას არ უარვყოფ“.

პავლე ამბობს: „ყოველივე სასიკეთოდ ეწევათ ღმერთის მოყვარულებს“ (რომაელთა 8,28). მრავალი ასეთი ბავშვი მინახავს ქრისტიან მშობლებს დაშორებული და კომუნისტურ სკოლაში აღსაზრდელად წაყვანილი. ათეიზმის მიღების ნაცვლად ბავშვები სახლში მიღებულ რწმენას გადასცემდნენ თანასკოლელებს!

ბიბლია ამბობს: „ვისაც თავისი შვილი ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი“ (მათე 10,37). ამ სიტყვებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დამონებულ ერებში.

უბრალოდ, სცადე და ერთი კვირა გაატარე შენი შვილების გარეშე! მერე უთანაგრძნობ სულიერი და-ძმების კომუნისტურ ქვეყნებში ტანჯვას. ქალბატონ სიტშს ვაჟი უბრალოდ იმიტომ წაართვეს, რომ ღვთის რწმენით იზრდებოდა „*ზნანიე იუნოსტი*“ (1967 წ. 29 მარტი). ხაბაროვსკელ ქალბატონ ზაბავინას ობოლი შვილიშვილი ტანია წაართვეს, რადგან ბებიისაგან „არაბუნებრივ განათლებას“ იღებდა (1968 წ. 13 იანვარი „*სოვეტსკაია როსია“)*. ქრისტიანი მშობლების შვილების აღზრდის საკითხებში უფლებები დღესაც ირღვევა იმ ქვეყნებში, სადაც დიქტატორული ხელისუფლება მმართველობს.

უსამართლობა იქნება მხოლოდ ფარულ პროტესტანტულ ეკლესიაზე ლაპარაკი.

ამ დროს რუსეთში მართლმადიდებლური ეკლესია საერთოდ შეიცვალა. მილიონობით მართლმადიდებელი ციხეში მოხვდა. აღარც საკმეველი და სანთელი, აღარც წარმოდგენები ჯვარცმასა და სიწმინდეზე. უბრალო მორწმუნეები ხელდასხმული მღვდლების გარეშე დარჩნენ ციხეებში. მღვდლებს არ ჰქონდათ მანტიები, ზიარების პური და ღვინო, აღარც წიგნები მსახურების ჩასატარებლად. ამ დროს მღვდლებმა აღმოაჩინეს, რომ ღმერთთან პირდაპირი ლოცვის შედეგად შეიძლებოდა ამ ნაკლოვანებების შევსება. მართლმადიდებლებმა ლოცვა დაიწყეს და ღმერთმა კი მათზე სულიწმიდა გადმოღვარა. ნამდვილი სულიერი გამოღვიძება დაიწყო რუს მართლმადიდებლობაში კომუნიზმის პერიოდში, ისევე როგორც ფუნდამენტალურ ქრისტიანებში.

რუსეთსა და მის მოკავშირე ქვეყნებში არსებობდა ფარული მართლმადიდებლური ეკლესია, ევანგელური, ფუნდამენტალური და ღმერთთან ახლოს მყოფი. იმ დროისათვის ნაკლებად შეიძლებოდა რიტუალური მსახურების ჩატარება. მართლამდიდებლურ ფარულ ეკლესიას ჰყავდა წამებულები. ვინ იტყვის, რა დაემართა მოხუც არქიეპისკოპოს ერმოგენეს კალუგაში, რომელმაც გაბედა და შეეწინააღმდეგა



გამყიდველი ეპისკოპოსისა და უღმერთო კომუნისტური მთავრობის თანამშრომლობას?

კომუნისტური საბჭოთა კავშირის მმართველობის სამოცდაათწლიანი დასასრულის ბოლოს, 90-იან წლებში, რუსული პრესა სავსე იყო ფარული ეკლესიის გამარჯვების მომცველი სტატიებით. ეკლესიამ ენით აუწერელი სირთულეები გამოიარა, მიუხედავად ამისა, მაინც ერთგული დარჩა და გაიზარდა.

რუმინეთში შემოსულ რუს ჯარისკაცებში დავთესეთ ღვთის სიტყვა. იგივე გააკეთეს სხვებმაც რუსეთში და რუსებისაგან დაპყრობილმა სხვა ქრისტიანულმა ქვეყნებმა. იმ წლებში დათესილმა მარცვალმა ბევრი ნაყოფი გამოიღო.

კომუნისტები თუ სხვა დამონებული ერები ნამდვილად შეიძლება შევიძინოთ ქრისტესათვის. ჩვენი მტრები შეიძლება გახდნენ ქრისტიანები. ასევე მათ მიერ დამონებული ხალხიც, თუკი ჩვენ დავეხმარებით.

რუსეთში კომუნიზმის ეპოქაში ფარული ეკლესიის გაძლიერებას ისიც ადასტურებს, რომ მსგავსი პროცესი მიმდინარეობს აზიასა და შუა აღმოსავლეთში.

ქრისტიანების საშინელ მდგომარეობაზე წარმოდგენა რომ შეგექმნათ, ქვემოთ მოვიყვან რუსი გოგონების ციხიდან გამოგზავნილ რამდენიმე წერილს.

როგორ იპოვა კომუნისტმა გოგონამ ქრისტე

პირველი სამი წერილი ეკუთვნის მარიას, რომელიც კომკავშირის წევრ გოგონას დაეხმარა ქრისტეს მიღებაში.

წერილი პირველი

...ვაგრძელებ ცხოვრებას. აქ ყველას ძალიან ვუყვარვარ, კომკავშირელ თანასაკნელსაც კი. მან მითხრა: „არ მესმის როგორი ადამიანი ხარ. ბევრი გამცირებს და გულს გტკენს, მაგრამ მაინც ყველა გიყვარს“. მე ვუპასუხე, რომ ღმერთმა გვასწავლა ყველას სიყვარული, არა მარტო მეგობრების, არამედ მტრებისაც. ადრე ამ გოგონამ ბევრჯერ მაწყენინა, რის გამოც განსაკუთრებით ვლოცულობდი მისთვის.

ერთხელ მან მკითხა, მიყვარს თუ არა იგი. საპასუხოდ გადავეხვიე და ორივემ ტირილი დავიწყეთ. დღეს ორივე ერთად ვლოცულობთ.
გთხოვთ ილოცოთ მისთვის. მისი სახელია ვარია.
როცა უსმენ ადამიანებს, ხმამაღლა რომ უარყოფენ ღმერთს, მართალი გგონია, მაგრამ ცხოვრება გიჩვენებს, რომ მრავალ მათგანს, წარმოთქმულის მიუხედავად, გულში ღვთის დიდი წყურვილი აქვს. გესმის მათი გულის ძახილი, რაღაცას ეძებენ და სურთ, რომ შინაგანი სიცარიელე უღმერთობით დაფარონ.

შენი სულიერი და მარია.

მეორე წერილი

ძველ წერილში მოგწერე ათეისტ გოგონაზე, ვარიაზე. ახლა ერთი სული მაქვს, როდის შეგატყობინებ ჩემი სიხარულის შესახებ. ვარიამ პირად მხსნელად მიიღო ქრისტე. ახლა ყველას დაუფარავად უმოწმებს ამის შესახებ.
ქრისტეს რწმენის და ხსნის სიხარულთან ერთად უსიხარულობაც დაეუფლა. უსიხარულობა იმიტომ, რომ აქამდე ღმერთის არარსებობაზე ეწეოდა პროპაგანდას; ახლა გადაწყვიტა, რომ დანაშაულის შეგრძნებაზე მაღლა დადგეს. ათეისტურ შეხვედრაზე ერთად წავედით. გავაფრთხილე, გაჩუმებულიყო, მაგრამ ვარია შორს წავიდა. აინტერესებდა, რა მოხდებოდა. კომუნისტური ჰიმნის სიმღერის შემდეგ (ვარიას არ უმღერია) კრების წინ გამოვიდა. დიდი ენთუზიაზმითა და მხნეობით დაიწყო შეკრებილებისათვის მისი მხსნელის, ქრისტეს შესახებ საუბარი. ყოფილ მეგობრებს პატიებას სთხოვდა, რომ აქამდე სულის თვალები დახუჭული ჰქონდა, თვითონაც უარყოფდა ღმერთს და სხვებსაც იგივეს სთხოვდა. მეგობრებს ეხვეწებოდა ცოდვიანი ცხოვრება მიეტოვებინათ და ქრისტეს გაჰყოლოდნენ.
ყველა გაჩუმებული და მონუსხული უსმენდა. როცა ლაპარაკი დაამთავრა, ქრისტიანული საგალობელი იმღერა თავისი ლამაზი ხმით. „არ მრცხვენია განვადიდო ქრისტე, ჩემთვის ჯვარზე მოკლული. თვისი მცნებებისა და ძალის ჯვარზე დამცველი“.
და შემდეგ... და შემდეგ მათ ჩვენი ვარია წაიყვანეს.



დღეს 9 მაისია. არაფერი არ ვიცით მის შესახებ. მხოლოდ ღმერთს ძალუძს მისი დახსნა. ილოცეთ!

თქვენი მარია.

მესამე წერილი

გუშინ, 2 აგვისტოს, ჩვენს საყვარელ ვარიას ველაპარაკე ციხეში. გულის ტკივილი მეწყება მასზე ფიქრისას. ცხადია, რომ ჯერ კიდევ ბავშვია. ცხრამეტი წლის გოგონაა. როგორც მორწმუნე, სულიერადაც ჩვილია. მაგრამ მთელი გულით უყვარს უფალი და ამიტომაც არ შეუშინდა მისი სახელისათვის წამებას. როგორც გავიგეთ, როგორ აშიმშილებდნენ საწყალ გოგონას, მაშინვე ამანათების გაგზავნა დავიწყეთ, მაგრამ ადრესატი მცირედს იღებდა გზავნილიდან.

გუშინ დავინახე გამხდარი, გაყვითლებული, ნაცემი. მხოლოდ მისი თვალები მეტყველებდნენ ღვთის სიმშვიდესა და არამიწიურ სიხარულზე.

დიახ, ჩემო ძვირფასებო, ვისაც ქრისტეს სიმშვიდე არ განუცდია, ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ როგორ უხარიათ მათ, ვინც ფლობს ამ სიმშვიდეს. ტანჯვა და იმედგაცრუება ვერ შეგვაჩერებს ქრისტეში მყოფებს. გისოსებს მიღმა შევეკითხე: „ვარია, ხომ არ ნანობ, რაც გააკეთე?“ „არა“, _ მიპასუხა მან. „რომც გამათავისუფლონ, მაინც დავბრუნედები ციხეში და ვეტყვი მათ ქრისტეს დიდი სიყვარულის შესახებ. არ იფიქრო, რომ ვიტანჯები. ძალიან მიხარია, რომ ღმერთს ასე ვუყვარვარ და მისი სახელის გულისათვის ამის ატანის ძალას მაძლევს“.

გთხოვთ, ილოცოთ მისთვის. ალბათ, ციმბირში გააგზავნიან. მისი ნივთები და ტანსაცმელი უკვე წაიღეს. ყველაფრის გარეშე დარჩა, გარდა იმისა, რაც ტანზე აცვია. ნათესავები არ ჰყავს და ჩვენ უნდა შევუგროვოთ საჭირო ნივთები. თქვენი გამოგზავნილი თანხა შენახული მაქვს. თუ ვარიას ციმბირში გააგზავნიან, მოვახერხებ და გადავცემ. მჯერა, რომ ღმერთი გააძლიერებს მას და მისცემს ძალას მომავლის სირთულეები გადალახოს. დაე, ღმერთმა დაიცვას!

თქვენი მარია.

მეოთხე წერილი

ძვირფასო მარია, როგორც იქნა, მომეცა წერილის მოწერის შესაძლებლობა.

კარგად ჩამოვედით. ჩვენი ბანაკი ქალაქიდან ათი მილითაა დაშორებული. არ შემიძლია ჩვენი ცხოვრების აღწერა. შენ ეს იცი. მცირედი რამ მინდა მოგწერო ჩემს შესახებ. ვმადლობ ღმერთს, რომ ჯანმრთელობას მაძლევს და ფიზიკურად ვმუშაობ. და N და მე მანქანებთან სამუშაოდ გაგვამწესეს. სამუშაო მძიმეა და და N-ის მდგომარეობა რთულადაა, რის გამოც ორივესთვის უნდა ვიმუშაო. ჯერ ჩემს საქმეს ვამთავრებ და მერე დას ვეხმარები. თორმეტი-ცამეტი საათი ვმუშაობთ დღეში. ჩვენი საკვები ზუსტად ისეთია, როგორიც თქვენი. ჯანმრთელობისათვის საშიშია. ეს კი არ უნდა მეთქვა.

ჩემი გული ადიდებს და მადლობს ღმერთს, რომ შენი საშუალებით მაჩვენა მან ხსნის გზა. ახლა ამ გზაზე მდგარს ცხოვრების მიზანი მაქვს, ვიცი, სად წავიდე და ვისთვის ვიტანჯო. მსურს ყველას ვუამბო ხსნის იმ სიხარულზე, გულში რომ მაქვს. ვის შეუძლია ჩამოგვაშოროს ქრისტეს სიყვარულს? არავის და არაფერს. არც ციხეს და არც ტანჯვას. ტანჯვა, რომელსაც ღმერთი გვიგზავნის, მის რწმენაში გვაძლიერებს. ჩემი გული იმდენად სავსეა ღვთის მადლით, რომ გარეთ გადმოედინება. სამუშაოზე მწყევლიან და მსჯიან, დამატებით სამუშაოს მაძლევენ, რადგან არ ვჩუმდები. ყველას უნდა ვუთხრა, რა გააკეთა ღმერთმა ჩემთვის. ახალ ქმნილებად რომ გადამაქცია და ცდომილების გზიდან მომაბრუნა. შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ გავჩუმდე? არა, არასოდეს! ვიდრე ჩემს ბაგეებს ლაპარაკი შეეძლებათ, მანამდე დავამოწმებ ღვთის სიყვარულზე.

ბანაკისაკენ მიმავალ გზაზე მრავალ ქრისტიან და-ძმას შევხვდით. რა გასაოცარია, როდესაც ადამიანთან პირველივე შეხვედრისას გრძნობ, რომ ქრისტიანია. ძნელია სიტყვებით გამოხატო ეს სიხარული. პირველი შეხედვისთანავე იცი, ვინ არიან ისინი.

ბანაკისაკენ მიმავალ გზაზე, ერთ სადგურში, ქალი მოვიდა, საკვები მოგვცა და მხოლოდ ორი სიტყვა გვითხრა: „ღმერთი ცოცხლობს“.

ჩამოსვლის პირველ საღამოს (ძალიან გვიანი იყო), მიწისქვეშა ბარაკებში წაგვიყვანეს. დამხვედრებს ამ სიტყვებით მივესალმეთ – „მშვიდობა თქვენდა“. ჩვენდა სასიხარულოდ, ყველა კუთხიდან ერთი და იგივე პასუხი მოგვესმა – „მშვიდობით გიღებთ“. და პირველივე საღამოდან ოჯახის წევრებივით ვგრძნობთ თავს.

ეს ნამდვილად ასე მოხდა. აქ ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც ქრისტეს მხსნელად აღიარებს. პატიმრების ნახევარზე მეტი მორწმუნეა. ჩვენს შორის ბევრი კარგი მქადაგებელი და მგალობელია. მძიმე სამუშაოდან დაბრუნებულები ერთად ვიყრით მუხლს ლოცვისათვის. ვხარობთ ერთად ყოფნის სიხარულით. სადაც არ უნდა წახვიდე ქრისტესთან, ყველგან სიმშვიდეა. აქ, ბევრი კარგი საგალობელი ვისწავლე და ყოველდღე მაძლევს ღმერთი თავის სიტყვას. ცხრამეტი წლისამ პირველად ვიზეიმე ქრისტეს შობა. არასოდეს დამავიწყდება ეს შესანიშანვი დღე! მთელი დღე უნდა გვემუშავა. რამდენიმე ძმამ მოახერხა და ახლომდებარე მდინარეზე წავიდა. ყინული ჩაამტვრიეს, და ღამით – ღვთის სიტყვის მიხედვით – შვიდი ძმა და მე ცივ წყალში მოვინათლეთ. ოჰ, რა ბედნიერი ვარ. როგორ მინდა, რომ ჩემთან იყო, მარია. რათა შემეძლოს შენდამი ჩემი სიყვარულის გამოხატვა და ბოდიშის მოხდა იმაზე, რაც ადრე გაწყენინე, მაგრამ ღმერთი ყოველ ჩვენგანს თავის ადგილს აძლევს, სადაც მტკიცედ უნდა ვიდგეთ.

მომიკითხე ღვთის ოჯახი. ისე გაკურთხებთ ღმერთი, როგორც მე. წაიკითხე ებრაელთა 12,1-3.

მოგიკითხავენ ჩვენი ძმები და მოხარულები არიან შენი რწმენის გამო. რომლითაც ადიდებ ღმერთს შენს განსაცდელში. სხვებს თუ მისწერ, გადაეცი ჩვენგან მოკითხვა.

შენი ვარია.

მეხუთე წერილი

ძვირფასო მარია, როგორც იქნა, მომეცა რამდენიმე სტრიქონის მოწერის შესაძლებლობა. შემიძლია გითხრა, რომ და N და მე კარგად ვართ. ახლა იქ ვართ.

მადლობას გიხდი შენი დედობრივი მზრუნველობისათვის. ყველაფერი მივიღეთ შენგან გამოგზავნილი. მადლობას

გიხდი ყველაზე ძვირფასი საჩუქრის, ბიბლიისათვის. მადლობა ყველას. როცა მისწერ, მომიკითხე და მადლობა გადაეცი ყველაფრისათვის.

მას შემდეგ, რაც ღმერთმა თავისი სიყვარული გამოამჟღავნა ჩემს მიმართ, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია თავი. დევნა, რომელიც უნდა ავიტანო, განსაკუთრებული მადლია. მოხარული ვარ, რომ პირველივე დღეებში მომცა ღმერთმა ტანჯვაში სიხარული. ილოცე ჩემთვის, რათა მისი ერთგული დავრჩე ბოლომდე.

დაე, ღმერთმა დაგიცვათ ყველანი და მოგცეთ სულიერი ბრძოლის ძალა!

და N და მე გკოცნით ყველას. როცა გაგვაგზავნიან, კიდევ მოგვეცემა მოწერის შესაძლებლობა. ნუ იდარდებთ ჩვენზე. ჩვენ ვხარობთ, რადგან ჩვენი საზღაური დიდია ცაში (მათე 5,11–12).

შენი ვარია.

ეს არის ვარიას ბოლო წერილი – ახალგაზრდა კომუნისტისა, ქრისტე რომ იპოვა. ქადაგების გამო შრომა-გასწორების კოლონიაში გააგზავნეს და ამის შემდეგ აღარასოდეს სმენიათ მეგობრებს გოგონას შესახებ. ვარიას ქრისტესათვის ტანჯვა და სიყვარული არის ფარული ეკლესიის არსებობის დასტური.

მეშვიდე თავი

როგორ შეიძლება დაგვეხმარონ დასავლეთის ქრისტიანები

ზოგიერთებმა „ფარული ეკლესიის ხმა“ მიწოდეს. თავს ამ სახელის ღირსად არ მივიჩნევ.

ოთხი წელი ვხელმძღვანელობდი ფარულ ეკლესიას კომუნიზმის დროს. სასწაულებრივად გადავურჩი თოთხმეტწლიან ციხესა და წამებას. მათ შორის ორი წელი „სასიკვდილო ოთახში“ გავატარე. ამაზე დიდი სასწაული მოახდინა ღმერთმა და ციხიდან გამომიხსნა. რუმინეთის ფარულმა ეკლესიამ გადაწყვიტა, რომ სამშობლო დამეტოვებინა, დასავლეთში წავსულიყავი და თავისუფალი ქვეყნების ქრისტიანებამდე ხმა მიმეწვდინა. მე და ჩემმა ოჯახმა რუმინეთი სასწაულებრივად დავტოვეთ. მოვახერხე რუმინეთში ტანჯვისა და სიკვდილის საფრთხეში დარჩენილი ქრისტიანების დავალების შესრულება.

იმ ძმების სახელით ვლაპარაკობ, ათასობით უსახელო საფლავებში რომ წვანან. იმ ძმების სახელით ვლაპარაკობ ტყეში, სარდაფებსა და სხვენში რომ იკრიბებიან.

ზემოთ მოთხრობილი ამბავი ფარული ეკლესიის შესახებ არის:

„ნუ მიგვატოვებთ!“

„ნუ დაგვივიწყებთ!“

„მეხსიერებიდან ნუ წაგვშლით!“

„მოგვეცით საჭირო იარაღი! ჩვენ გადავიხდით საზღაურს!“

ეს არის ის სიტყვები, რისი გადმოცემაც დამავალეს თავისუფალი ეკლესიებისათვის.

მე ვლაპარაკობ ფარული ეკლესიის ნაცვლად, წყნარი, „მუნჯი“ ეკლესიისათვის, სალაპარაკო ხმა რომ არა აქვს.
მოისმინეთ თქვენი და-ძმების ღაღადი დამონებული ერებიდან! ისინი არ ითხოვენ გასაქცევს, ან უსაფრთხოებას, არც ადვილ ცხოვრებას. ისინი ითხოვენ იარაღს ათეიზმით მოწამლული ახალგაზრდობის – მომავალი თაობისათვის. ისინი ითხოვენ ბიბლიებს ღვთის სიტყვის გასავრცელებლად. როგორ შეძლებენ მის გავრცელებას, თუ წიგნი არ ექნებათ?
ფარული ეკლესია ჰგავს მატარებლით მოგზაურ ქირურგს. როდესაც ერთი მატარებელი მეორეს შეეჯახა და ასობით დაჭრილი და სიკვდილის პირას მყოფი ადამიანები ერთმანეთში ირეოდნენ, სასოწარკვეთილი ქირურგი დადიოდა და იძახდა: „იარაღები რომ მქონოდა! ჩემი იარაღები რომ თან მქონოდა!“ ქირურგიული იარაღებით მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო. ქირურგს სურდა ამის გაკეთება, მაგრამ იარაღები არ ჰქონდა. ასეთია ფარული ეკლესიის მდგომარეობაც. ეკლესიას *სურს* გაიღოს ყველაფერი, ეკლესიას *სურს* ჰყავდეს წამებულები! თანახმაა წლები გაატაროს ციხეში, მაგრამ მის სურვილს ფასი არა აქვს სამუშაო იარაღის გარეშე. ერთგული, მხნეობით სავსე ეკლესიის თავისუფალი ეკლესიებისადმი თხოვნაა: „მოგვეცით იარაღები – სახარებები, ბიბლიები, ლიტერატურა, დაგვეხმარეთ – და დანარჩენს ჩვენ გავაკეთებთ!“

როგორ შეიძლება დაგვეხმარონ თავისუფალი ქვეყნის ქრისტიანები

ყველა ქრისტიანს შეუძლია შემდეგი გზით დახმარება.
ათეისტები ვერ აცნობიერებენ თავისი სიცოცხლის უხილავ რესურსებს. ვერ გრძნობენ სამყაროსა და ცხოვრების საოცრებებს. ქრისტიანებს შეუძლიათ დაეხმარონ მათ არა ხედვით, არამედ რწმენით სვლაში, წარუძღვნენ უხილავ ღმერთთან ურთიერთობაში.
ეს იარაღი წარუძღვება ერთგულ ქრისტიანებს სამაგალითო ცხოვრებისაკენ. მათი დახმარება იქნება ქრისტიანების დევნის სახალხოდ გაპროტესტება.

უცხოელები შეიძლება დაგვეხმარონ ქრისტიანობის მდევნელთა გაქრისტიანებისათვის ლოცვაში. შესაძლოა, ასეთი ლოცვა მიამიტური ჩანს. კომუნისტებისათვის ლოცვის შემდეგ იმაზე მეტად გვაწამებდნენ, ვიდრე ლოცვამდე. უფლის იერუსალიმში ლოცვაც „მიამიტური“ იყო. ჯალათებმა ამ ლოცვის შემდეგ იგი ჯვარს აცვეს. მალე, სულ რაღაც ერთ დღეში, გულში მჯიღის ცემით ხუთი ათასი კაცი მოექცა.

ლოცვა უკვალოდ არ ჩაივლის. ადრესატამდე მიუსვლელი ლოცვა ორმაგად დაგიბრუნდება უკან. ქრისტეს სიტყვის დაცვის მიზნით ხშირად ვლოცულობდით ჰიტლერისა და მისი ხალხისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებისათვის ჩვენს ლოცვას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც ჯარისკაცების ბრძოლას.

მეზობელი საკუთარი თავივით უნდა გვიყვარდეს. კომუნისტები და მდევნელებიც ისეთივე მეზობლები არიან, როგორც სხვა დანარჩენები.

მათი ასეთებად ჩამოყალიბება იმის ბრალია, რომ არ ვუთხარით ქრისტეს შესახებ. „იმისათვის მოვედი, რათა სიცოცხლე ჰქონდეთ მათ და უხვად ჰქონდეთ“ (იოანე 10,10). ქრისტიანებმა ჯერ ვერ გახადეს ეს უხვი სიცოცხლე ყველასათვის ხელმისაწვდომი. რაღაც მთავარი გამოტოვეს ცხოვრებაში, რის გამოც ეს ინდივიდები აჯანყდნენ და ჩამოაყალიბეს კომუნისტური, თუ სხვა მცდარი რწმენა-წარმოდგენები. ხშირად ადამიანები სოციალური უსამართლობის შედეგად ბოროტდებიან. აი, რას უნდა დავუპირისპირდეთ. შეიძლება ქრისტიანები მტერს ებრძვიან, მაგრამ ესმით მათი და უყვართ ისინი.

ვერ ვიტყვით, რომ ბრალი არ მიგვიძღვის გაბოროტებული ადამიანების წინაშე. ჩვენი დანაშაული გულგრილობა – მოვალეობის უარყოფაა.

სიყვარულით უნდა გამოვისყიდოთ დანაშაული – რაც განსხვავდება მოწონებისაგან – და ვილოცოთ მათთვის.

არც ისეთი მიამიტი ვარ დავიჯერო, რომ მხოლოდ სიყვარულს შეუძლია პრობლემის გადაჭრა. შტატების ხელმძღვანელობას არ ვურჩევდი განგსტერებთან პრობლემების სიყვარულით მოგვარებას. ამისათვის უნდა არსებობდეს პოლიცია,

მოსამართლეები და ციხე – არა მარტო ხუცესები. თუ განგსტერები არ მოინანიებენ, ციხეში უნდა ჩასვა. მე არასოდეს გამოვიყენებდი ქრისტიანულ ფრაზას „სიყვარულის“ შესახებ კომუნისტებისა და სხვა ტირანების კულტურულ, ეკონომიკურ ბრძოლაში. კომუნისტები – უმაღლესი ხარისხის განგსტერები არიან. განგსტერები საფულეს იპარავენ, კომუნისტები კი მთელ ქვეყანას.

ხუცესმა და რიგითმა ქრისტიანმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულონ და ქრისტესთან მიიყვანონ აჯანყებული ერები – რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინათ – და აჯანყების მსხვერპლნიც. გაგებით უნდა მოვეკიდოთ მათთვის ლოცვას.

ბიბლიის ქონის გადაუდებელი აუცილებლობა

დახმარების ერთ-ერთი გზა არის ბიბლიისა და ქრისტიანული ლიტერატურის გამოგზავნა. თუ ჩვენი და-ძმები მათ გამოგზავნას ისურვებდნენ, ჩვენ ვიზრუნებდით უსაფრთხო შემოტანაზე. რამდენჯერმე მივიღეთ ფარული გზით ბიბლიები რუმინეთში. გაგზავნის პრობლემა არ არის, თუკი გამომგზავნელი გამოჩნდება.

ბიბლიები აუცილებელია. ათეულობით წლების მანძილზე არ უნახავთ ბიბლიები კომუნისტურ ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეაში.

ორი ძველმანებში ჩაცმული სოფლელი კაცი მოვიდა ერთ დღეს ჩემთან ბიბლიის საყიდლად. წამოსულები იყვნენ გაყინული მიწის სახვეტად, იმ იმედით, რომ ფულს იშოვიდნენ, ძველ ბიბლიას იყიდნენ და სოფელში მიიტანდნენ. იმ დროს ახალი ბიბლიები მქონდა მიღებული ამერიკიდან და სტუმრებს გადავეცი. საკუთარ თვალს არ უჯერებდნენ. ეცადნენ გადაეხადათ, რაც გააჩნდათ. უარი ვთქვი წიგნის საფასურის მიღებაზე. სიხარულით გაიქცნენ სოფელში ბიბლიებით. რამდენიმე დღის შემდეგ მადლობის წერილი მივიღე. ოცდაათამდე თანასოფლელი აწერდა ხელს! ბიბლია ფრთხილად დაუშლიათ ოცდაათ ნაწილად და წაკითხვის შემდეგ ერთმანეთს უცვლიდნენ ნაწილებს!

გასაკვირია იმის მოსმენა, რომ რუსები სულის გამოსაკვებად

ბიბლიებს ითხოვდნენ. სიხარულით გაცვლიდნენ ძროხას ან თხას ბიბლიაში. ერთმა კაცმა ქორწინების ბეჭედი გაცვალა ძველ სახარებაში. ბავშვების უმრავლესობას არასოდეს უნახავს საშობაო მისალოცი. თუკი რომელიმეს აღმოაჩნდებოდა, მთელი სოფელი მის გარშემო შეიკრიბებოდა. ზოგიერთი მოხუცი ბავშვებს იესოს შობისა და ხსნის მისიის შესახებ მოუთხრობდა. ეს ყველაფერი – ერთი ქრისტიანული მისალოცი ბარათიდან! ბიბლიებს, სახარებებსა და სხვა სახის ლიტერატურას ვაგზავნით აკრძალულ ზონებში. აი, ერთ-ერთი გზა, რითაც შეიძლება დაეხმაროთ თქვენს სულიერ და-ძმებს. განსაკუთრებულ ლიტერატურას ვაგზავნით ათეიზმით მოწამლულ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისა თუ კოლეჯის მოსწავლეებისათვის. საბჭოთა კავშირში კომუნისტებმა მოამზადეს *„ათეისტის სახელმძღვანელო“,* ათეისტების „ბიბლია“. საბავშვო ბაღში გამარტივებულად ასწავლიან, რაც უფრო იზრდება ბავშვი, უფრო რთულ მასალას აძლევენ იგივე სახელმძღვანელოდან. ბოროტი „ბიბლია“ თან დაჰყვება ბავშვს ზრდასთან ერთად და მთელ სიცოცხლეს უწამლავს. ამ ათეისტური ცნობიერებისაგან გასათავისუფლებლად ვბეჭდავთ და ვაგზავნით წიგნს *„ათეისტური სახელმძღვანელოს პასუხი“.*

მოწამლულ ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს პასუხი – ღმერთის პასუხი – ქრისტიანების პასუხი – ჩვენი პასუხი! შეგიძლიათ ლიტერატურის მიწოდებით გამოხატოთ დახმარება იმ ერებისათვის, სადაც ღმერთი „არალეგალურია“. ამ ლიტერატურაში შედის ახალგაზრდული ილუსტრირებული ლიტერატურა და საბავშვო ბიბლიები. „ხელი ხელს ჩავკიდოთ“ და ფინანსურად დავეხმაროთ ფარულ ეკლესიებს საევანგელიზაციო ხარჯების დაფარვაში. მრავალი ადამიანი „მიჯაჭვულია“ სახლს სამგზავრო ბილეთის და მოგზაურობის დროს საკვების შესაძენი თანხის უქონლობის გამო. სურვილის მიუხედავად, ფეხით სიარულის ძალა არ შესწევთ ოცი-ოცდაათი მილით მოშორებულ სოფელში კრებების ჩასატარებლად. ყოველთვიური ფინანსური დახმარებით, შეიძლება „ჯაჭვი ავხსნათ“ მქადაგებლებს და შორეულ ქალაქსა თუ სოფელში ღვთის სიტყვის მოსმენის მსურველთან სახარება მივიტანოთ.

მაგალითად, მოტოციკლეტებს ვყიდულობთ ვიეტნამელი და ჩინელი ხუცესებისათვის „აკრძალულ ზონებში“ საქადაგებლად. მუსლიმანურ ბანგლადეჟშიც მოტოციკლეტებს ვყიდულობთ იმ ევანგელისტებისათვის, სიცოცხლეს რომ იგდებენ საფრთხეში საქადაგებლად.

ჩვეულებრივ მორწმუნე ქალებსა და მამაკაცებსაც უნდა ჰქონდეთ ფინანსური დახმარება. იყო ქრისტიანი, ნიშნავს არსებობისათვის ნაკლები შემოსავლის ქონას, არათუ სოფლიდან სოფელში საქადაგებლად წასვლის შესაძლებლობას. „სასწაულია“, რომ თვეში რამდენიმე დოლარს შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება.

ფინანსურად უნდა დავეხმაროთ ოფიციალური ეკლესიის ხუცესებს, რომლებიც პარალელურად ფარულადაც მსახურობენ. ახალგაზრდებთან და ბავშვებთან მსახურების სურვილი არ არის საკმარისი. მისი განხორციელებისათვის აუცილებელია გზა. ასეთი ფინანსური დახმარება ხელს შეუწყობს ფარული ეკლესიის ეფექტიან მუშაობას.

შემდეგი დახმარების საშუალება, რადიოგადაცემებით სახარების გავრცელებაა. თავისუფალი ქვეყნების რადიოსადგურების მეშვეობით გამოვკვებოთ სულიერად ფარული ეკლესია. მაშინ, როცა კომუნისტური მთავრობა მოკლე სიხშირის რადიოგადაცემებს იყენებს პროპაგანდისათვის. მილიონობით ადამიანს შეუძლია მოუსმინოს დასავლურ საევანგელიზაციო გადაცემებს. ქვეყნებში, სადაც სახარების გავრცელებას კრძალავენ, რადიოგადაცემების მიღება ნებადართულია. ნამდვილად უნდა ვიფიქროთ ამ საშუალების გამოყენებაზე. ამ გზის საშუალებით ფარული ეკლესია მიიღებს სულიერ საზრდოს. აი, კიდევ ერთი გზა ფარული ეკლესიების დასახმარებლად.

ქრისტიანი წამებული ოჯახების ტრაგედია

ქრისტიანი წამებულის ოჯახის წევრებსაც სჭირდებათ ჩვენი დახმარება. ათი ათასობით ოჯახი არის ენით აუწერელ მდგომარეობაში. ქრისტიანი პატიმრის ოჯახში საშინელი ტრაგედია ტრიალებს. უკანონობად ითვლება ამ ოჯახისათვის



დახმარების გაწევა. ეს არის მთავრობის მიერ კარგად დაგეგმილი წამების სცენარი. როდესაც ქრისტიანი ციხეში მიდის – ხშირად სიკვდილამდე საწამებლად – ეს სცენარის მხოლოდ დასაწყისია. პატიმართან ერთად მთელი მისი ოჯახი უსასრულოდ უნდა იტანჯოს. ქრისტიანების ჩამოყალიბებული ორგანიზაცია რომ არ დახმარებოდა ჩემს ოჯახს, ვერასოდეს შევძლებდი გათავისუფლებას და ამ სიტყვების დაწერას!
დრო უფრო მეტ წამებულს აჩენს, თუმცა ისინი თავის საზღაურს იღებენ და სასაფლაოზე მიდიან, მაგრამ ცოცხლად დარჩენილი ოჯახის წევრები ტრაგიკულ მდგომარეობაში რჩებიან. პრაქტიკულად შეგვიძლია მათ გვერდში დავუდგეთ. რა თქმა უნდა, ის ინდიელები და აფრიკელებიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შიმშილობენ, მაგრამ ქრისტეს სახელისათვის ციხეში წამებით მოკლულის ოჯახი უფრო არ იმსახურებს ქრისტიანებისაგან დახმარებას?
ჩემი გათავისუფლების შემდეგ „წამებულთა ხმის“ ორგანიზაციამ დიდი დახმარება გაუგზავნა ქრისტიან წამებულებს. ჯერ-ჯერობით მცირედი გაკეთდა და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

იატაკქვეშა ეკლესიის თხოვნა თქვენდამი

თავი დავაღწიე, გამოვიქეცი და თხოვნა მოგიტანეთ ფარული ეკლესიიდან, რუმინეთში დარჩენილი და-ძმებისაგან. ამ თხოვნის გადმოსაცემად გამომაგზავნეს. უკვე გიამბეთ კომუნისტებისა და სხვა დამონებული ერების გაქრისტიანების საჭიროებაზე. გითხარით ქრისტიანი წამებული ოჯახების დახმარების აუცილებლობაზე. გითხარით იმ პრაქტიკული გზების შესახებ, ფარულ ეკლესიას რომ დაეხმარება და შევასრულოთ სახარების გავრცელების მისია.
ციხეში ფეხის გულებში მირტყამდნენ და ვყვიროდი. რატომ ყვიროდა ენა? ენაზე ხომ არ მირტყამდნენ. იმიტომ, რომ ენა და ფეხები ერთი სხეულის ნაწილს შეადგენენ. და თქვენც, თავისუფალი ქვეყნის ქრისტიანებო, ნაწილი ხართ იმ ქრისტიანებისა, დღეს რომ წამებულებად იწოდებიან. ნუთუ ვერ გრძნობთ ჩვენს ტკივილს?

დამონებულ ქვეყნებში პირველი ეკლესია გაცოცხლდა თავისი სილამაზითა და თავდადებით.
იესო ქრისტეს გეთსიმანიის ბაღში სასოწარკვეთილი ლოცვისას პეტრე, იაკობი და იოანე ქვის სასროლ მანძილზე იყვნენ უდიდესი ისტორიული მოვლენიდან, მაგრამ ეძინათ. რამდენად გაწუხებს წამებული ეკლესიის მხარდაჭერაზე ფიქრი? შეეკითხე შენს ხუცესს. არის თუ არა რაიმე გაკეთებული შენი სახელით წამებული და-ძმების დასახმარებლად.
ახლა, როცა პირველი საუკუნის ეკლესიის დრამა, სიმამაცე და წამება კვლავ მეორდება, თავისუფალ ეკლესიას სძინავს. ჩვენი ძმები მარტონი იბრძვიან მეოცე საუკუნის ყველაზე მამაცურ ომში, პირველი საუკუნის ეკლესიის მიერ წამოწყებული ბრძოლის ტოლფას ომში. თავისუფალ ეკლესიას ისე სძინავს, როგორც პეტრეს, იაკობს და იოანეს ეძინათ ქრისტესათვის რთულ წუთებში.
თქვენც დაიძინებთ თქვენი ძმების ქრისტეს სახარებისათვის წამოწყებული ომის მიმდინარეობისას?
მოუსმინეთ ჩვენს თხოვნას: „გახსოვდეთ, დაგვეხმარეთ!“
„ნუ მიგვატოვებთ!“
უკვე გადმოგეცით ერთგული და წამებული ეკლესიის – თქვენი და-ძმების თხოვნა, ათეისტური და კომუნისტური ტყვეობის ქვეყნებიდან, მთელი მსოფლიოდან, ინდონეზიიდან და აფრიკიდან. ნუ მიატოვებთ მათ.

ეპილოგი

კაცი, რომელმაც ლაპარაკი გაბედა

ხუცესი ვურმბრანდი პირველი ქრისტიანი ლიდერი არ იყო, ვინც სასტიკი რუმინეთის კომუნისტურ მთავრობას გაექცა. ვურმბრანდამდე მრავალმა დატოვა ქვეყანა. მიუხედავად ამისა, დასავლეთს ყურადღება არ მიუქცევია ფარული ეკლესიის ტანჯვისათვის. სხვა გაქცეულებმა რატომ არაფერი თქვეს ამის შესახებ?

ამ კითხვაზე პასუხი აშკარა გახდა ხუცესი ვურმბრანდისათვის, როდესაც რუმინეთის დატოვებამდე საიდუმლო პოლიციამ დაიბარა და გააფრთხილა არ ელაპარაკა კომუნისტების წინააღმდეგ. დასავლეთში პოლიციის აგენტები უთვალთვალებდნენ მის ყოველ ქმედებას. რაღატომ ილაპარაკებდა? განა საკმარისად არ იტანჯა?

ვურმბრანდმა მაინც ილაპარაკა. მიუხედავად კომუნისტების მუქარის და ზოგიერთი დასავლელი ხუცესის კრიტიკისა, მან დაამოწმა კომუნისტური რეჟიმის ქვეშ ტანჯული ადამიანების და მათი რწმენის გამარჯვების შესახებ.

შტატებში ყოფნის პირველ წლებში ვურმბრანდი ორჯერ შეაფერხეს კომუნისტების „ძირის გამომთხრელ“ საქმიანობაში. ხუცესი სენატში გამოიძახეს სიტყვის წარმოსათქმელად. ვურმბრანდმა წელზე გაიხადა და თვრამეტი ნაჭრილობევი აჩვენა დამსწრეებს. ზოგიერთი ქრისტიანი ლიდერი მას ეძახდა მთვარეულს – ჭკუა-გონება რომ დაკარგა განმარტოებით საკანში ყოფნისას. ზოგიერთებისათვის იგი „რკინის ფარდის

პავლე“ გახდა ან „ფარული ეკლესიის ხმა“. „*ფილადელფია ჰერალდის*“ ჟურნალისტმა ვურმბრანდზე თქვა: „ლომების ხახაში იმყოფებოდა, მაგრამ ვერ შეძლეს მისი დამარცხება“.
1967 წლის ოქტომბერში რიჩარდ ვურმბრანდმა 100 დოლარით, ძველი საბეჭდი მანქანით, 500 სახელითა და მისამართით გამოსცა პირველი წერილი „*წამებულთა ხმისათვის*“.
ეს წერილი დანარჩენებს არ ჰგავდა. ასეულობით მკითხველი ავტორს პასუხს სწერდა. „როგორ შეიძლება ეს მართალი იყოს?“ – კითხულობდნენ ისინი. სხვები ამბობდნენ, რომ ამ წერილის მკითხველებს კოშმარები ესიზმრებოდათ და ითხოვდნენ, რომ აღარ გაეგზავნათ მათთვის გამოცემის შემდეგი ნომერი. ზოგიერთები წამების მიღმა ხედავდნენ – მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების ლამაზ გულებს, რომლებმაც უარი თქვეს ქრისტეს უარყოფაზე. მკითხველების რწმენაში გამხნევება იყო ფაქტი, რომ ვურმბრანდმა შეძლო და ციხის „გისოსებს აკოცა“, ქრისტეში წამების სიხარულის აღსანიშნავად.
დასავლეთში ქრისტიანების დევნას „ადამიანის უფლებების“ დარღვევად მიიჩნევენ და მთავრობას აიძულებენ, დაიცვას კანონი რელიგიური თავისუფლების შესახებ. შესაძლოა ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ ოდნავ გავიხედოთ ადამიანის აზროვნების მიღმაც. იესომ თქვა: „მსახური მასწავლებელზე დიდი არ არის“. თუ მე მდევნიან, თქვენც გაგდევნიან“ (იოანე 15,20). გაგვაფრთხილა, რომ „ტანჯვა გექნებათ დედამიწაზე“ (იოანე 16,33) და „შეგიძულებენ ჩემი სახელის გულისათვის“ (მათე 10,22). „იხარეთ და იმხიარულეთ, რადგან დიდია თქვენი საზღაური ზეცაში“ (მათე 5,12).
თუმცა მოგვიწოდეს, რომ გაჭირვებულებს დავეხმაროთ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანების „უფლება“ არის იდევნებოდნენ. ეს არის ქრისტეში ჩვენი არსებობის შემადგენელი ნაწილი. ყოველი ჩვენგანი არ არის მოწოდებული ქრისტეში ტანჯვისათვის, როგორც ხუცესი ვურმბრანდი. მაგრამ, როცა ტანჯვა მოვა, არ უნდა გაგვიკვირდეს, არამედ ვიხაროთ ქრისტეს ტანჯვასთან ზიარებით. რადგან მან თქვა: „ნეტარნი არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“ (მათე 5,10).

ქრისტეს სხეულის ნაწილების ურთიერთობაზე პავლე მოციქული 1 კორინთელთა 12,25–26-ში ლაპარაკობს: „რათა არ იყოს განხეთქილება სხეულში, არამედ ყველა ასო ერთნაირად ზრუნავდეს სხვაზე. და თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება. ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს“. ებრაელთა წერილის ავტორი ამატებს: „გაიხსენეთ პატიმარნი, თითქოს თქვენც მათთან ერთად ყოფილიყავით შებორკილნი და ტანჯულნი, რადგან თქვენ თვითონაც სხეულში იმყოფებით“ (ებრაელთა 13,3). ეს მუხლი გახლდათ წამებულთა ხმის ძირითადი თემა 1967 წლიდან.

ახალი აღთქმის შესწავლისას აღმოაჩენთ, რომ წამება ეკლესიისათვის არ ყოფილა და არც არასოდეს იქნება უცხო ხილი. ამიტომ გვაქვს ამ სხეულის მიმართ მოვალეობა „გავამხნევოთ და ავაშენოთ ერთმანეთი“ (1 თესალონიკელთა 5,11.) ქრისტეს დაბრუნებამდე. სხვაგვარი ქმედება ქრისტიანული პასუხისმგებლობისა და იესოს სწავლების უგულებელყოფა იქნება.

ამის გამო „წამებულთა ხმა“ თავდაუღალავად შრომობს მსოფლიოს ორმოცამდე ქვეყანაში, იქ, სადაც ჩვენი და-ძმები იდევნებიან. ვიეტნამში, ლაოსში და ჩინეთში ქრისტიანებს სცემენ, კლავენ ან აპატიმრებენ. ეკლესიებს ანგრევენ და ბიბლიებს წვავენ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ისლამურ ქვეყნებში საშუალოდ 400 ქრისტიანს კლავენ ყოველდღიურად. რადიკალურმა ძალებმა მილიონობით ადამიანი დახოცეს სუდანში, ათასობით ჯვარს აცვეს, ან მდინარე ნილოსში ჩაახრჩვეს, დანარჩენები სიკვდილის მოლოდინში დააპატიმრეს. სუდანელ ქრისტიან ქალებს აუპატიურებენ და მათ შვილებს სახლებიდან იტაცებენ და ხარჭებად ან მონებად ყიდიან ჩრდილოელ მუსლიმანებში. ამ უბედურებაზე სუდანელი ქრისტიანები ამბობენ: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახლები დანგრეულია და ეკლესიები დამწვარი, ადრინდელზე მეტად გვამოძრავებს სახარების ქადაგების სურვილი“.

ძნელია გიხაროდეს და თავისუფლებას გრძნობდე ასეთი საშინელების შუაგულში. ძნელია შეურიგდე აზრს, რომ ტანჯვა

ქრისტეს მიერ ჩვენდამი ნაბოძები „საჩუქარია“ (ფილიპელთა 1,29). ადამიანისათვის რთული დასაჯერებელია, რომ სულიერად ქრისტესთან იქნება სამუდამოდ.
„წამებულთა ხმა“ თავის წერილში ავრცელებს ინფორმაციას და თავისუფალ ქვეყნებს მოუწოდებს ქრისტეს სახელისათვის ტანჯულ ადამიანებს დაეხმარონ. მსოფლიოში ოცდაათამდე ენაზე იბეჭდება ჩვენი წერილები, დაახლოებით 250 ათას დაინტერესებულ მორწმუნეს მიეწოდება ყოველთვიურად ეს ინფორმაცია.
ჩვენი ორგანიზაცია ხუთი მთავარი მიმართულებით მუშაობს დევნილ ეკლესიებთან:

1. ქრისტიანებს ამარაგებს ბიბლიებით, ლიტერატურითა და რადიო გადაცემებით, მათთვის გასაგებ ენებზე;
2. წამებულ ქრისტიანთა ოჯახებს ეხმარება მთელ მსოფლიოში;
3. მხარში უდგას მორწმუნეებს ცხოვრების განახლებაში. ამხნევებს მათ, რათა კომუნისტურ ქვეყნებში ქრისტეს შესახებ ხელახლა იქადაგონ;
4. მიჰყავს ქრისტესთან მისი მოწინააღმდეგეები;
5. ავრცელებს ინფორმაციას ქრისტიანების დევნის, დევნილთა რწმენისა და მხნეობის შესახებ.

გთხოვთ მიიღოთ ამ მსახურებაში მონაწილეობა – „გახსოვდეთ პატიმრები, თითქოს თქვენც მათთან ერთად ხართ საპყრობილეში“ (ებრაელთა 13,3). იპოვეთ მხნეობა მათ ძლიერ რწმენაში და გამოიყენეთ ქრისტესათვის წამებული ადამიანების გამხნევების შესაძლებლობა.

The Voice of the Martyrs
P.O. Box 443
Bartlesville, OK 74005
(800) 747-0085
Visit our website: www.persecution.com

დანართი

„სიკვდილამდე ერთგული“

ბოლო ოცდაათი წელია, რაც წიგნი „*ქრისტესათვის წამებული*“ იბეჭდება. წიგნი ათასობით ადამიანის გულს ერთნაირად შეეხო, ქრისტიანებსა და არაქრისტიანებს, სხვადასხვა პროფესიის, კულტურისა და რელიგიის აღმსარებლებს. სხვადასხვა დენომინაციას განსხვავებული წარმოდგენა აქვს ქრისტიანობის ასპექტებზე. დევნილი ეკლესიის მდგომარეობამ გააერთიანა ხალხები ებრაელთა 13,3–ის საფუძველზე: „გახსოვდეთ პატიმარნი, თითქოს თქვენც მათთან ერთად ყოფილიყავით შებორკილნი“.

მომდევნო ფურცლებზე რიჩარდ ვურმბრანდის ცხოვრებისა და მისი წიგნის შესახებ ქრისტიანი ლიდერების აზრია გამოქვეყნებული. ვიმედოვნებთ, რომ წერილები თქვენშიც აღძრავენ მადლიერების განცდას. რიჩარდისა და მისი მეუღლის – საბინას ნაყოფიერი ცხოვრების შესახებ.

26 Tortured for Christ Core 2011_11_22.indd 138 4/13/2012 10:26:11 AM

26 Tortured for Christ Core 2011_11_22.indd 139 4/13/2012 10:26:11 AM

სხვა ლიტერატურა

იატაკქვეშა ეკლესიის შესახებ დამხმარე ლიტერატურა

რიჩარდ ვურმბრანდის სხვა წიგნები
ღვთის იატაკქვეშეთში
ტანჯვიდან გამარჯვებამდე
ქრისტე ებრაელთა გზაზე
გამარჯვებულები
გამარჯვებული რწმენა
სიმაღლეებისადმი ლტოლვა
ღმერთთან განმარტოვებულ საკანში
ღვთის არსებობის მტკიცებულება
პასუხი ათეისტის სახელმძღვანელოს
მარქსი და სატანა
უტკბილესი სიმღერა

წამებულთა ხმა
თავისუფალი ხელმოწერების შემოთავაზება!

წამებულთა ხმა აქტიურად ემსახურება დევნილ ეკლესიებს 1967 წლიდან. ჩვენი მისია ნათელია. მსოფლიოს ბევრ კუთხეში ქრისტიანების დევნა გრძელდება, ჩვენი ძლიერი სურვილია პრაქტიკულად და სულიერად დავეხმაროთ დევნილთა ხმის სხვებისადმი მიღწევაში.
ხშირად, ჩვენი რწმენა დაუსრულებელს ჰგავს დევნილი და-ძმების დამოწმების ცოდნის გარეშე.

ისინი არიან უკომპრომისო რწმენის ცოცხალი მაგალითები, აშკარად და ერთგულად ემსახურებიან წმინდა ღვთის სიყვარულს, მიუხედავად მათი სირთულეებისა.
გეპატიჟებით წამებულთა ხმის ყოველთვიური სიახლეების გამოსაწერად. გაგამხნევებთ დევნილი ქრისტიანების დამოწმებების წაკითხვა ყოველ თვე. ისწავლით ლოცვა, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც ქრისტესათვის იტანჯება. წამებულთა ხმის სიახლეები მოგაწვდით პრაქტიკულ რჩევებს, თუ როგორი ფორმით შეგეძლებათ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება. ნუ გამოტოვებთ ამ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას ეზიაროთ ქრისტეს სხეულის ამ ნაწილს.

ავტორის შესახებ

ვურმბრანდი არის ევანგელისტი ხუცესი, რომელმაც თოთხმეტწლიანი პატიმრობა და წამება აიტანა საკუთარ სამშობლოში. რუმინეთში მისი სახელი ცნობილ ადამიანთა სიაშია. ვურმბრანდი ფართოდ არის ცნობილი და აღიარებული, როგორც ქრისტიანი ლიდერი, ავტორი და განმანათლებელი.

1945 წელს კომუნისტები რუმინეთში შეიჭრნენ და ეკლესიების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას შეუდგნენ. რიჩარდ ვურმბრანდმა დაუყოვნებლივ დაიწყო ეფექტიანი „ფარული“ მსახურება, დამონებულ თანამოძმეებსა და რუს ჯარისკაცებთან. 1948 წელს დააპატიმრეს მეუღლესთან, საბინასთან ერთად. მისი მეუღლე სამი წლის განმავლობაში ამუშავეს დანუბეს არხზე. რიჩარდმა განმარტოებულ საკანში გაატარა სამი წელი. ამ დროის განმავლობაში არავინ უნახავს თვალით, გარდა კომუნისტი ჯალათებისა. ამის შემდეგ საერთო საკანში გადაიყვანეს, სადაც წამება კიდევ ხუთი წელი გაგრძელდა.

ვურმბრანდი საერთაშორისო სტატუსის მქონე ქრისტიანი ლიდერი იყო. რის გამოც, საელჩოებმა კომუნისტურ მთავრობას მისი უსაფრთხოება მოსთხოვეს. დიპლომატებმა პასუხი მიიღეს, რომ ვურმბრანდი რუმინეთიდან გაიქცა.



პოლიციის თანამშრომლებმა, ვითომდა ვურმბრანდის ყოფილი თანასაკნელები იყვნენ, საბინას უთხრეს, რომ მისი მეუღლის დაკრძალვას დაესწრნენ ციხის სასაფლაოზე. ოჯახმა და მეგობრებმა იცოდნენ, რომ ვურმბრანდი ცოცხალი აღარ იყო და უნდა დაევიწყებინათ.

რვა წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს და ვურმბრანდი მაშინვე ძველ საქმიანობას დაუბრუნდა. რამდენიმე წლის შემდეგ, 1959 წელს, ხელახლა დააპატიმრეს და ოცდახუთი წელი მიუსაჯეს.

ბატონ ვურმბრანდს 1964 წელს ამინისტია შეეხო და კვლავ გააგრძელა ფარული მსახურება. ნორვეგიის ქრისტიანებმა გააცნობიერეს რა მისი მესამედ დაპატიმრების საშიშროება, კომუნისტურ ხელისუფლებას ფული შესთავაზეს მისი რუმინეთიდან საზღვარგარეთ გაყვანაში. კომუნისტურ მთავრობას უკვე დაწყებული ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური პატიმრების „გაყიდვა“. პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებისათვის 1.900 $ იყო „სტავკა“, ვურმბრანდის გათავისუფლებაში კი 10,000 დოლარს ითხოვდნენ.

1966 წლის მაისში ვურმბრანდმა შტატების შინაგანი უსაფრთხოების სენატის სხდომაზე დაამოწმა, წელზე გაიხადა და თვრამეტი ნაიარევი აჩვენა დამსწრეებს. მისმა ამბავმა მთელ მსოფლიოში დაიწყო მოგზაურობა, ამერიკიდან ევროპასა და აზიამდე. 1966 წელს ვურმბრანდს შეატყობინეს, რომ რუმინეთის მთავრობა მის მოკვლას გეგმავდა. მიუხედავად სიკვდილის მუქარისა, მაინც არ გაჩუმდა.

„წამებულთა ხმის“ დამაარსებელმა თავის მეუღლესთან ერთად შემოიარა მრავალი ქვეყანა და ოცდაათ ქვეყანაში დააფუძნა ეს ორგანიზაცია, რომელიც მუსლიმანურ ქვეყნებში, კომუნისტურ ვიეტნამში, ჩინეთსა და სხვაგან ეხმარება პატიმარ ქრისტიანებს, რწმენის გამო დევნილებს. ვურმბრანდის მესიჯია „შეიძულე ბოროტი სისტემა, მაგრამ შეიყვარე შენი მდევნელნი. გიყვარდეს მათი სული და ეცადე მათ ქრისტესთან მიყვანას“.

ხუცესმა ვურმბრანდმა რამდენიმე წიგნი დაწერა, რომლებიც სამოცამდე ენაზე ითარგმნა. მას „ფარული ეკლესიის ხმას“ უწოდებდნენ. ქრისტიანი ხელმძღვანელები კი ცოცხალ წამებულსა და „რკინის ფარდის პავლეს“ ეძახდნენ.

სარჩევი

	წინასიტყვაობა „წამებულები''	4
1.	რუსების ლტოლვა ქრისტეს გასაცნობად	8
2.	„ადამიანს არა აქვს იმა ზე მეტი სიყვარული“	30
3.	გამოსასყიდი და გათავისუფლება დასავლეთში სამუშაოდ	46
4.	კომუნიზმი ქრისტეს სიყვარულით მარცხდება	51
5.	უხილავი, ფართოდ გავრცელებული იატაკქვეშა ეკლესია	84
6.	როგორ ამარცხებს ქრისტიანობა კომუნიზმს	104
7.	როგორ შეიძლება დაგვეხმარონ დასავლეთის ქრისტიანები	125
	ეპილოგი	133
	დანართი	137
	ავტორის შესახებ	143

რიჩარდისა და საბინას ადრეული სურათი ვაჟიშვილ, მიხაისთან. ორივე მშობლების ცხოვრებისა და შრომა-გასწორებით კოლონიაში ყოფნისას მიხაის სხვა ქრისტიანები ზრდიდნენ, როგორც ''ობოლს'', მაგრამ სკოლაში დასცინოდნენ. მოგვიანებით (1967 წელს) მიხაი გახდა წამებულთა ხმის პირველი დირექტორი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მისიას მოგვიანებით ეწოდა იესო კომუნისტური ქვეყნებისათვის.



კომუნისტური ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, გაღიმებული ხუცესი, რომელმაც მრავალი ქრისტიანი გააოცა უპირობო მიტევებით. მას სძულდა კომუნიზმი, მაგრამ უყვარდა კომუნისტები.

საბინა ვურმბრანდის მთელი ოჯახი (ებრაელები იყვნენ) ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. საბინასა და რიჩარდს მიეცათ შესაძლებლობა სახლში მოეწვიათ ის ნაცისტი, რომელიც მათ ოჯახთან იყო ბანაკში. სტუმარს გაუმასპინძლდნენ, დიდი სიყვარული გამოავლინეს მის მიმართ და ქადაგების შედეგად ნაცისტი ქრისტესთან მიიყვანეს.

1960 წლებში გამოცემული ქრისტესათვის წამებულის შესახებ, ძალიან მცირე რამ იცოდა დასავლურმა ეკლესიამ აღმოსავლელი ოჯახის წამების შესახებ. რადგან მრავალმა დასავლურმა ეკლესიამ უარი განაცხადა ასეთი ინფორმაციის დაბეჭდვაზე.

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა კავშირის ეკლესიები ფარულად იკრიბებოდნენ. ანალოგიური რამ ხდება დღეს აზიასა და შუა აღმოსავლეთში.

მას შემდეგ, რაც ხუცესმა ვურმბრანდმა თვითონ მიიღო წამების კვალი კისერზე, ზურგზე და მკერდზე, კარგად ესმის აფრიკელი დევნილი ქრისტიანების.

შვეიცარია, კონფერენცია- ''რკინის ფარდის'' პერიოდში (აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კომუნისტური პარტიის გავლენისას), ხუცესმა ვურმბრანდმა ისაუბრა VOM-ის მიერ (ორგანიზაცია, რომელიც დღეს საერთაშორისო ასოციაციის სახელით მოქმედებს) მოწყობილ ათასობით საეკლესიო შეხვედრებსა და კონფერენციებზე.

მეოცე საუკუნეში ქრისტიანები ბიბლიას ბეჭდავდნენ პადვლებსა და ფარულ ადგილებში. ოცდამეერთე საუკუნეში ანალოგიური გრძელდება შუა აღმოსავლეთში, აზიასა და სხვა რეგიონებში. პატიმარი პავლე 2 ტიმოთეს 2:9 წერს, ‘‘ რისთვისაც მე ვიტანჯები თვით ბორკილებამდე, როგორც ბოროტმოქმედი, მაგრამ ღვთის სიტყვა შებორკილი არაა.’’



აღმოსავლეთ გერმანიის საზღვარზე იყენებდნენ ''დრელეს'' მანქანის კარებების დასახვრეტად, ''არალეგალური'' ბიბლიის აღმოსაჩენისათვის.

ხუცესმა ვურმბრანდმა მრავალ პოლიტიკურ და რელიგიურ შეხვედრებზე ისაუბრა და ითხოვდა ყურადღება მიექციათ ''რწმენით ჩვენიანისათვის'' (გალატელთა 6:10). კონგრესის წინაშე გაიხადა მაიკა და აჩვენა ხალხს სხეულზე მიყენებული წამების იარები. რამოდენიმე ენაში გაწაფულმა, რუსული გაზეთებიდან ტყუილების ციტირება მოიყვანა საკუთარი მუშაობის შესახებ.

ზედა სურათი დატყვევებული ქრისტიანების მოსანახულებლად VOM-ის მისია ფინეთში (ებრ. 13:3).

ქვედა სურათი 70-იანი წლები
ტომ უაიტი 24 საათი იჯდა კუბის ციხეში ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელებისათვის. მრავალი VOM-ის თანამშრომელი იქნა დაჭერილი, ნაცემი და მოკლული.

1900-იანი წლები

საბჭოთა კავშირის პერიოდში ტყეში ფარული ''საკვირაო სკოლისაკენ'' მიმავალი. საკვირაო სკოლები ჯერ კიდევ ფარულად იკრიბებიან ვიეტნამში, ლაოსში, ჩინეთში, ბუტანში, შუა აღმოსავლეთში, და სხვა მხარეებში.

ხალხით გადაჭედილ რუსულ ეკლესიაში რიჩარდ და საბინა ვურმბრანდები საუბრობენ, საკუთარი თვალით ნანახი რკინის ფარდის რღვევაზე.



1969-
სამხრეთ კორეაში სახარებით სავსე ბურთების დაშვება, ოცდაათი წლის შემდეგ საქმე მაინც გრძელდება.

კუბა-
ფიდელ კასტრომ გაანადგურა 100,000 ბიბლია. 1970-იანი წლების დასაწყისში, VOM-ის თანამშრომლებმა საჰაერო და საზღვაო საშუალებებით გადაიტანეს ბიბლიები.

1900-
ვურმბრანდი მშობლიურ რუმინეთში დაბრუნდა და საჯაროდ, ეროვნულ ტელევიზიაში ილაპარაკა მტრებისადმი სიყვარულისა და მიტევების შესახებ.